

F2r 683
1

2333.2 03345

2333.2 03345

ବ୍ୟାକୁଲିମ୍, ପ୍ରାଚୀ

(ସ୍ଵାମୀତ୍ୱରେ)

ଯେହାଙ୍କ ଦେଖିବାରେ
ମୁଖ୍ୟ - ମନ୍ତ୍ରବ୍ୟାକୁଲ

4380
2620.

"ମୋର ଧ୍ୟାନର ଶରୀର"
Jan. - 1912 M.



45686
F
2.683

მთავიდანვე იღებდა მონაწილეობას ყველა ქარ-
 ულ პერიოდულ გამოცემებში და წერდა აგ-
 იეთვე რუსულ გაზეთებშიც.

საქართველოს სასიქადულო მგოსნის აკა-
 და 50 წლის მოღვაწეობის იუბილე ქართველ-
 ა ერბა ღადის ამბით იდლესასწაულა 1908
 წლის დამლევში; ამ იუბილეში მონაწილეობა
 იიღეს, როგორც ქალაქებმა, აგრეთვე სოფ-
 ფებმაც, რომლებიც კი დასწვდნენ ქალაქებს
 იავისი სიახლოვით; ხოლო ზოგიერთ საქართვე-
 ლოს განშორებულ კუთხეებმა და მათ რიცხვ-
 მი მიყრუებულ-მივარდნილმა რაჭა-ლეჩებუმმა ვე-
 ჩავითარი მონაწილეობა ვერ მიიღეს ამ საერთ-
 აშორესასწაულში. ამის გამო რაჭა-ლეჩებუმმა წელს
 მიიპატია საყვარელი მგოსანი სტუმრად თავის
 კუთხეები. მგოსანმაც გადაწყვიტა რაჭა-ლეჩებუ-
 მის გამხიარულება და ეწვია ამ კუთხეს.

მართლ-წერა უმეტეს ნაწილად დაცულია
 „სახალხო გაზეთისა“, რადგანაც ეს წერილები
 გადმობეჭდილია ამ გაზეთებიდანვე.

მშვინიერი ნაზიმი.

უცხო სანახაობას წარმოადგენდა 17 ივლისს
თფილისში „ედემი“-ს ბალი.

უზარმაზარ ვერხვის ქვეშ, ქართულ სუფრის
გარშემო, თავი მოეყარათ თფილისში მცხოვ-
რებ რაჭველ-ლეჩხუმლებს, და ყველა ლრმა
სიყვარულითა და გულწრფელი აღფრთოვანე-
ბით უმასპინძლდებოდა მხცოვან მგოსანს აკა-
კის, რომელსაც განზრახული ჰქონდა რაჭა-ლე-
ჩხუმის შემოვლა. სწორედ ამ მოგზაურობის
გამო იყო გამართული ის მშვინიერი ქართული
ლხინი, რომლის დამსწრეთა გული დიდი ხნის
განუცდელი სიამით ივსებოდა, როცა ძვირფას
შე ასნის გარშემო ჰქონდავდა განუსაზღვრელ
ციყვარულითა და პატივისცემით ანთებულს რაჭ-
ველ-ლეჩხუმლების ერთსულოვან კრებულს.

შეუძლებელია ყველა იმ გრძნობათა სიტყ-
ვით გადმოცემა, რომელიც ამ ღირს სახსოვარ-
მა დღემ განვიაცდევინა. საღილის წინ, შე-
კრებილ საზოგადოებასა და პრესის წარმომა-

დგენლებთან ერთად, რომელთა შუა ბრძანდებოდა დიდი მგოსანი, გადაღებულ იქმნა სურათი რის შემდეგაც გრძელ სუფრის თავს დაბრძანდა აკაკი. დაიწყო ნამდვილი ქართული ლხინი.

თამადად ერთხმად აირჩიეს გიგო დიასამიძე, რომელიც მამა-პაპურის წესით წარუძღვა მეჯლისს. როდესაც თამადამ პირველი ჭიქით დალია მგოსნის სადღერგძელო, სუფრიდან წამოდგა იობა ისაკაძე და თფილისში მცხოვრებ რაჭველ ლეჩხუმლების სახელით შემდეგი სიტყვით მიმართა:

სიტყვა ისაკაძისა.

ჩვენო ძვირფასო და დიდებულო მგოსან,
ბატონო აკაკი!

მთელი თფილისის რაჭველები, დიდი ცატარა, საერთო აღტაცებით მოგიძლვნით უგულითადეს სალამს და ლმერთსა ქსოვეოთ დიდხანს გაგრძელებულიყოს თქვენი ბედნიერი სიცოცხლე, თქვენი ჯანმრთელობა და ბასრი კალაპა

მის მუშაობა საქართველოს და კერძო ჩვენი მივიწყებული კუნცულის კეთილდღეობისა და ზნეობის ასამაღლებლად; ნიშნად გულითადის პატივისცემისა და თაყვანის ცემისა მოგიძლვნით ოქროს კალამს.

დღეს უაღრეს ბედნიერად ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ აღასრულეთ ჩვენი დიდიხნის სურვილი და ინებეთ დასავლეთ საქართველოს ერთი, ბუნებით შემკულ ნაწილ რაჭა-ლეჩხემის მიდამოებში მოგზაურობა და ჩვენი მოძმების და თქვენი საყვარელი სამშობლოს შვილების პირის-პირ ნახვით გახარება და გაბედნიერება.

დარწმუნებული ვართ, როგორც ჩვენ იქაურები, გაცილების დროს აღტაცებულნი ვართ, ისე ქუთაისში მყოფნი ჩვენი თანამოძმენი, რაჭა-ლეჩხემის ყოველნი მცხოვრებნი წოდებისა, სქესისა და მდგომარეობის განურჩევლად მიგელიან და შეჰნატრიან იმ წამს, როდესაც გახდებიან ბედნიერნი თქვენის პირის-პირ ხილვისა; თქვენს გაბადრულს და მაღლი-

ან სახეს ერთის წამით მაინც გადაავლონ თვალი თავის სიცოცხლეში. ჩვენ, თფილისში მყოფი რაჭველები, სულითა და გულით უერთდებით ჩვენ თანამოძმე ქუთათურებს და მოელი რაჭა-ლეჩებუმის აღტაცებულ ეროვნულ გულის ჩქეფას და სიხარულს გიზიარებთ.

ღმერთსა ვსთხოვთ, ბატონო აკაკი, კეთილად და ბედნიერად გემგზავროთ და სრული კმაყოფილი დაბრუნებულიყოთ თქვენი საყვარელი სამშობლოს შვილებისაგან.

იცოცხლეთ დიდხანს ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ და საამაყოდ.“

ბ-მა ისაკაძემ მგოსანს მიართვა ოქროს საუცხოო კალამი, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: „დიდებულ მგოსანს აკაკის, მის მოსიყვარულე, თფილისში მცხოვრებ, რაჭველებისაგან ჩშიბ წ.“

რაჭა-ლეჩებუმში მოგზაურობის სახსოვ-რაღ!“

პოეტმა მადლობა შესწირა. და დაახლოებით შემდეგი სთქვა: „ჩემი სიმპატია მუდამ იმ

შშვენიერი კუთხისკენ იყო მიპყრობილი, რომ-
ლის წარმომადგენლებსაც დღეს აქ ვხედავ. იგი
თვისი საარაკო შრომითა და გარჯით საუცხოო
მაგალითს აძლევდა და აძლევს დღესაც ჩვენი
ქვეყნის დანარჩენ კუთხეთ; ეს ძვირფასი კალა-
მი, რომელიც ძლვნად მომიტანეთ, ამტკი-
ცებს თქვენს ჩემდამი სიყვარულსა და სიხა-
რულს, მაგრამ ეს მარტო მე არ მეკუთვნის,
იგი იმათიცაა, ვინც ჩემს შემდეგ განაგრძობს”...

მგოსანს გული აუჩუყდა და მის ღვთიუ-
ლი ცეცხლით ნაწრთობ თვალს მადლიერების
წრფელი კურცხალი გადმოეკიდა. შემდეგ განა-
გრძო;

„... იგი ნიშანია იმისა, რომ კვლავ ვი-
ღო ხელში და ვიხმარო, მაგრამ მე ვედარ დავ-
სწერ მას, რის დაწერაც მსურდა. დე, სხვებმა
შეასრულონ ეს...“

მისი სიტყვა აღფრთოვანებულმა ტაშის
ცემამ და „ვაშა“-ს ძახილმა დაპუარა.

თამადამ წარმოსთქვა სადლეგრძელო რა-
კა-ლეჩებუმისა, ქართული პრესისა, საქართვე-

ლოს მშრომელი ხალხისა და სხვა. წარმოსთქვეს აგრედვე მშვენიერი სიტყვები თვით რაცველ-ლეჩხუმლებმა და სხვა დამსტრეებმა: ჭ. ჭ. კერესელიძემ, ვ. ჯაფარიძემ, ჭ. ი. ისაკაძემ, ს. მერკვილაძემ, პ. ბრეგვაძემ, რომლის მოხდენილმა სიტყვამ მგოსნის საპასუხო მოკლე სიტყვა გამოიწვია;

„აქ სხვათა შორის წარმოითქვა — ბრძანა აკაკიმ — რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ეს სიტყვები მეორმოცი წლის წინად ვსთქვი, მაშინ, როცა ასეთი რამ საფრთხილოც იყო და საეჭვოც, მაგრამ ჩემი წინასწარ ნაძრახი დღეს უკვე გამართლებულია. დღეს რომ დამეწერა იგი, ასე ვიტყოდი: „აღარ სძინავს, გაიღვიძა,“ მეთქი. ეს გაღვიძებაა, რომ სიამითა და სიხარულით ავსებს ჩემს მოღალულ არსებას — დიახ, ქართველმა უკვე გაიღვიძა!“

პრესის წარმომადგენელთა შორის აღსანიშნავია სიტყვები: „თემის“ რედ. გიგო დიასამიძისა „ჩვენი ცხოვრების“ წარმომად. რუბენ

ყიფიანისა, „სახალხო გაზეთის“ წარმომ. ა.
ჭუმბაძისა და „ზაკავკაზ. რეჲ“-ის. პ. გოთუასი,
რომელთაც აღტაცება გამოიწვიეს დამსწრეთა
შორის.

ლხინის დასასრულს, რომელიც ლამის 10
საათამდე გაგრძელდა, დამსწრე საზოგადოებამ
ძველებური მშვენიერი ფერხული ჩააბა, რომ-
ლის შუაგულს მოამწყვდიეს მხცოვანი მგოსა-
ნი და ტკბილი, ორპირი შემოძახილით უვლი-
დნენ გარს. სიმღერითვე მიაცილეს იგი ეტლამ-
დე და ერთსულოვანი ამოძახილით უსურვეს
მას კეთილი და მშვიდობიანი მგზავრობა. დი-
დებული მგოსანი და დამსწრე საზოგადოება
დიდად ნასიამოვნები დარჩა.

თფილისელ რაჭველ-ლეჩხეუმლებს საგანგე-
ბოდ ამ მოგზაურობისთვის გამოუციათ აკაკის
რჩეულ ლექსთა კრებული, რომელიც მგოსნის
მოგზაურობის დროს უფასოდ დაურიგდება
გლეხობას.

„სახ. გაზ.“ № 653.

თბილისი, 30 ივლისი.

ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი ამ უძმად მოგზაურობს რაჭა-ლეჩხუმში. შარშან დიდებული მწერალი ბრძანდებოდა კახეთში; ამ წელს გაზაფხულზე კი იმოგზაურა სამეგრელოში. კახეთსა და სამეგრელოში დიდი აღტაცებით დაუხვდა ხალხი თავის საყვარელ სტუმარს. ამ მოგზაურობის შესახებ უკვე დაისწამდა ცნობები უურნალ-გაზეთებში და მაშასადამე ჩვენ საშვალება გვაქვს მთლიად გავითვალისწინოთ დიდი პოეტის მოგზაურობის დიადი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული საქმისათვის.

აკაკი სწორედ ბედნიერი მწერალია. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ არც ერთ მწერალს ჩვენში არ ხვდომია წილად ისეთი ღრმა სიყვარული ხალხისა, როგორც მას. ეს სჩანს იქიდან, რომ აკაკის ყველგან ზარ-ზეიმით უხვდებიან, ყოველ მის სიტყვას ხარბად ჰყლაპავენ. აკაკის ეტრფის ყოველი შეგნებული ქართველი, რომელი წოდებისაც უნდა იყ-

ვეს ის. იგი უყვარს მდიდარსაც და ღარიბსაც. ჩვენ არა ერთხელ გვინახავს, თუ რანაირი სიხარულით შეგვებებია ხოლმე მას ჩვენებური მუშა-კაცი.

ამისთანა კაცის მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენი ხალხის სხვადასხვა შეგნებულ ელემენტების კულტურულ გაერთიანებისათვის.

მეტადრე საჭირო იყო, რომ მგოსანი სწვევოდა ჩვენი ქვეყნის იმისთანა კუთხეებს, რომლებიც დაშორებულია ჩვენს გონებრივ ცენტრზე. პირისპირ ხილვა იმისთანა მწერლის და მამულიშვილისა როგორიც არის აკაკი, დიდათ გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელია ჩვენს დაბეჩავებულ პროვინციაში მცხოვრებ შესმენილ პირთათვის.

ამიტომ ჩვენ დიდი სიხარულით ვეგებებით მგოსნის განზრახვას მის მათაყვანებელ სამშობლოს ყველა კუთხის შემოვლისას. ახლაც რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობასაც იგივე მნიშვნელობა აქვს. სწორედ საამაყო ამბავია ჩვენ-

თვის, რომ აკაკის მიპატიუება ამ კუთხეში ეგ-
რედ წოდებულ უბრალო ხალხის თაოსნობაა.
თვითონ ამ მშრომელმა ხალხმა შეაღგინა მოგ-
ზაურობის მომწყობი კომიტეტები თბილისში,
ქუთაისში და რაჭა-ლეჩხუმში; მანვე შეიმუშა-
ვა გეგმა და წეს-რიგი მოგზაურობისა.

ეს ამბავი მოწმობს, თუ რაოდენი სიყვა-
რული და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი ჩვენს
სასიქადულო მამულიშვილს დაბალ ხალხში.

აკაკი, თუ არ ჩავსთვლით მის მოგზაურო-
ბას რაჭაში ბავშობისას, ახლა პირველად მოგ-
ზაურობს ამ კუთხეში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კუთ-
ხე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს საყვარელ
მგოსანზე. ჩვენ ვიცნობთ კარგად რაჭა-ლეჩხუმს.
თამამად შეგვიძლია ვსოდათ, რომ ამ კუთხეში
შენახულია ძველი ქართული ჩვეულებანი თით-
ქმის ხელ-უხლებლად. როცა შედიხართ რაჭა-
ლეჩხუმში, თქვენ მაშინვე ტყობილობთ, რომ
აქ, ამ მხარეში, გარეშე, უცხო ელემენტი არ
ბატონობს.

აქ შძლავრობს მარტო ყოველივე ქართული: ენაც დაცულია ზნეცა და ჩვეულებაც. ამიტომ დიდი ხანია იყო საჭირო, რომ ერთ-მანეთი ენახა ქართველობის ერთგულ შვენი-ერ კუთხეს და დიდებულ ქართველ პოეტს და სწორედ სასიხარულოა, რომ ეს ეხლა მოხდა. რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნი დაშორებული არიან საქართველოს ორსავე დედა ქალაქს, სადაც ეროვნული კულტურული სიცოცხლე სდულს და გადმოდის.

მაშასადამე, რაჭა-ლეჩხუმლები, როდესაც პირის-პირ დაინახავენ ჩვენს საამაყო მოღვაწეს, მოისმენენ მის სიტყვას, შეიგნებენ, თუ რას ნიშნავს საზოგადოებისა და სამშობლოს სასაჩვებლოდ მოღვაწეობა, მთლად გაითვალისწინებენ იმას, თუ რა დასთესა ჩვენმა აკაკიმ.

უკვე მოვიდა პირველი ცნობები, თუ რა აღტაცებით დაუხვდენ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში. ეს სწორედ მეფური დახვედრა ყოფილა.

გზაში მიმავალ ტურისტებს გაჰკვირვებით, თუ ვინ მიჰყავთ ასეთი დიდი ამბითო, გა-

უჩერებიათ მგზავრნი, გამოუკითხავთ და, რო-
ცა შეუტყვიათ ყველაფერი, თითონაც მისალ-
მებიან პ. აკაკის.

ის აღტაცება, თავის მწერლისადმი, რო-
მელიც გამოიჩინა ხალხმა რაჭა-ლეჩხუმში, უტ-
ყუარი ნიშანია ჩვენი ხალხის კულტურული
ზრდისა და შეგნებისა.

ამიტომ დიდი მაღლობის ლირსი არიან
ამ მოგზაურობის მეთაურნი და მომწყობნი.
მათ გააკეთეს სწორედ დიდი ეროვნული საქმე,

„ოემი № 82.

21 ივლისიდან 1 აგვისტომდის.

ქუთაისის რაჭველობა სამი კვირით ადრე
შეუდგა სამზადისს საყვარელ მგოსნის მისაღე-
ბად, რის გამო შესდგა კომისია ვ. პეტრია-
შვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც მგო-
სანთან შეთანხმებით შეადგინა მოგზაურობის
გეზი, დაიქირავა ეტლები და დანიშნა დღე ქუ-
თაისიდან გამგზავრებისა შაბათი, 21 ივლისი.
19 ივლისს, ხუთშაბათს, სალამოს მატარებლით

უჩერებიათ მგზავრნი, გამოუკითხავთ და, როცა შეუტყვიათ ყველაფერი, თითონაც მისალმებიან პ. აკაკის.

ის აღტაცება, თავის მწერლისადმი, რომელიც გამოიჩინა ხალხმა რაჭა-ლეჩხენებში, უტყუარი ნიშანია ჩვენი ხალხის კულტურული ზრდისა და შეგნებისა.

ამიტომ დიდი მადლობის ლირსი არიან ამ მოგზაურობის მეთაურნი და მომწყობნი. მათ გააკეთეს სწორედ დიდი ეროვნული საქმე,
„თემი № 82.

21 ივლისიდან 1 აგვისტომდის.

ქუთაისის რაჭველობა სამი კვირით იღრე შეუდგა სამზადისს საყვარელ მგლსნის მისაღებად, რის გამო შესდგა კომისია ვ. პეტრიაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც მგლსანთან შეთანხმებით შეადგინა მოგზაურობის გეზი, დაიქირავა ეტლები და დანიშნა დღე ქუთაისიდან გამგზავრებისა შაბათი, 21 ივლისი. 19 ივლისს, ხუთშაბათს, სალამოს მატარებლით

ტფილისიდან ჩამოპრძანდა მგოსანი აკაკი რო-
 მელსაც თან ჩამოყვნენ ვას. წერეთელი, გრ.
 დიასამიძე, ს. მერკვილაძე, და ტფილისის კუ-
 მისიის წევრი იობა ისაკაძე. ქუთაისის სადგურ-
 ზე მგოსანს მიეგება ქუთაის კომისია, რაჭე-
 ლები და სხვანი, რიცხვით 60-მდე; კომისიის
 თავმჯდომარემ ვ. პეტრიაშვილმა მგოსანს მი-
 ართვა პურ-მარილი და უთხრა მოკლე სიტყვა,
 რომლითაც უძღვნა მგოსანს სალამი და მიუ-
 ლოცა მშვიდობით მოპრძანება და მგზავრობა.
 მგოსანი თავისი ძმისწულით იმ ღამეს დაბი-
 ნავეს სასტუმრო „გრანდ-ოტელში“; მეორე
 დღეს ქუთაისის კომისიას, რაჭელობას და დამ-
 სწრე კერძო პირებსაც გადაწყვეტილი ჰქონ-
 დათ ნადიმი გაემართათ მგოსნისათვის, მაგრამ
 დაღლილობისა გამო აკაკიმ არ ისურვა და ამ-
 ჯობინა დასვენება მთელი დღე, რათა შაბათ
 დილიდან კარგად ემგზავრა. პარასკევ ღამეს
 ცოტა წამოწვიმა, გზებიც მორწყო და პაერიც
 გააგრილა; ვთიქრობდით მეორე დღით იწვი-
 მებდა და ცოტა არ იყოს ვწუხდით, მაგრამ

ბუნებამ თითქო თანაუგრძნო, ხელი შეუწყო
ამ დიდებულ მოგზაურობას. 21 ივლისს მშვე-
ნიერი გრილი დღე დადგა. მგოსანი ხუთ საათ-
ზე გამოლვიძებული დაგვიხვდა. ერთი საათის
განმავლობაში ყველამ მოიყარა თავი. მგოსანს
მოართვეს ოთხ-ცხენიანი ეტლი ლამაზად მორ-
თულ-მოკაზმული ცოცხალი ყვავილებით და
სუროს ფოთლებით; სასტუმროსთან მალე შე-
იკრიბა ხალხი, უმჯრესობა--რაჭველი მუშები;
მოვიდა სხვა ეტლებიც; გამოიყვანეს აკაკი და
გააჩერეს სასტუმროს წინ ქვაფენილზე, გარ-
შემო გაუჩერდენ მხლებლები და ქუჩის ორივე
მხრივ კი ხალხი; ამ გვარად გადაილეს სურათე-
ბი, როგორც ფოტოგრაფმა აგრეთვე სინემა-
ტოგრაფმა. შვიდ საათზე აკაკი ჩაჯდა ეტლში
და დაიძრა ყველა ეტლები. მგოსანს ქუთაისი-
დან გაჰყვნენ რაჭა-ლეჩხუმში კომისიის წევრე-
ბი ვ. პეტრიაშვილი, ს. დათეშვიდე და იაკობ
ვარაჩაშვილი, ამათ გარდა—მხატვარი კოტე
ქავთარაძე, „რაღიუმის“ თეატრის სინემატო-
გრაფზე სურათების გადამლები ვ. ამაშუკელი,

„კოლხიდის“ რედაკტორი მ. ჯაფარიძე და მეც, ამა სტრიქონების დამწერი. წინ მიღიოდა მგოსნის ეტლი, შემდეგ ორი ეტლით მხლებლები და ბოლოს ათი ეტლით მგოსნის პატივისმცემელნი გამცილებლები. ქალაქის ნაპირას, ჭომაში სპირდონ წერეთლის ეზოში ვ. აბულაძისა და ს. მხეიძის განკარგულებით და დიასახლისების წერეთლის ქალთა თაოსნობით და სამსახურით მგოსანს და მასთან მოგზაურებს დაგვახვედრეს ჩაი, მიგვიწვიეს ყველანი, ჩაი გაგრძელდა 30 წუთი; გადაიღეს სურათები როგორც ფოტოგრაფმა აგრეთვე სინემატოგრაფმაც მოგზაურებისა და დამსწრე საჩოგადოებისა. ჩაის სმის დროს რაჭველმა მუშებმა მოხუცის რაჭველის ზურაბ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით ჩააბეს ფერხული, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ინტელიგენტმა რაჭველებმაც, როგორც მაგალითად დარ. ჭიჭინაძემ, სამს. დათეშიძემ, სეფე მხეიძემ და სხვათ; ბოლოს გამართეს ლეკცია და ეროვნული სიმღერები; საყურადღებო იყო მოხუცის ზურ.

დემეტრაშვილის შაირებით სიმღერა და ტაშის შეწყობა; ყველას სახეზე მხიარულობა ჰქონდათ აღბეჭდილი და დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას გრძნობდნენ. გაღმოვედით თუ არა ეზოდან ქუჩაზე, რაჭელებმა მგოსანს და მხლებლებს გზა დაგვილოცეს ღვინით და იმღერეს მრავალ-უამიერ; ამასობაში ორი ეტლით წამოგვეწივნენ დაფა-ზურნით ქართველი სტუდენტები, რიცხვით ოთხი და ქუთაისელი მოვაკრე დ. ქებაძე, რომლებიც შემოუერთდნენ შემოსნის გამცილებლებთ; მეოთხე ვერსზე გადაიღეს სურათები დიდებული მოგზაურობისა გამცილებლებითურთ.

ს. ოფურჩეთში, მეათე ვერსზე, ჩანჩქერთან მგზავრები შეჩერდნენ; აქ ქუთაისელმა მღვდელმა აღ. გერსამიამ მოკლე სიტყვით დაულოცა გზა მგოსანს და უსურვა მშვიდობით მოვლა; ქუთაისის რკინის გზის სადგურის არტელის მუშა მიხეილ ხომასურიძემ მიმართ მგოსანს შემდეგი ლექსით:

„დიდი ხანია ჩემო მგრისანო,
თქვენი ხილვისა მაქვს მე წყურვილი
და ვერ ვბედავდი, რადგან სწავლითა
არა ვარ სხვაებრ მე აღჭურვილი.

მაგრამ ჩემს გულში რაღაც ფეთქავდა,
გრძნობა არ მქონდა მე დახურული,
და ჰა ვეღირსე გულის წადილსა,
დღეს აღმისრულდა ნატვრა-სურვილი.

დღეს მსურს მოგიძლვნა პატარა ლექსი,
ჩემს შესაფერად, ღარიბულ ენით,
რომ ობოლ ქვეყნის ერი ქართველი
დღეს გულს იმაგრებს ჯერ ისევ თქვენით.

თუმც ვერ შეგამკობ, დიდო პოეტო,
როგორც რიგია და თვით წესია,
მაგრამ ნეტარ-გყოფს ქართველთ მგოსანო.
რაც ჩაგრულ ხალხზე დაგითესია.

საწყლისა შვილის ბლაგვი აზრ-ნიჭი
თქვენებრ სიტყვებზე აგილესია,

მისთვის დაგიდებს ქართველი ერი
ლვთის წინა გლოცავს თვით ეკლესია.

ქართველთა ტანჯვა აგიშერიათ,
ვით ძაფზე ქარვის კრიალოსანი,
ობოლო და ბედკრულთ შენ ანუგეშებ
ვით სალამური ტკბილად ხმოსანი.

მისთვის ღირსია ქება-დიდების
შენი ქალარა პატიოსანი;
რაღანაკ გვამცნე, რომ შენ ხარ ობლის
და ქართველთ ერის დიდი მგოსანი.

აქ გამოგვემშვიდობენ გამცილებლები და გავს-
წიეთ. 10 საათზე ჩავედით სად. **ნამახდანში**, საიდ-
განაც 10 წუთის შესვენების შემდეგ განვაგრძეთ
გზა. ამ სადგურიდან მეოთხე ვერსზე ტელე-
გრაფის ბოძზე დავინახეთ სუროს ფოთლების
ჩარჩოში ჩასმული წარწერა „ლეჩეუმი“; ამ
ბოძთან, საღა კ თავუკება ქუთაისის მაზრა და
იწყება ლეჩეუმის მაზრა გადმოვიდა მგოსანი

ეტლიდან გაჩერდა მხლებლებითურთ და გადაიღეს სურათები. გავიარეთ რამდენიმე საექნი თუ არა შემოგვევებენ ლეჩეუმის მაზრის დერჩის საზოგადოების წარმომადგენლები 12 ცხენოსანი ეროვნული ტანისამოსით. ეგ. კახიძემ მიართვა მგოსანს პურ-მარილი და უძღვნა სალამი, იას. ახვლედიანშა მიმართა შემდეგის სიტყვით:

„ერთი თვეა რაც რაჭა-ლეჩეუმში გაისმა ხმა აკაკი მობრძანდებაო; შენის სახელის ხსენებაზე გულიდან რაღაც მძიმე რამ მოგვწყდება, თითქო ბორკილები დავამსხვრიეთ და გავთავისუფლდით. აი ჩვენო დიდებავ, ნამდვილი ხალხის გულიდან ამონახეთქი სიტყვები. ვაშა ჩვენო სიამაყევ! შენი მქუჩარე სიტყვები ამ კლდე ლრესაც გამოაღვიძებს. ვაშა ჩვენო ჭირისუფალო, რომ შენი ენა გახდა ხალხისათვის სათაყვანებელი, ბედნიერი ხარ მგოსანო და ბედნიერი ვართ ჩვენც რომ შენშა შრომაშ სასურველი ნაყოფი გამოიღო“. ფოტოგრაფ სი-

ნებატოგრაფმა გადაიღეს სურათები ცხენოსნებით და გაუდექით გზას.

მშვენიერ სურათს წარმოადგენდა მგოსნის ეტლი, ვარდ-ყვავილებით მორთული, გარშემო ცხენოსნებით, ორპირი ეროვნული ხმით მოძლერლები და მას უკან მხლებლებით მიმავალი. ნათელ-ღრუბლიანი ცაც ხელს გვიწყობდა და ვითარება მოსეს ხალხს ეგვიპტიდან სამშობლოში მიმავალთ გვიფარავდა გზის სხივებიდან. მოგზაურები ვსტკბებოდით მარჯვნივ ფაზისის დუდუნით და მარცხნივ უზარ-მაზარი კლდეების, ბუნების სიღიადის ცქერით. ასეთი ამშით და მხიარულებით ჩავედით მექვენაში.

აქ დაგვხდა დერჩის საზოგადოება; აუარებელ ხალხს! განურჩევლად სქესისა და წოდებისა მოეყარა თავი; ჩამწკრივებულიყვნენ მისავალთან, სადაც გაეკეთებინათ და სურო-ფოლებით მოეკაზმათ (თაღი) წარწერით „სალამი მგოსანს“. ქალების გუნდმა ახვლედიანის მეუღლის ლოტბარობით იმღერა მისაგებებელი სიმღერა მშვენიერის ხმით; მგოსანს მოართვეს

ყვავილებ-ფოთლებით მორთული სავარძელი, ჩასვეს, ასწიეს მაღლა და „ვაშას“ ძახლით, ყვირილით და სიმღერა-გალობით ჩაიყვანეს სოფ-ლის სამმართველოს ეზოში, საღაც გაშლილი იყო ფანჩატურში 10—12 საუკის სიგრძეზე ქართული სუფრა; ეზოს შესავალში მოწყობილ კამარაზე იყო შემდეგი წარწერა: „მობრძანდით სასიქადულო მამულიშვილო!“ წინ მგოსანს მიუძღვდნენ პატარა ქალები და ყვავილს უფენ-დნენ გზაზე; ასეთი დიდებით ჩაიყვანეს მგოსა-ნი ეზოში და დასვეს მისთვის მომზადებულ ადგილზე. დიდებული შეხვედრა იყო. შეუძ-ლებელია აწერა ყოველივე იმისი, რაც იქ ხდე-ბოდა ხალხში; დიდი და პატარა აღტაცებულ-ნი და გახარებულნი იყვნენ საყვარელი მგოს-ენის ხილვით; მიდამოს სადღესასწაულო ელფე-რი ედო; ბუნებაც ხელს უწყობდა: ცოტად მოლრუბლული იყო და სასიამოვნოდ გრილო-და, აქაურ სურათის დანახვაზე ადამიანს ტან-ში ურუანტელი მოუვლიდა და თვალებზე სი-ხარულის ცრემლები მოადგებოდა; ეზოში მგო-

სანს, ასათიანის პატარა ქალმა უთხრა ლექსი „განთიადი“ და მიართვა თაიგული.

მგოსანმა აიყვანა ბავშვი ხელში მიუალერსა და აკოცა; შემდეგ მგოსანს მისცეს ხელში ხუთი-ექვსი წლის პატარა გოგონა წერეთლისა და გადაიღეს სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით. პირველი საათის ნახევარზე გაიმართა სადილი; ადლეგრძელეს მგოსანი; მრავალი სიტყვები წარმოითქვა, ამას მოჰყვა ეროვნული სიმღერები, მომღერალი ქალების ორპირი სიმღერა, და სხვა.... სადილი გაგრძელდა ორ საათს; ქალებმა ყანწებით და კათხებით ხელში ადლეგრძელეს მგოსანი, მგოსანმა მოკლე სიტყვით მიმართა ქალებს. სადილის გათავებისას ქალების გუნდმა უმღერა აკაკის განშორების სიმღერა; მგოსანი ისევ სავარძელში ჩასვეს, ასწიეს მაღლა და სიმღერით, ვარდებუვავილების მოფენით გაატარეს ასი საუენის მანძილზე და ჩასვეს ეტლში, გამოემშვიდობნენ და გაისტუმრეს „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ყვირილით. მშვენივრად იყო წესრიგი დაცუ-

ლი სარდ. და ეკატ. ახვლედიანების და მოსწავლე ახალგაზღობის მიერ. ნაშუადოევის ორ საათზე ეტლები დაიძრა და გავსწიეთ; მგოსნის ეტლს წინ მიუძღვოდნენ მომღერალნი, რომლებმაც გაგვაცილეს ათი ვერსის მანძილზე. ეს მხიარული გაცილება გადაღებულ იქმნა სინემატოგრაფით და ფოტოგრაფით. გავიარეთ საკვირველი ტვიშის კლდეების და მწვერვალის ძირში და მეხუთე საათის ნახევარზე მივაღწიეთ ალფანას; აქაც მოგვევება რამოდენიმე ასი კაცი და ქალი; მგოსანს მიართვეს პურ-მარილი და მოკლე მისასალმებელი სიტყვები უთხრეს თავ. ერმალო გელოვანმა, თავ. ალ. და ლევან დადეშქელიანებმა და ერაჯი ჩიქოვანმა. ნიკო კუპრაშვილის ხუთი წლის პატარა ქალმა მოხდენილად წაუკითხა ზეპირად მგოსანს ლექსი „მთა წინდა ჩაფიქრებულა“ და ვარდების კონა მიართვა; მგოსანმა აიყვანა ხელში პატარა ქალი და გადილო სურათი; აქ დადეშქელიანგელოვანებმა სთხოვეს მგოსანს უწერიდან დაბრუნებისას შეეხვია ლაილაშ-ცაგერში და იქაუ-

რებიც გაებედნიერებია ნახვით; მგოსანმა აღუთ-
ქვა დაბრუნებისას ლაილაშვი შევლა. ნახვა-
რი საათის შემდეგ გავაგრძელეთ გზა, საზოგა-
დოებამ მგოსანი გაისტუმრა დიდი ამბით. გა-
ვიარეთ საოცარი საირმეს კლდეები, რომელთა
სურათები გადავიღეთ, და დავეშვით ჭალებში.
თან და თან აგრილდა, საღამოს სიომ მოჰბერა.
შეუდექით ჭალებს და ყანებს, მეეტლეებმაც
დააქანეს ცხენები; მგოსანი მხლებლებით მხია-
რულად გრძნობდა თავს, ბუნება თან და თან
იცვლებოდა და დიდებული სურათები გვეშლე-
ბოდა თვალწინ.

მიუახლოვდით სადგურ ჭრებალოს (ჭყვი-
შის საზოგადოება); გზის პირად ჩაწერივებული
იყვნენ 24 ცხენოსანი მგოსანის შესაგებებლად;
საღამის შემდეგ, შემოევლენ გარშემო ეტლს
და სიმღერით გაუძლვნენ წინა; შეხვედრა გა-
დაღებულ იქმნა. მივედით ჭრებალოში საღა-
მოს შვიდ საათზე. შესავალთან მორთული იყო
კამარა, პურის თავთავისაგან გამოყვანილი იყო
ასოები, ამოვიკითხეთ შემდეგი წარწერა „ჭრე-

ბალო“ „აკაკის გაუმარჯოს“, „შუაზედ ეკიდა მგოსნის სურათი, მთელი ერთი ვერსის სიგრძეზე ჩამწკრივებულიყო ხალხი, იქნებოდა ოცნებით ხუთი ათასი სული; გახდა თოფების და დამბაჩების გრიალი „ვაშას“ ყვირილი და ერთი ამბავი. დუქნები და სახლება სადღესასწაულოდ იყო მორთული. მგოსანი სავარძლით ასწიეს და შეიყვანეს ნოხებით (ხალიჩებით) მოგებულ დარბაზში, სადაც ათიოდე წუთი დაისვენა.

შემდეგ გამოვიდა დერეფანში და სალამი უძლვნა საზოგადოებას. აქ მიმართეს სიტყვებით სამღვდელოების წარმომადგენელმა დეკანოზმა მ. ფრუიძემ, ჰუკშის საზ. გლეხების წარმომადგენელმა იას. ლუხუტაშვილმა და საკუთარი ლექსით თავ. ქაიხოსრო გელოვანშა. დეკანოზმა ნ. ფრუიძემ მიმართა მგოსანს შემდეგი სიტყვით:

„მოგეგებით რა სამღვდელოება და ერი ლოცვა-კურთხევით, ვმადლობთ ლმერთს, რომ ჩვენი პატარა მხარეც გახდა ლირსი თქვენის

მობრძანებისა და ნახვისა. ყველა უზომო სი-
ხარულს გრძნობს თქვენი დანახვით. თუმცა
თქვენი უკვდავი სახელი ყველას გაგონილი
აქვს, მაგრამ პირადად კი დღემდის აქ არავის
უნახვიხართ, ამიტომ ყველა გულდაწყვეტილი
ვიყავით და ვნატრობდით თქვენს ხილვას. ამ
სამი კვირის წინად გაისმა რა ხმა რაჭა-ლეჩ-
ხუმში თქვენი ჩამოსვლისა, ყოველი სოფელი
შეინძრა და სამზადისს შეუდგა. ყველას გვიხა-
როდა ნახვა იმ ძვირფასი კაცისა, რომლის შრო-
მა-მოლვაწეობა ასულდგმულებს და აბედნიერებს
ხალხს ცხოვრებაში. თქვენი ძვირფასი სიტყვე-
ბის მოსმენა ყველასათვის სასურველი და სანა-
ტრელია. ჩვენთვის ეს ბედნიერი დღე შესანიშ-
ნი და ლირსსახსოვარია. თქვენ მამა ბრძანდე-
ბით უკვდავი და სახელოვანი ჩვენი ერისა,
ლამპარი მანათობელი და გაუქრობელი, თქვენ
არ აქცევთ ყურადღებას არც დიდებულ ცხოვ-
რებას, არც დიდ-კაცობას, არც შთამომავლო-
ბას, არამედ სახარებისამებრ მშვიდად და მდაბ-
ლად იქცევით, ყოველი აღამიანი ძმად და მოყ-

ვრად მიგაჩნიათ, ყველასთვის გულმხურვალედ
იღვწით და შრომობთ, ყველას შველით და
თანაუგრძნობთ. ბევრი საუკუნე გაივლის, რომ
თქვენი უკვდავი სახელი არ გაჰქრება ხალხის
ცხოვრებაში; გიხაროდეთ, რომ თქვენებრ თა-
ვდადებულს მოღვაწეს მოელის ჯილდო ზეციუ-
რი გვირგვინი და ნეტარება, გმადლობთ, უკვ-
დავო მგოსანო, რომ არა მიმხედველი თქვენის
მოხუცებულობისა, ჩვენც არ დაგვტოვეთ უნა-
ხავად და გაგვაძედნიერეთ მობრძანებით. შე-
ვევედრები უფალს თქვენის ჯანმრთელის სი-
ცოცხლისათვის, რათა კიდევ გვლირსებოდეს
ამ ჩვენს კუთხეში თქვენი ნახვა და სალაში”.

**თ. ქაიხოსრო გელოვანმა უთხრა შემ-
დეგი ლექსი:**

„მხცოვანი მწირი დიდებულ მგოსანს
კრძალვით მოგიძლვნი თაყვანის ცემას.
გილოცავ გვირგვინს უკვდავებისას,
ნაყოფს ზეციურ შენი ნიჭისას.

შენ გააღვიძე მძინარე ერი,
შენ შთაბერე მას ფხიზელი სული,
მისთვის თაყვანს გცემს მშობელი ერი
შენით ფენიქსებრ განახლებული.

გამოიფხიზლა შენმა სამშობლომ
შეიგნო შენი დიადი ლვაწლი;
იხარე სულით, დიდო მგოსანო,
რომ შეასრულე შენ შენი ვალი”.

მგოსანმა გადაკოცნა ისინი და ყველას მაღ-
ლობა უძლვნა და თან მიმართა მოკლე სიტ-
ყით, რომლის შინაარსი აქვე მომყავს:

„ბატონებო! მაღლობას გიძლვნით ასეთი
გულწრფელი თანაგრძნიბისათვის, მაგრამ ეს
სიტყვები მომართული ჩემდამი ცოტა არ იყოს
გადაჭარბებულად მიმაჩნია; ქართველებს ჩვეუ-
ლებადა გვაქვს და გვიყვარს გადაჭარბება; ამ-
დენი ქება დიდების ლირსი მე არა ვარ. რაც
შეეხება მას, რომ სხვა საქართველოს კუთხეე-
ბი მოვიარე და ოქვენი ქვეყანა რაჭა-ლეჩებუმი,
სადაც, როგორც ვხედავ, ქართული ენა და
ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდათ, ვიდ-

რე სხვა კუთხეებში, ეერ ვინახულე, ამაზედ
მე ბოდიშს ვიხდი; მაგრამ ამასთანავე უნდა
მოგახსენოთ, რომ თქვენი კუთხის ნახვა გადავ-
დევი საბოლოოდ; როგორც სადილის გათავე-
ბისას სტუმარს მიართმევენ რაიმე გემრიელ სა-
კამანდს ან ტკბილეულს და ჩაუგემრიელებენ
პირს, ისე მეც ვიფიქრე საბოლოოდ შემენა-
ხა თქვენი კუთხის დათვალიერება რათა მო-
ხუცებულობის დროს თქვენისა და თქვენის
ქვეყნის ნახვით დავმტკბარვიყავი და კიდევაც
ამისრულდა. საზოგადოებაში გაისმა ტაშის
გრიალი და „ვაშას“ ძახილი. ამის შემდეგ
მგოსანს ჩაი მიართვეს და მოასვენეს. ხალხიც
დაიშალა მეორე დილამდე. დარჩენენ მხოლოდ
ზოგიერთი საპატიო პირნი ყოველი წოდების
წარმომაღგენელნი, რიცხვით 50-მდე. თორმეტ
საათზე ცალკე დარბაზში გაიმართა დიდებული
ვახშამი. მგოსნის მხლებლები მიგვიწვიეს, თა-
მადობა მიანდეს თავ. ქაიხოსრო გელოვანს,
რომელმაც გრძნობიერი სიტყვებით ადლერგძე-
ლა მგოსანი და მისი მობრძანება, მხლებლები,

სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და გლეხები. იმღერეს სვანური და სხვა და სხვა ეროვნული სიმღერები. ვახშამი გაგრძელდა ლამის სამ საა-თამდის. შემდეგ ჩინებულად მოგვასვენეს.

კვირას, 29 ივლისისათვის, ჭრებალოში დანიშნული იყო ლექციის წაკითხვა; 8-9 საა-თიღანვე დიღმა და პატარამ იწყო მოსვლა; ყოველ კუთხიდან. მგოსანი ამ დროს ჩანჩქარ-თან იჯდა და მუსაიფობდა. 12 საათზე აკაკი ჩასვეს მორთულ სავარძელში და ხელით ჩამოა-ტარეს ქუჩები, იქით აქეთ იდგა საზოგადოება, იქნებოდა დაახლოვებით 4—5 ათასი კაცი და ქალი; აკაკი მიიყვანეს ქუჩის ბოლოში მორ-თულ კათედრასთან და დასვეს. გარშემო შე-მოესია ეს ამოდენა ხალხი; მგოსანმა დაიწყო თავისი ლექცია, რომელშიაც ჯერ ილაპარაკა საქართველოს ორქეოლოგიური ნაშთების, ძვე-ლი მონასტრებ-ტაძრების და ძველი ნივთების შესახებ. მეორე ნახევარში კი ზეპირ-სიტყვაო-ბის მნიშვნელობის და შეკრების შესახებ.

ლექციის შემდეგ გამართული იქმნა ნა-

დიმი მინდორში ას წლოვან ცაცხვის ქვეშ
მორთულ ფანჩატურში; მონაწილეობა მიიღო
200 სულმა. თამადობა მიულოცეს თავ. ქაი-
ხოსრო გელოვანს. წარმოითქვა მრავალი სიტ-
ყვები; ილაპარაკეს გრ. ღიასამიძემ, მღვდელ-
მა ვლ. ბოჭორიშვილმა, რ. ლეჩხუმელმა, ირ.
ცხვედიანმა და ტოლელმა მუშამ ზ. მუსე-
ლიანმა; გლეხებს მგოსანმა თავის სადღერგძელო-
ში უთხრა: „ქვეყნის ხსნა შრომის მოყვარეობაზეა
დამყარებული, მშრომელი ხალხი კი თქვენა
ხართ და თქვენ უნდა დააგვირგვინოთ ეს თქვენ
მიერ ნათქვამი სიტყვები, ამასთანავე საჭიროა
ურთიერთი დამოკიდებულება გლეხებ-თავად-
აზნაურებთა შორის, რომელიც აგრედვე დამყა-
რებულ უნდა იქნას ეროვნულ მიმდინარეო-
ბაზეო“. მგოსანმა სათითაოდ გადაჰკოცნა მო-
ლაპარაკენი. შემდეგ განსაკუთრებით ადლეგრძე-
ლა მგოსანმა ქალები, უსურვა მათ ნამდვილი
ძველებური ქართული დედობა და მამაკაცებ-
თან ერთად კულტურული მუშაობა.

წარმოითქვა სადღეგრძელოები აგრედვე

ახალგაზდობის, ქართველი ერის აღორძინების
შესახებ და სხვა... .

შემდეგ გაიმართა, ლეკური და ახალგაზ-
და ქალ-ვაჟთა მახდენილი ცეკვა, რომელიც
გადაღებულ იქმნა ფოტოგრაფით-სინემატოგრა-
ფით, შემდეგ მოჰყვა სვანური და სხვა და სხვა
სიმღერები. საღილის გათავებისას მგოსანს
ჭყვიშის საზოგადოებისაგან მოართვეს საჩუქრად
ოქროს სურა წარწერით: „მხცოვანს მგოსანს,
სასიქადულო მამულიშვილს აკაკის ნიშნად გუ-
ლითადი სიყვარულისა“.

პოეტმა მადლობა უძლვნა საზოგადოებას
და უთხრა: „თუმცა ყოველივე ნივთიერი სა-
ჩუქარი სუსტი და წარმავალია, მაგრამ ეს თქ-
ვენ მიერ მოძღვნილი საჩუქარი ჩაინერგება ჩემს
გულში ამოუშლელი სიყვარულით და თანაგ-
რძნობით თქვენდამი“.

ოთხ საათზე დამთავრდა საღილი და ხუ-
თის ნახევარზე გამოვედით ქრებალოდან; ხალ-
ხი კიდევ მომატებოდა, ყველას უნდოდა ენა-
ხა მგოსანი; გაიარა მგოსნის ეტომა თუ არ დაი-

გრიალეს: „გაუმარჯოს აკაკის“ და „ვაშა“, ამასთანავე შეიქნა თოფების და რევოლვერების სროლა. ასეთი ამბით მივადექით რაჭის საზღვარს. — რაჭის საზღვართან მდ. ასკის ხიდთან მოეგება მგოსანს რაჭიდან 40 კმენოსანი განურჩევლად წოდებისა და მოსწავლე ახალგაზდობა. მორთულ-მოკაზმულ კამარაზე ჩამოკიდებული იყო აკაკის სურათი¹⁾, აქ ეტლი შეაჩერეს და მგოსანს მიმართა მღვდელმა ლონგინოზ კიკვიძემ, შემდეგი სიტყვით:

„მობრძანდით ძვირფასო სტუმარო! ბუნებით მდიდარი, მაგრამ ბედის ანაბარად რაჭა დაგდებული სულით და გულით გეგებება ეროვნულ ლიტერატურის გამაცისკროვნებელ პეონის და თქვენის მობრძანების დღეს სოვლის უუბედნიერეს დღეთა რიცხვში, დარწმუნდით, ჩვენო სასიქადულო მამული შვილო, რომ ასეთივე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული თქვენდამი რაჭის მკვიდრი, როგორითაც უველა ცოტათ თუ მეტად შეგნებული და გადა-

¹⁾ თან ეწერა: „რაჭა ფიანდაზად გეშლება“.

გვარებისაგან შორს მყოფი დანარჩენი ჩვენი
 მოძმევები, ამიტომაცაა, რომ გაისმა თუ არა
 ხმა შესახებ თქვენი მობრძანებისა, გულწრფე-
 ლი მხიარულება გამეფუა ჩვენს არე - მარეში
 და გულის ფანცქალით მოელოდა კაცი და ქა-
 ლი, დიდი და პატარა იმ სანეტარო წამს,
 ოდეს იგი გახდებოდა ლირისი თქვენი ხილვისა,
 განა ეს გასაკვირველია?! დღევანდელ დღეს რა-
 კი პირველად ელირსა პირისპირ იხილოს ის,
 რომელსაც მამულისადმი სამსახური გაუხდია
 სათაყვანო საქმედ და დღიდან საზოგადო ასპა-
 რეზე გამოსვლისა ერთგულ დარაჯად უდგას
 თავის ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნე-
 ბა სამშობლოს სამსხვერპლოზე; იხილოს ის,
 რომლის ჩანგას უღერასაც სევდის პანგებთან
 ერთად იმედის სხივებით აღუფრთოვანებია ჩვე-
 ნი უსამართლობით დათუთქული გული და
 დამატებობელ ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს
 სმენას, უთუოდ წინასწარ მეტყველებრივი სიტ-
 ყვები, რომ ზამთრისაგან დაჩაგრულნი მოვეს-
 წრებით გაზაფხულსა, ოლონდ კი გამოვერ-

კვირით საღათას ძილს, ვიცნოთ მომაკვდინებელი ძალი შარბათისა და შევისისხლხორცოთ სულმნათი რუსთაველისა ინდერძი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკივდილი სახელოვანი“.

ნება მიბოძეთ, ჩვენო ერის სიამაყევ, მოგმართოთ ერთი კალმოსანის სიტყვებით და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მადლობით აღსავსე გული სახატედ რომელშიდაც გექნება სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ჩვენის თანავრძნობისა და სიყვარულისაგან აღგებული, ჩვენი თაყვანის ცემისა და დიდებისაგან შეხურული. კეთილი იყოს თქვენი მობძანება“!

ნაშუადლევის მეხუთე საათზე გამოვემშვილობეთ ჭრებალოელებს. ქვემო რაჭის წარმომადგენლები, 40 ცხენოსანი, გარშემოერტყნენ მგოსნის ეტლს, დასძახეს სიმღერა და თოფ-დამბაჩების სროლით დაგვაქანეს რაჭისაკენ. ასეთი დიდებული გამოსვლა ჭრებალოდან და აღტაცებული შეხვედრა ქვემო რაჭველებისა გადალებულ იქნა სინემატოგრაფით ვასო ამა-

შუკელის მიერ და ფოტოგრაფით კოტე ქავთარაძის მიერ.

მივდივართ დიდი მოლხენით და ამ-ბით; თან და თან აგრილდა; ტოლა-ხვანჭარა - საღმელის ჭალებში გავლას ამ დროს არაფერი სჯობდა: სწორი, გაჭიმული გზა-ტკეცილი, აქეთ-იქით სამი არშინის სიმაღ-ლეზე ასული მშვენიერი სიმინდის ყანები, ყა-ნებს გადალმა მარჯვნივ მოდუდუნე რიონი, თან გამაგრილებელი ნელი სიო—ყოველივე ეს რაღაც გამამხიარულებელ და სულის დამამ-შვიდებელ გრძნობებს ჰგვრიდა მოგზაურებს; მახლობელ სოფლებიდან გზებში ჭალები და პატარა გოგო-ბიჭები გვიხვდებოდნენ, რომელ-თაც ჩვენც მხლებლები გავძახოდით: „შუა ეტ-ლში ზის აკაკი, შეხედეთ“ და თან ვესროდით მათ აკაკის რჩეული ლექსების წიგნაკებს, რო-მელიც გვქონდა წალებული სამი ათასამდე; ბავ-შები აღტაცებით იჭერდნენ წიგნაკებს და ერ-თი მეორეს გლეჯდნენ ხელიდან.

ჩავდით ს. ტოლაში დაგვხდა საზოგადოე-

ბა პურმარილით. თავ. დიმიტრი ყიფიანმა შემ-
დეგი გრძნობიერი სიტყვით მიმართა მგო-
სანს. „ჩვენო საამაყო მამულიშვილო ბატონო
აკაკი!

როგორც უნცროსს შვილს დედის ალექ-
სი შეეხარბება ხოლმე უფროსისათვის, ისე
ჩვენი გული აჩუყებული იყო, როდესაც თქვენ
სხვა და სხვა კუთხეში ჩვენი უფროსი ძმები
იმერ-ამერისა ტკბილათ და აღტაცებით გეგე-
ბებოდნენ. აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა:
გიხილეთ---დღემდის ჩვენთვის უხილავი. მო-
დით თქვენ ხალხნო, იხილეთ და გულში ჩაი-
ხატეთ დიდებული სახე საქართველოს საყვარე-
ლი მგოსნისა! პირველად რომ ვეფხვის ტყაოსანი
წავიკითხე, ყველაზე უფრო ადამიანის მზესა და
მთვარის შედარებამ გამაოცა, ეხლა-კი სრული-
ადაც არ მიკვირს, ძვირფასო მგოსანო, და აი
რატომ: მთვარე რომ ძველდება, ილევა იგი, შენ
კი თუმცა ცხოვრების თავდაღმართისკენ უკვე გა-
დახრილი ხარ, მაგრამ ისევ სავსე 15 დღის
ბადრი მთვარესავითა გაქვს თეთრი ჭალარით

შემოსილი დიადი სახე. მაშ შენ მეტი ხარ
მთვარეზე, შენ მზე ხარ საქართველოსი და შე-
ნი ტკბილი და მკვირცხლი ლექსები ისე გვიტ-
კბობენ და გვილბობენ გულს, როგორც მოწ-
მენდილ მაისის კაზე აღმოცურებული მზის სხი-
ვები. შენ ლვიძლი შვილი ხარ საქართველოსი
და სანამ ეს ქვეყანა თავისი ბუმბერაზი მთებით
და თვალ აუწვდენელი გაუდნობელი მყინვარე-
ბით „სადაც ორბნი არწივნი ვერ შეხებიან“
მოახდენენ გულწარმტაც შთაბეჭდილების მნახ-
ველზე, მანამ შენც არ მოგეშლება ესევ თვისე-
ბა და დიდება. შენ ეს არ მოგეშლება, მარა
ჩვენ-კი, წრფელის გრძნობით შეგავედრებთ
უზენაესს, შენი თავი დიდსა და დიდს ხანს არ
მოგვშლოდეს ჩვენდა სასიქადულოთ. ნება მი-
ბოძე, იშვიათო ბედნიერო აღამიანო, ჩვენო დამ-
პყრობო, ხოლო არ ცეცხლითა და მახვილითა,
არამედ სიყვარულით და გრძნობით, მოწიწე-
ბით თაყვანი გცე როგორც სასიქადულო მამუ-
ლი შვილს და სიხარულის ცრემლით დაგისვევლო
ძვირფასი ჭალარა. ბედნიერი იყოს, მამაზე

უსაყვარლესო აკაკი, თქვენი ჩვენს მივიწყებულ
 კუთხეში მობრძანება!“ ამ სიტყვამ თითონაც
 აატირა და დამსწრე საზოგადოებაში ბევრს
 თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა.
 მგოსანი გადაეხვია დიმ. ყიფიანს და გადაკოც-
 ნა. აქვე ტოლელმა გლეხმა ამირან ლომთაძემ,
 გლეხების წარმომადგენელმა, პურმარილით
 ხელში, უთხრა აკაკის შემდეგი სიტყვა:

„დიდებულო მგოსანო და სასიქადულო
 მამულიშვილო! მე როგორც წარმომადგენელი
 ხვანკუარის საზოგადოების მშრომელი გლეხე-
 ბისა მამაპაპურის ჩვეულებისამებრ უმდაბლესი
 სალაშით და გლეხკაცური პურმარილით გეგე-
 ბები. დღევანდელი დღე ჩვენთვის შეადგენს მე-
 ტად მშვენიერს, ბრწყინვალეს და ბედნიერ
 დღეს მთელი ჩვენი სიცოცხლისას, მით უმე-
 ტეს რომ უეგვიძლიან ორიოდე სიტყვა მოგახ-
 სენოთ. მე თუმცა ისეთს ვერაფერს მოგახსე-
 ნებთ, რომ თქვენი ყურადღების ღირსი იყოს,
 მაგრამ მაინც იმედი მაჭვს გულის სილრმიდან
 ამოღებულ წრფელ გრძნობას გლეხებისას, რო-

გორც უანგარო მამულიშვილი, სულგრძე-
ლობით მოისმენთ და მიიღებთ: და-
ბეჩავებული, მიყრუებულ-მივიწყებული საქარ-
თველოს პატარა კუთხე, ჩვენი რაჭა, დღეს
განუსაზღვრელ სიხარულსა და სიამოვნებას ეძ-
ლევა პირის-პირ თქვენის ნახვით. აქაურ
მკვიდრთ შეგნებული აქვთ თქვენი ვინაობა,
იციან რომ თქვენ არ დაბადებულხართ ჩინ-
ტემლაკებისათვის, არც მილიონებისათვის და
არც პირადი თქვენი სარგებლობისათვის, იციან
რომ თქვენი დიდებული ნამოქმედარი ფასდაუ-
დებელი რამ არის კაცობრიობისათვის და გან-
საკუთრებით ჯერ კიდევ მიძინებული ჩვენი ერი-
სათვის, რომელიც იღვიძებს და მოდის თვით-
ცნობიერებაში თქვენი ჩანგის ზედგავლენით,
იღვიძებს იმ იმედით, რომ თქვენი ნაშრომი
კარგად შეიგნოს და დასტუბეს თავის საშშო-
ბლო ენაზედ თქვენი უკვდავი სიმთა ჟღერით.

მე უსწავლელი გლეხი ვარ
არა ვიცი რა ლექსისა,

მაგრამ გლეხთა დავალებით
გულსა თქმა უნდა ქებისა.

—

დიდო მოღვაწე, მგოსანო,
სასიქადულო ერისა,
თვალმარგალიტის მთესველო,
რისხევის მიმცემო მტერისა.

—

არ შეგაშინოს ჭალარამ
კვლავაც გვითესე ყანაო,
მომკალი ბევრი გეზრდება
თესლი კი თქვენი კმარაო.

—
სამოციანსა წლებშია
აგვიხსენ მტერთა ზრახვაო
და მას შემდეგ გვენატრება
გლეხებსა შენი ნახვაო.

—

ჭაბუკნი, მოხუცებულნი
ვიყავით თქვენი გზისაო,

რაკი თქვენ თვალით გიხილეთ
სულ გაგვიქარწყლდა ჭირიო.

სანამ ქვეყანად იქნება
ხსენება ჩვენი ერისა,
არ მოგეშლების დიდება
იმედო ჩვენი ქვეყნისა.

შეილებსაც აკაკის ვარქმევთ
მუდამ სახსოვრად თქვენისა,
და თქვენთვის „მრავალუამიერს
დღეს მთელი რაჭა მღერისა“.

აკაკიმ მოკლედ უპასუხა გლეხს, უსურვა
მუშა ხალხს კეთილდღეობა და გადაკოცნა
გლეხების წარმომადგენელი.

გაუდექით გზას; ცხენოსნები თან და
თან გვემატებოდნენ; ჩავედით სადმელის სა-
ზოგადოებაში; მისავალში მორთულ-მოკაზმული
კამარაზე, მოვიკითხეთ შემდეგი წარწერა; „მშვი-
დობა თქვენსა მობრძანებასა ძვირფასო

მგოსანო აკაკი, გეგებებათ სადმელის საზო-
გადოება”.

აქ გრძლ ღორიქიფანიშემ მიმართა ხალხს
შემდეგი სიტყვით: „მთელ საქართველოში
ბავშვმაც კი იცის, ვინ არის აკაკი, მაგრამ
ბევრმა თქვენგანმა შეიძლება არ იცოდეთ რა
ლვაწლი მიუძლვის ამ დიდებულ აღამიანს
ჩვენს წინაშე. ეს არის ის აღამინი, რომელ-
საც შესტკივა ჩვენთვის გული, როდესაც ჩვენ
გვიჭირს, ესეც სწუხს და კვნესის და როდე-
საც გვილხინს ესეც მხიარულია; 54 წელიწა-
ლია, გულწრფელად ემსახურება ერთხელ არ-
ჩეულ მიზანს; მან თავისი მაღლიანი კალმით
გაგვაცნო ჩვენი წარსული და ყოველივე ჩვენი
ვითარება, ჩვენი ენა და დაიცვა ქართველი
ერი; უამისოდ ჩვენ დღეს დაკარგული
ვიქნებოდიო, ამან გაჰქათა გზა, რომელსაც
შემდეგ გაჰყვენ ბევრი და მოღვაწეობენ დღეს
ჩვენი ერის საკეთილდღეოდ მათ შორის კი ეს
ჩვენი მოძღვარი აკაკი უპირველესი და უდი-
დესი ბრძანდება. ეს ის აღამიანია, რომელიც

კეთილ ანგელოზივით დაგვტრიალებს თავს ყოველ ჩვენ შეცდომას გვიკარნახებს. აი ამიტომ გვიყვარს ყველას. მერმედ მიუბრუნდა მგოსანს: „სახელოვანო მამულიშვილო! თქვენი ხილვა ჩვენს ერთფერ ცხოვრებას ასხივცისკროვანებს და ამრავლფეროვანებს, ჩვენ—ეროვნულ თვით-შემეცნებას განგვიმტკიცებს და თვითონ თქვენ კი შორიდან სანატრელ-სათაყვანებლად გხდის. თქვენ აქარწყლებთ გარშემორტყმულ მტერ-თა იმ მოქმედებას, რომლითაც იგინი სცდი-ლობენ ჩვენს დაქვეითებას ზნეობრივად და გონებრივად ამიტომ ვეღარ გვახრევინებს ქედს ის დუხშირი ცხოვრება და გაჭირვება, რომ-ლებიც თავზე წამოგვწოლია. ქართველი ხალ-ხის ჭირისა და ლხინის გულით მატარებელო, მრავლად არიან ორგულნი, რომლებიც გადა-შენებას და გადაგვარებას უქადიან ქართველ ხალხს, მაგრამ როდესაც თქვენ გხედავთ. გუ-ლი კლდესავით მაგრდება და იმედი გვეძლევა, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალში წარმატება მოელის. თქვენ ხართ ჩვენი ეროვნული თავ-

მოყვარეობის განმაძლიერებელი, თქვენით ვვიცნობენ უცხოელები, და სხვა ხალხის თვალშიაც ადგილი გვიჭირავს. თქვენ ხართ ჩვენი დიდება, ჩვენი გულის მაღამო, ჩვენი მწუხარების გამქარვებელი და ამისთვის გვიყვარს თქვენი სახე, თქვენი ლაპარაკი და ის გზაც, რომელზედაც თქვენ გაივლით; თქვენი ნახვა ბუნების რომელიმე დიად მოვლენას უდრის. დღეს, ნთელ რაჭასთან ერთად, სადმელის საზოგადოებაც ანუ ეგრედ წოდებული „საიშვილოც“ სალამს გიძლვნის, დიდებულო მგოსანო და ძვირფასო სტუმარო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მიიღეთ ჩვენგან ულრმესი მაღლობა იმ სიხარულისათვის რომელიც დღეს თქვენ მოგვანიჭეთ თქვენის მომბრძანებით. დღევანდელი დღე ჩაითვლება ჩვენთვის ისტორიულ დღედ, რომლის მსგავსსაც ადამიანი ძვირად ეღირსება, რადგანაც თქვენისთანა დიდებული მგოსანი მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში გამოჩნდება. გისურვებთ ჯანმრთელობას ძვირფასო სტუმარო, მრავალ ქამიერ თქვე-

ნი სიცოცხლე, სახელოვანო ქართველო!“

მგოსანმა მაღლობა უძლვნა და გადაჭკოცნა იგი. საღმელის საზოგადოების შეხვედრა გადაიღეს სიօნმატოგრაფ-ფოტოგრაფით.

შესრულდა ექვსი საათი და გავედით საღმელის საზოგადოებიდან „ვაშას“ და „ურას“ ყვირილით; ტაშის ცემას და რევოლვერების სროლას საზღვარი არა ჰქონდა; დიდი და პატარა გამორბოდა რიონ-გაღმის სოფლებიდან ხილზე და იყრიდა თავს „ჩორჯოს“ დუქნებთან, სადაც გზის პირას ჩამწკრივებულიყო რამდენიმე ასი ქალი და კაცი; ყველას უცინდა სახე და დიდს აღტაცებაში იყვნენ. გააჩერეს მგოსნის ეტლი, გავჩერდით მხლებლებიც და გადმოვედით ეტლებიდან. გახდა ტაშის ცემა და მხიარულება; მიართვეს პურმარილი, თან მღვდელმა გიორგი სოხაძემ მიმართა მგოსანს: „ძვირფასო მგოსანო, ქართველი ერის მშვინებავ, ბატონო აკაკი! დღეს მთელი რაჭველი ხალხი დღესასწაულობს რაჭაში თქვენს მობრძანებას, როგორც საუკეთესო მამული შვილი-

სას და თავის საყვარელ მგოსნისას. აღწერებით გეგებება მისთვის, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე შესწირეთ ქართველ ერის კეთილდღეობას. მთელი რაჭა თაყვანსა გცემს მისთვის, რომ მშობელ ერს ერთგულად ამსახურებდი შენს მაღლიანს ზეგარდმოცხებულ მგოსნურ ნიჭის. მისი გრძნობების და აზრების ასამაღლებლად გამუდმებით აუღერებდით თქვენს უკვდავ ჩანგის მომხიბვლელ ზეციურ ჰანგებს. მისი ეროვნული ხელოვნების და საზოგადოდ მთელი მისი კულტურის გასამშვენებელ — ასაყვავებლად, მისთვის წინმსვლელობის გზის ფართოდ გასახსნელად დაუღალავად ეწეოდი საზოგადო მოღვაწეობის მძიმე უღელს და აიდლეს მთელი რაჭა-მაღლიერი თავის ღირსეული შვილის უხვისა და ნაყოფიერ მოღვაწეობისა, განსკვალული ოქვენდამი ღრმა პატივის-ცემითა და სიყვარულის წრფელი გრძნობებითა, აღფრთვანებული მაღალ ადამიანურის ფიქრებით და მისწრაფებით თავს იყრის თქვენს გარშემო, დაფნის გვირგვინით ამკობს თქვენს

სპეციაკ ჭაღარას და გუნდრუკს უკმევს თქვენს „სიმართლის მსახურს“ უკვდავ ჩანგურს. ვისურვებთ თქვენს დღეგრძელებას და სიცოცხლეს ასეთი მოღვაწეობისათვის და მასთან ერთად ვისურვებთ, რომ ჭართველ ერს თავის საკეთილდღეოდ მრავალი წარმოეშვას თქვენებრ მსგავსი ნაყოფიერი მოღვაწე“.

მერმე მიჰმართა სამრევლო სკოლის **მასწავლებელმა:** „ბ. აკაკი! თუ კი ვინმესთვის სანეტარო წამს წარმოადგენს თქვენი პირისპირ ხილვა ამ ჩვენ პაწია კუთხეში, მით უმეტეს განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის დღევანდელი ზეიმი, რადგან არა ერთხელ აღუფრთოვანებია თქვენი მახვილი კალმის ნაყოფს ჩვენი გული. ნაცვლად თქვენ მიერ მოძღვნილი სიამოვნებისა ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც მადლიერი ერი იხდიდა 50 წლის იუბილეს, ჩვენ, სამრევლო სკოლის მასწავლებლები არ ჩამოვრჩით სხვას და ჩავებით საერთო ეროვნულ ფერხულში. თქვენის კალ-

მის ნაწარმოებით უნდა აღვჩარ ვოთ ჩვენ ნორჩი თაობა, ამიტომ გთხოვთ ნუ მოგვაკლებთ თქვენს მადლიან ლექსებს, რომ კიდევ და კიდევ ახალ-ახალი სხივი შევიტანოთ ხალხის გონებრივ სალაროში და მით მოძრაობაში მოვიყვანოთ, ჩვენი მიღუნებული ეროვნული ცხოვრება. იცოცხლე ჩვენდა საკეთილდღეოდ მრავალ ჟამიერ!

სამრევლო სკოლის მოსწავლე შედგა მგლსნის ეტლის საფეხურზე და უთხრა ზეპირად ლექსი „სიმღერა მკის დროს“ მგლსანმა ხელი ჩამოართვა სიტყვების მთქმელთ და გადაკოცნა ყველანი, რის შეშღეგ ეტლები დაიძრა, საზოგადოებამ დასძახა „ვაშა“, „აკაკის გაუმარჯოს“ და გავსწიეთ წესში, სადაც შუადლიდან უკვე მიგველოდა საზოგადოება. გზაზე შემოგვხდენ უწერიდან მომავალნი ტურისტები, რომელთა ხელმძღვანელმა სიტყვა უთხრა მგლსანს. დღე და ღამე გაიყარა და შევედით „ბარაკონის“ ტაძრის ეზოში, რომელიც აუშენებია და ეკუთნოდა რაჭის ერისთავს როსტომს;

ჭიშკართან შეეგება მგოსანს რაჭის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ნ. ჩერნოვი და უთხრა მოკლე მისასალმებელი სიტყვა. ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით; თუმცა დაღამდა, მაგრამ კაცი კაცს კიდევ იცნობდა. მგოსანს მოართვეს სავარძელი, ჩასვეს შიგ და ასწიეს მაღლა, ტაშის ცემით და „გაუმარჯოს“ ძახილით შეიყვანეს ტაძარში, საღაც მღვდელმა ფ. გოცირიძემ სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა. გალობდა ქართულ ძველებურ კილოზე მგალობელთა გუნდი; პარაკლისის შემდეგ **მღვდელმა გოცირიძემ** მიმართა შემდეგი მისასალმებელი სიტყვით: „განუსაზღვრელ მადლობას გიძლვნით, დიდებულო მგოსანო, და დაუღალავო მოლვაწევ, იმ აღფრთოვანებისათვის, რომელიც დღეს მზის შუქივით მოეფინა თქვენის მობრძანებით რაჭველების გულს. აღსრულდა ჩვენი დრდი ხნის ნატერა, ვეღირსეთ და ვიხილეთ ჩვენი ჭირისა და ლხინის მღაღადებელი მოხუცი იყავი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცლე გაატარა დაბეჩავებული და გაღატაკებუ-

1937

ლი ხალხის მოსარჩევობაში. მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა, შეუდრეველად მიწევდი წინ და მიისწრაფოდი ერთხელ არჩეულ მიზნისაკენ. უფლისაგან ნაკურთხი თქვენი კალამი მტერს მახვილს სცემდა და მოყვარეს თვალს უხელდა... მოვესწრებით იმ დროსაც, ჩვენო სინათლის მომფენო, როდესაც თქვენი შრომა გაძლიერებულ ნაყოფს მოისხამს; უკვე ემჩნევა ქართველ ერს გამოლვიძება, გისრულ-დებათ წინასწარი განზრახვა და სიტყვები თქვენი: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და კვლავ იგი გაიღვიძებსო“. ხანგრძლივი იყოს თქვენი სიცოცხლე ჩვენი პატარა საქართველოს დიდო ვარსკვლავო, აკაკი!“

სიტყვის შემდეგ აკაკი მიიწვიეს ეკლესიის ეზოში მორთულ, და ნოხებით (ხალიჩებით) მოგებულ ფანჩატურაში, გარშემო საზოგადოება დადგა და მოჰყვა სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა გ. ჭავჭავაძე. „დიდებულო მგოსანო! თუმცა ციური მნათობი უკვე ჩაესვენა და თავის განმაცხოველე-

ბელ სხივებს ვეღარ უგზავნის ჩვენს სხეულს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს სულს ატკბობს პო-
ეზიის სხივები, რომელნიც თქვენი მაღალი
შუბლიდან გადმოანათებენ, შუქს უხვად გვფე-
ნენ და ათასნაირ გრძნობებს გულში გვიღვი-
ძებენ. თქვენი პოეზია აღგვიძრავს გულში უტ-
კბილესს გრძნობებს მამულის და სამშობლო
ენის სივვარულისას; თქვენ ღალადებთ იმისთა-
ნა დიად აზრებს, რომელნიც ჯერ განათლე-
ბულ ქვეყნებშიაც არ არიან განხორციელე-
ბულნი სრულად—ძმობა, ერთობა და სიყვა-
რული, ... ამ ეს აწერია თქვენს დროშას და ამ
წარწერას ჩვენც ვეტრფით. თქვენი პოეზია წარ-
მოგვიდგენს იმ დროს, როდესაც ჩვენი გლე-
ხობა ბატონ-ყმობის უღელში იყო გაბმული და
ამ მივნებელ მოვლენას მედგრად დაუწყეთ
თქვენ ბრძოლა თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ
ცხოვრების მაგალითით და როდესაც ბატონ-
ყმობა გაიყარა, თქვენმა ჩანგმა მხიარულად
დააუღერა იმერული ნანინა: „გაპუტულო გლე-
ხის შვილო, შე პაწაწინაო, ეგრე ტკბილად

1934.5

უდარდელად რამ დაგაძინაო... გაიზრდები გე-
 ნაცვალე თავისუფალიო, ბატონი ვერ შეგაწუ-
 ხებს ვერ გაგტეხს ვალიო" და სხვა... და გა-
 ნა მარტო ამ საგანს შეეხო თქვენი კალამი?
 არ დაგიტოვებიათ უყურადღებოდ არც ერთი
 მოვლენა, რომელსაც კი საზოგადო ხასიათი
 ჰქონდა და ერი მიჰყავდა კეთილდღეობისაკენ:
 ავილოთ თუნდ ბანკების დაწყება, ან მაღნეუ-
 ლობის წარმოება, ვაჭრობა-მრეწველობა ან და
 სწავლა-განათლების საქმე, ყველგან თქვენი
 შორს მცვრეტელი ჭკუა და მახვილი ენა კე-
 თილგონივრობის გზას გვირჩევდა—თითქოს
 გვეუბნებოდით: ქართველებო, გამოფხიზლდით,
 თორემ ადგილ-მამული ნელ-ნელა გეცლებათ
 ხელიდან. იშრომეთ ყველამ განურჩევლად წო-
 დებისა, რადგანაც შრომა არის საფუძველი
 ადამიანის კეთილდღეობისა; მოჰკიდეთ ხელი
 მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობას, რომ
 სხვა ერებს მეტოქეობა გაუწიოთ და საკუთარი
 ეროვნული სიმდიდრე შექმნათ... კარგად შე-
 ისწავლეთ სამშობლო ენი, თუ გინდათ ქარ-

თველად იწოდებოდეთ; ვინც უცხო ენებს და ჩვეულებებს ითვისებს და თავისას კი ივიწყებს, ის გადაგვარების მოსურნეა; ამისთანა კაცი კი მოგვაგონებს იმ უგუნურ თაგუნას, რომელმაც თაგვობა იუკადრისა და ჩიტობა ინატრა. ნატვრა აუსრულდა, თაგუნას ფრთხები გამოესხა და მხიარულად ჰაერში გაისრიალა, მაგრამ იქ ჩიტებმა იუცხოეს. დაესივნენ, ჩაუნისკარტეს და თავპირ გასისხლიანებული გააგდეს; თაგუნა დაბრუნდა სოროში, მაგრამ ახლა თაგვებმაც აღარ მიიღეს; შერცხვენილი თაგუნა ამის შემდეგ დღისით ვერა ჩნდება და მხოლოდ ღამით დაფრინავს ხოლმე. ამ თაგუნას ჩვენ ვუწოდებთ ღამურას. „ნურავინ ისხამს სხვის ქურქსაო — ამბობს გაუბედურებული თაგუნა — „და ნუ სცვლის თვისსა ენასაო, თორემ ბოლოს მოიმკის ჩემსავით ცრემლოა დენასაო“. შეისწავლეთ ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, ჩვენი სიამაყე, ჩვენი აყვავების ხანა, იქ გვყავს იმისთანა დიდებული პირები, როგორიც არიან; დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, ერე-

კლე მეფე და სხვანი. ქს დიდებული პირები და იმათი დრო გვამხნევებს და გვაძლევს იმედს, რომ ქართველებს კიდევ მოელის ბრწყინვალე დრო“... ბევრს სხვას ამისთანა აზრებს გვიქა დაგებთ თქვენ და ამით გვამაღლებთ სულით. თქვენ მუდამ იყავით დამცველი ქართველთა ინტერესებისა და არავის არ დაუთმობდით თუ ვინმე დააპირებდა ცილის წამებას, ან ჩირქის მოცხებას რომელიმე ისტორიული პირისას; — ყველა ასეთ შემთხვევებში თქვენ თავ-გამოდებით იბრძოდით და ამიტომ გეწოდებათ თქვენ თავ-დადებული მამული შვილი. ქართველი ერი ყოველთვის იამაყებს იმითი, რომ ჰყავს თქვენისთანა სამშობლოს დამცველი პირი... რა ბედნიერი იქნება ქართველი ერი, რომ თოთო აკაკი ყოველთვის ჰყავდეს?! იცოცხლეთ, დიდებულო მოხუცო. ჩვენდა სანუგეშოდ მრავალფამიერ“.

გ. კვიტა შვილის სიტყვის შემდეგ მიმართა მგოსანს თავისი ლექსით ქართული გაზეთების თანამშრომელმა ვანო ჭიჭინაძემ:

„მე უსწავლელმა, ავიღე
ხელში წვერ-ჩლუნგი კალამი
და მინდა, დიდო მგოსანო,
გიძლვნა მცირედი სალამი.

ნეტარ არს კაცი თქვენსავით
მოხუცდეს, ეგრე დაბერდეს,
კალამი, რომ ირს არ დასდოს
და მუდამ ჩანგსა აელერდეს.

კურთხეულ იყოს ეს ჩანგი—
სიმბოლო სიყვარულისა,
ძმობა-ერთობის მღერალი,
იმედი დაჩაგრულისა.

იყო დრო, როცა ქართველებს
სხვა სჯული არ უსვენებდა,
ცალ-ხელში ჯვარი ეჭირა
და ცალით მტერს იგერებდა.

დააძაბუნეს, გასკულიტეს
ქართველი პატარა ერი,
შევხედეთ, კარზე მოგვადგა
უფრო საშიში სხვა მტერი.

შემოგვივიდენ ოჯახში,

აბურდეს ჩვენი კერია,
 წაბილწეს ენა ქართული,
 ოჯახს ეცვალა ფერია.

ამ დროს გამოჩნდი, მგოსანო,
 თქვენ თქვენი მძლავრი ჩანგითა,
 გადაეღობე ჩვენს მტერს წინ
 ერთი ყოფა და ამბითა.

ილიაკ თქვენთან შრომობდა—
 იქვენი მარჯვენა ხელია,
 ერთად ებრძოდით მოსულ მტერს,
 წილად გხვდათ საქმე ძნელია.

თქვენმა ხალხურმა ჰანგებმა
 გლეხს შეაყვარა მამული,
 ძმობა-ერთობას შეჰქოცა,
 ბრძოლაში არი ჩართული.

დიახ, მაგ თქვენმა კალაშა
 შეჰქმნა სამშობლოს გმირები,
 ერთობისათვის მებრძოლი,
 ქვეყნისთვის განაწირები.

ზოგი ციმბირში გაგზავნეს,
 ზოგს ამოსთხარეს თვალები,

რიგი ციხეში ლპებიან,
გაჰფანტეს ქვეყნის ძალები.

მაგრამ, მგოსანო, არ ჰკვდება
სული ცეცხლშიდა ნაწრთობი,
კვლავ გაიმარჯვებს სიმართლე,
უსამართლობის დამხობი.

ახლა კი დავსვამ შავ წერტილს,
თუმც სევდა გულზე მაწვება,
თუ რაც გულში მაქვს, ისა ვსოჭვი, —
ჩემი ბატონი გაწყრება!

ცცოცხლე მრავალ-უამიერ
საღიდებელად ერისა,
მოხუცო, საქმით ჭაბუკო,
დამძლევო ქართველთ მტერისა”.

მის შემდეგ წარსდგა მ. ჯაფარიძე (ჯა-
ფარა-რაჭველი) და უთხრა სიტყვა: „დიდე-
ბულო მგოსანო! დღევანდელი დღე ჩვენ რაჭ-
ველებისათვის უწმინდესი და უდიდებულესი
დღეა; ჩვენს მთა-გორიან რაჭას არასოდეს
წილად არ შეხვედრია ჩვენი ქვეყნის დიდებულ
შვილთა სტუმრობა და აი დღეს ოქვენ, საყ-

ვარელო სტუმარო, მოულოდნელად გაგვახარეო. კარგათ მესმის, როგორი სამძიმოა თქვენთვის ამ მოხუცებულობის დროს მოგზაურობა, მაგრამ რადგან თქვენი სამშობლოსადმი სიყვარული სძალავს ყოველგვარ დაბრკოლებას, ამის გამო გაპბედეთ და მობძანდით რაჭაში. ჩვენ ვერაფერს გეტუვით თქვენი მოღვაწეობის შესახებ; მთელმა ერმა იცის, რომ თქვენ ფხიზელ დარაჯად უდექით საყვარელ სამშობლოს; იციან ისიც, თუ რა გატაცებით უალერსებდით თქვენს საიმედო ავადმყოფს, რომლის ბუნებრივი შესვენება სამშობლოს გულ-ლვარძლიან მტერთ სიკვდილად მიაჩნდათ.

ბევრი მწარე ნაღველი შეგასვეს, მგოსანო, მისი გამოღვიძებისათვის, მაგრამ თქვენ ამით არ გაგტეხიათ გული და მის მტერთათვის გიპასუხნიათ: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებსო“. ასრულდა თქვენი სურვილი, მიძინებულმა გაიღვიძა და აწ მას ველარ დააძინებენ; ამიტომ თქვენი ნაჭირნახულევის ოჯახი და მონაგარი სიყვარულით

აღგზნებული გეგებება და ფეხ-ქვეშ ფიანდაზაო
 გეფინება, სულსა გწირავს და თავს გევლება,
 იგი მტკიცედ გპირდება განახორციელოს ყვე-
 ლი ის მოძღვრებანი, რომელიც თქვენმა კურ-
 თხეულმა კალამმა ჩვენდა საკეთილდღეოდ და-
 სწერა. თქვენი შრომის სამაგიეროდ, დიდებუ-
 ლო მგოსანო, აღთქმასა ვდებთ, საჭმით აღ-
 ვასრულოთ თქვენი მოძღვრება, შევიყვაროთ
 ერთმანეთი და ძმურად ვემსახუროდ საყვარელ
 სამშობლოს. დასასრულ ვსთხოვთ დიდებული
 თამარის, რუსთაველის და ქართველ მოღვაწე-
 თა სულთ გვიშუამდგომლონ რათა დაგვანე-
 ბონ თქვენი თავი დიდ ხანს, ჩვენი ერის სა-
 კეთილდღეოდ".

სერგო ქელბაქიანმა და აბელ კიკოშვილ-
 მა უთხრეს ლექსები, რომელშიაც გამოხატეს
 იმისი მოღვაწეობა და ხალხისადმი სამსახური;
 ლექსები წაკითხული იქმნა მშვენიერი დეკლა-
 მაციით და დიდი შოაბეჭდილება მოახდინა
 დამსწრე საზოგადოებაზე. ტაშის ცემას და
 „ვაშას“ საზღვარი აღარ ჰქონდა.

მგოსანშა თვითეულად დაჰკოცნა ორატორნი, ყველას მაღლობა უძღვნა და უპასუხა: „ოცდათუთხმეტი წლის წინად დავსწერე: „არ მოკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს მეთქი, და, აი, მოვესწარი ნაყოფს, აღსრულდა ჩემი ნატვრა; აწ შემიძლიან ვთქვა, რომ „აღარ სძინავს, გამოუღვიძნია და არა სოდეს არ მოკვდება“.

სანთლები აინთო, ღამის ნახევარი საათი გავიდა; მგოსანს სიმღერით და „გაუმარჯოს“ ძახილით გაუძღვენ წინ და მიიყვანეს იქვე როსტომ ერისთავის შეილის თავ. შამაღავლეს ოჯახში, საღაც შესავალი კარები და მისაღები ოთახი მორთული იყო სუროს — ფოთლებით. ეზო აივსო ხალხით; გაიმართა ფერხული და ეროვნული სიმღერები; მგოსანი დერეფანი-დან გადაჰყურებდა მომღერალ და შოთამაშე რაჭელებს და სიამოვნებით სტკბებოდა; მხიარულობა და ცეკვა თამაში გაგდელდა ცხრა საათამდე; შემდეგ აკაკი შევიდა ოთახში; იქ ბევრი იმუსაიფა და იხუმრა საზოგადოებასთან;

ივანე ბაქრაძემ მიართვა მგოსანს საჩუქრად
ს. ამბროლაურში ნახული ექვსი დიდი და
ოთხი პატარა ძველი სპარსული ფული, ერ-
თიც თავ. დიმ. ყიფიანმა; მგოსანმა მადლობა
უძლვნა მათ და უბრძანა თავის გამყოლება-
მომყოლ კ. აბდუშელიშვილს დაენიშნა ბაქრა-
ძის გვარი და სახელი, დაპირდა მათ: „თუ
სასარგებლო შეიქნა ეს ძველი ფულები, თქვე-
ნის სახელით შევწირავ ეთნოგრაფიულ-ისტო-
რიულ საზოგადოებასაო.“

ლამის თერთმეტ საათზე მგოსანმა მოის-
ვენა თავის ოთახში. მხლებლები და სტუმრე-
ბი მიგვიწვიეს დარბაზში გაშლილ სუფრაზე;
ადლეგრძელეს მგოსანი, წარმოითქვა მრავალი
სიტყვები, მაზრის უფროსმა ნ. ჩერნოვმაც
გრძნობიერი სიტყვით ადლეგრძელა მგოსანი,
რაზედაც გრ. დიასამიძემ შესაფერისად უპასუ-
ხა. გაიმართა ქართული ლხინი, ვახშამი გა-
გძელდა ლამის სამ საათამდე. ოთხ საათზე და-
ვიძინეთ...

მშვენიერი ლამე იყო, გრილოდა; აღმო-

სავლეთით ძველი და ახალი ბარაკონის ტაძ-
რებს მაღლიდან ამაყად დასცემულდა რაჭის
ერისთავის როსტომის მრავალ დროების მო-
წამე „მინდა-ციხე“, რომელიც დარაჯად უდ-
გა ერთ დროს დიდებულ სასახლეს როსტო-
მისას; ტაძრების და სასახლის გარშემო ეხეთ-
ქებოდა კლდიან ნაპირებს მდ. რიონი, რომ-
ლის მქუხარე ხმა ძილშიაც ნანასავით გვესმო-
და. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბა-
რაკონი დიდებული ადგილია; კარგ შთაბეჭ-
დილებას ახდენს მნახველზე. მე-18 საუკუნეში
აქ ცხოვრობდა რაჭის ერისთავი ცნობილი
როსტომი, მის შემდეგ შვილი მეთოდე, შემ-
დეგ—გიტული, გიტულის შვილი იყო ასლა-
ნი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც გარ-
დაიცვალა; ის თავისი თეთრი მოგრძო ულ-
ვაშებით წარმოადგენდა მშვენიერ ტიპს ძვე-
ლებური თავადისას; დღეს ამ ეზოში სცხოვ-
რობს ასლანის შვილი შამაღავლე.

ორშაბათი, 23 ივლისი, საქმის დღე იყო,
ბარაკონში, თავ. შამაღავლეს ეზოში, იმარ-

თებოდა სანაღიმო სეფა 20 საჟენის სიგრძეზე.
დილის 9--10 საათიდან საზოგადოებამ იწყო
მოსვლა; მგოსანიც გამოლვიძებული იყო და ჩა-
ის შეექცეოდა; ეზოში გაიმართა „უერხული“ და
მხიარული ცეკვა-თამაში მგოსნის გასართობად;
აკაკი ერთხანს დერეფნიდან გადაჰყურებდა,
შემდეგ ისიც ჩაიბეს ფერხულში; სინემატო-
გრაფ-ფოტოგრაფმა გადაიღეს სურათები; მხია-
რულობა და შეექცევა გაგრძელდა 12 საათამ-
დე. შემდეგ მგოსანმა დაათვალიერა ბარაკო-
ნის ტაძარი. აშენებული 1745 წელში. ეპ-
ლესიაში დამარხულია ამა ეკლესიის ამშენე-
ბელი, რაჭის ერისთავი როსტომი, რომელსაც
ადევს ძვირფასი ჩუქურთმიანი ქვა სიგრძით 3
არშ. და 6 გოჯი, სიგანით კი 2 არშ.
და 15 გოჯი. და აქვს შემდეგი წარწერა:
„წელსა ჩლევ-სა ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე
არს ეკლესიისა ამისა აღმაშენებელი რაჭის
ერისთავი სხვათა უფროს ტომი ნეტარად
განსვენებულად საუკუნოდ იყოს ხსენება მისი
ამინ. გარედან დასავლეთის კედელზე გამო-

ქანდაკებულია ჩუქურთმის ჯვარი, იქვე მარჯვნივ შემდეგი წარწერა ამოვიკითხეთ: „ბრძანეთ ამისი ოსტატი შულავრელი ავთანდილ ვინა ნახოთ შენდობა“. წინა კარებზე არაბული წარწერა არის; სამხრეთის მხრით კარებზე, შუბლის ქვაზედ, სიგანით ერთი ადლის სივრცეზედ წარწერა აქვს, რომლის გარჩევა ძნელია; ამოვიკითხე მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „საყდრისა ამის ამშენებელი ერისთავი როსტომ აბრამის წიალსა განსვენებულ ჰყოფ“. შიგნით ტრაპეზზე ვნახეთ ძველი სახარება სლავიანური და ხუცური დაბეჭდილი 1745 წ., სლავიანურს აწერია: „Нечатается по повелению Императрицы Елизаветы Петровны 1745 г., გვიჩვენეს მშვენიერი ჩუქურთმიანი პატარა ჯვარი, რომელზედაც ორივე მხრით გამოხატულია 12 საუფლო დღესასწაული, მარჯვენა კუთხეში დასვენებულია დიდი ჯვარი, მოჭედილი ვერცხლით, სიმაღლით სამი არშინი, ესეც ძველია-ძველი. საწიგნებზე ძევს სადღესასწაულო ხელთ-

ნაწერი ხუცური წიგნი; დაწერილია ლამაზად და სუფთად, ნაბეჭდში ვერ გაარჩევთ; ისეთი სქელია, რომ სიმძიმით ერთი ფუთი იქნება; ვის დაუწერია ან როდის არის დაწერილი, ვერ გავიგეთ. დავათვალიერეთ აგრეთვე ძველი ეკლესიის ნანგრევები, თამარის დროს აშენებული, რომელიც იქნება სიგრძით ოთხისაუენი და სიგანით ორი საუენი; აშენებულია მჩატე და დახვრეტილი ქვით. სასახლე ტაძრით და ძველი ეკლესიის ნანგრევით იმყოფება ამწვანებულ ვაკეზედ მდ. რიონის მაღალ მარცხენა ნაპირზე, ონში მიმავალ გზატკეცილის მარჯვნივ მხრით. ამ დიდებულ მიღამოს გზის მარცხენა მხრიდან, მაღალ მთა-კლდის ნაპირიდან მედიდურად დასცეკერის მიუდგამელი ციხე „მინდა-ციხე“ როსტომ ერისთვისა; ვერ მოითმენს მოგზაურის გლლი, რომ აქ გავლის დროს არ შეჩერდეს რამდენიმე ხანს და დიდებულ სანახაობას და მიღამოს თვალი არ გადაავლოს. სხვაველმა გლეხმა ასლან არჩვადებ ჩამოიტანა სახლიდან და უჩვენა

მგოსანს ხელთნაწერი ქართული ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 600-მდე გვერდს; დაწერილია მეტად სუფთად და ლამაზად; პირველი ასო ყოველი სიტყვისა იწყება ხუცურით: ვის დაუწერია, ან როდის— არ არის აღნიშნული; შეგვპირდა, რომ ჩაიტანს ტფილისში და წ. კ. საზოგადოებას შესწირავს. მხატვარმა კოტე ქავთარაძემ გადიოდო ბარაკონის ეკლესია, როსტომის საფლავი, ჩუქურთმის ჯვარი და „მინდა ციხე“. ნაშუადღევის ოთხ საათზე მიგვიუწვიეს სადილზე, გაიმართა დიდებული ნადიმი, დაესწრო 300-ზედ მეტი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა; თამადობა მიულოცეს ბლ. მლევდელს. **სიმ. ჭელიძეს.** თამადამ ჩვეულებისამებრ ჯერ დაილოცა, მერმედ ადლეგრძელა ქართველი ერი, შემდეგ აილო ყანწი, გაავსო ლვინით და მიმართა მგოსანს:

„ბატონო აკაკი!

შენი ცხოვრების წარსული და აწმუნ მოქმედება მაძლევს მიზეზს` გონების თვალით გადავხედო იმ დროს, როდესაც მაცხოვარი

წაესწრო გალილიის ტბაზე მებაღურ ებრაელებს და აირჩია მათგან მოციქულები. მაღალი სწავლა ქრისტიანობისა მოციქულებად მოითხოვდა ისეთ პირებს, რომელთაც უნდა უარესოთ ყოველივე სოფლიური და მთელი არსებით შესდგომოდნენ ქრისტეს სახარების გაუკრცელების და განმტკიცების საჭმეს; და აკი მაცხოვარმაც ამ სიტყვებით მიმართა ახლად არჩეულ მოციქულებს: „რომელსაც უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ლირს; და რომელსაც უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არ არს ჩემდა ლირს; და რომელმან არა აღილოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ლირს“. მოციქულებმა ზედმიწევნით შეასრულეს წინადადება ღვთაებრივის მასწავლებელისა. როდესაც შენ, ჩვენო ძვირფასო მოჭირნახულევ, წამოიზარდე და შეიძელი საღი გონების თვალით გემზირა ქვეყნისთვის, შენმა ქვეყნიურმა მაცხოვარმა — ძვირფასმა სამშობლომ — თითქო მოგმართა მაცხოვრის აღნიშნული

სიტყვებით, რომ მისი სიყვარულისათვის ყოველივე ქვეყნიური დაგეტოვებინა, შენ, როგორც ზეგარდმო მაღლით განგრძნობილმა მოციქულმა საქართველოს დიდებისამ, კიდევაც შეასრულე დიდმნიშვნელოვანი მოწოდება სათაყვანებელ სამშობლოსი: დაუტოვე მამა, დედა, ცოლი ძე და ასული, აღიდე ჯვარი სამშობლოს მსახურებისა და ნახევარ საუკუნეზე მეტი დაულალავად ატარებ მას შენდა სასახელოდ და ჩვენდა სასიქადულოდ.—მას შემდეგ, რაც იცანი და იღე გემო მამული-სადმი სიყვარულისა, დაუტოვე ქვეყნიური გემოვნება, ოჯახური სიამოვნება, მოქალაქობრივი მშვიდობა და კმაყოფილება და დღეს, აღმასრულებელი თავის მოვალეობისა, პირნათლად და მოციქულებრივის ბრწყინვალებით დგეხარ ქართველი ერის წინაშე, შემკობილი უკვდავების გვირგვინითა, რომლის გვერგვს და ფოთლებს შეადგენს უსაზღვრო გრძნობა სიყვარულის სრულიად საქართველოისა თავის უსაყვარლეს შვილისადმი... ინეტარე, ძვირ-

ფასო მგოსანო, რომ ნაყოფი შენის შრომისა,
ერთი ათასად მომკილი და მოსამკალი, პირის
პირ იხილე შენ! შენი ხვედრი დიდებული
და ძვირფასი ხვედრია, ხვედრი--ლირსითავდა-
დებულის შრომისა და ღვაწლისა, რომელსაც
ელირსებიან მხოლოდ შენსავით რჩეულნი, მაგ-
რამ ასეთნიც იშვიათად, ძლიერ იშვიათად.
ნება მიბოძე, როგორც ჩემს მასწავლებელს
მოგილოცო ეს ძვირფასი წამები შენის ცხოვ-
რებისა და მოგესალმო ლექსით:

სამშობლოს ქვეყნის სიყვარულის ხმას
შენი ჩანგური ძლიერად უკრავს,
და მამა-პაპურს ტკბილ შემოძახილს
დღეს შენი ქნარი ეუბნება ბანს.

ეგ ქართველური ამოძახილი
კვლავ საიმედო აწ მეცა მხიბლავს,
ხალისს მიღვიძებს, ძალას მიმატებს
და აღფრთოვანებს ამ ჩემს გულის თქმას.

მგოსანო, მაგ შენ სულის კვეთებას
გლახ-მომაკვდავი როგორ მიესწვდები?!

მსურს კი, რომ გავხდე მამული შვილი,
თუმც ამ სურვილს და ლოდინში ვდნები.

შენი აზრები, გრძნობათა ღელვა,
გვედრებ ულირსი, მეც მიზიარე,
უსაზღვრო გრძნობა სიყვარულისა
მამულისადმი გამიზიარე!

იქნებ მეც შევსძლო, უბრალო მწირმა,
თითით შევეხო შენს უღელს მძიმეს
შევამსუბუქო და საადვილო
გადავულოცო ჩემს ასულს და ძეს.

ამას გთხოვ მხოლოდ, ჰოი მგოსანო,
გემუდარები ცრემლების ფრქვევით:
გმირული გრძნობა გადმომილოცე
მამა-პაპურის ლოცვა-კურთხევით;

რომ მეც მელირსოს შესვლა იმ გუნდში,
წინ რომ უძლოდა შავ დროში შენ ერს;

და მასთან ერთად ვსტიროდე და ხან
ლხენით ვმღეროდე „მრავალ-უმიერს“.

მამა ჭელიძის სიტყვას მოყვა ტაში და
„ვაშას“ ძახილი. ამ დროს ტაძრის მახლობ-
ლად დაიცალა ორჯერ ჯაზაირები, რაზედაც
„მინდა-ციხიდან“ უპასუხეს ლალუმის დაცლით
განგებ გაგზავნილმა გლეხებმა. დასცალეს აგ-
რეთვე თოფ-დაშბაჩები და შესძახეს: „ვაშა
აკაკის, გაუმარჯოს! რაჭის მაზრის უფროსმა
ბ-ნმა ჩერნოვმა მეტად გრძნობიერი სიტყვით
ადლეგრძელა მგოსანი, უსურვა მას დიდხანს
სიცოცხლე ქართველი ერის საკეთილდღეოთ
და სასიქადულო მგოსანთა რიცხვის გამრავ-
ლება. **მგოსანმა** შესაფერი სიტყვით მადლო-
ბა უთხრა მაზრის უფროსს, მოჰქვია ხელი და გა-
დაჰკოცნა. საზოგადოებამ დასძახა „ვაშა“ და
გაისმა ტაშის გრიალი. ადლეგრძელეს შემდეგ
მაზრის უფროსი, რომელსაც „თემის“ რედაქ-
ტორმა გრ. დასსამიმებ მიმართა მოხდენილი
სიტყვით, უსურვა მისს მაზრას კეთილდღეობა
და კულტურულად წინ-სვლა მისი მეოხებით.

შემდეგ მიმართა მგლსანს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლემ ვალერიანე ჯაფარიძემ შეძლები სიტყვებით:

„ბატონებო! ჩემის შეძლებისადაგვარად მსურს ვადლეგრძელო და უსურვო კეთილი მას, ვინაც მთელი ორი მაზრა რაჭა-ლეჩხუმისა შეანძრია და აალაპარაკა-აამოძრავა. მხოლოდ სანამ ამ ჩემს დასახულ მიზანს სისრულეუში მოვიყვანდე, მიბოძეთ ნება პატარა შორიდგან მოუარო: წარმოიდგინეთ ერთ წამს, თითქოს თქვენი თვალის წინ გადაშლილია თვალუწვდენელი, წყნარი ზღვა, და ამ სიჩუმეს მხოლოდ ერთათ ერთი გემი არღვევს. გემის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა მივიღეს დანიშნულ ადგილს და თავისი მძიმე ტვირთი დასკალოს და თავისუფალი დაბრუნდეს უკან, მხოლოდ დახეო უბედურებას და ბედის წერას, უკვე დაპბერა ქარმა, ქარს გრიგალი მოჰყვა და ზღვაც აღელდა: მიუხედავათ იმისა რომ გემი თავს მაგრად იჭერს, ეწინააღმდეგება აზვირთებული ზღვის ტალღებს, მაინც

მარცხდება, აზვირთებული ოკეანე ჰუთანთქავს
 მას თავის უფსკრულში. ეს ერთი მაგალითი,
 მხოლოდ წარმოიდგინეთ რომ გემი არ დამარ-
 ცხებულა და თავის წინასწარ დასახული მიზა-
 ნი სისრულეში მოიყვანა; მივიღა დანიშნულ
 ადგილს და ტვირთიდან განთავისუფლდა. აი
 ორი ის წერტილი, რომელთა შუაც ხდებოდა
 ამ ორი გემის მოგზაურობის პროცესი: ერთის
 მხრით დამარცხება და მეორეს მხრით კი გა-
 მარჯვება. სწორეთ ამგვარ სურათს წარმო-
 ადგენს მთელი კაცობრიობის ცხოვრების პრო-
 ცესი. კაცობრიობას დაუსახავს ესა თუ ის მი-
 ზანი თავისი შემოქმედების ძალით აღწევს იმ
 სურვილს, მაგრამ ყოველთვის ვერა; როგორც
 იმ გემს დაუდგა ცუდი ამინდი, ისე კაცობრი-
 ობას — და ვეღარ უმკლავდება მას, ამიტომ მარ-
 ცხდება. აი სწორეთ იგივე ორი წერტილი კა-
 ცობრიობის ცხოვრებაში; ერთის მხრით გამარ-
 ჯვება, და მეორეს მხრით კი დამარცხება. ჩე-
 მის ფიქრით ადამიანის საბოლოო მიზანი ცხო-
 ვრებაში უნდა ვეძიოთ და იმას იქით აღარსად

უნდა იყოს; და თუ ცხოვრება მიზნის მიღწევას ნიშნავს, და შემოქმედების ძალის გარშემო პირობებზე გამარჯვებას, მაშასადამე სასურველია ასეც მოხდეს, თუ გვსურს საბოლოო მიზანი, ცხოვრება გაუმჯობესებული იყოს.

მხოლოდ არ დამდგარა ის დრო, რომ მთელმა კაცობრიობამ ეს მძიმე ცხოვრების უდელი შეერთებული ძალებით ატაროს, და ისე განაგრძოს თავის თვითარსებობა, არამედ კაცობრიობა დანაწილებულ-დაყოფილია ერებათ და ერები კი პატარ-პატარა ჯგუფებათ, ამ ჯგუფებში შედიან პიროვნებები.

რომ უფრო ნათელ ვყოთ აზრი, საქმე დავიჭიროთ პატარა ჯგუფთან, ანუ საზოგადოებასთან. თუ მარცხდება საზოგადო მიზანი, რომელიმე განსაზღვრულ ჯგუფს დაუსახავს განსახორციელებლათ, მარცხდება თვით პიროვნებაც, რომელიც ამ ორგანიზმში შედის; და თუ საზოგადოება იმარჯვებს, — პიროვნებაც მასში შემავალი.

ჩვენ ყველანი ვინც ამ ნადიმში მონაწილ

ლეობას ვიღებთ, ქართველები ვართ; მაშასა-
დამე ვეკუთვნით იმ დროს, რომელსაც ქართ-
ველი ერი ეწოდება. ჩვენ ქართველებს წარსუ-
ლი საუკუნის მესამოცე წლებში გამოგვიჩნდა
ერთი პატარა ჯგუფი ახალგაზღებისა, რომე-
ლიც საქართველოს სულის ჩამდგმელი შეიქნა.
ამ მოწინავე რაზმს ახალგაზღებისას ეკუთნოდა
ჩვენი მხცოვანი და სასიქადულო მგოსანი
აკაკი.

მხოლოდ რაში მდგომარეობდა ახალგაზ-
დათა მიზანი და მისწრაფება? იმაში რომ მათ
სურდათ როგორმე იმ გმირთა გმირს, რომე-
ლიც კავკასიის ქედზედ არის მიჯაჭვული და
რომელსაც ამირანი ეწოდება, გაეწყვიტა ჯა-
ჭვი და სიხარულით შესცვლოდა ამდენი ხნის
გასაჭირი.

მაგრამ მგოსანი მოგვიხუცდა, ეკარგება
ზემოთ აღნიშნული მიზნის თავის სიცოცხლე-
ში განხორციელება და გვიტოვებს ახალგაზ-
დათ ანდერძს, რომ უნდა ჩავსძახოთ მას სამა-

რეში მისი სატრაფიალო მიზნის განხორციელების შესახებ.

მაგრამ გასაღდი, მგოსანო, არ შეგაშინოს ჭალარამ, იცოცხლე იმ დრომდე, იმ წამდე, სანამ შენმა მახვილმა სმენამ არ გაიგონოს ამირან გმირთა-გმირიდან ჯაჭვისა და ბორკილების, მტვრევისა და გლეჯის მჭექარე ხმა და მით ერთხელ კიდევ მოგემართოთ თქვენი ბუკი და ნალარი და სასიხარულო ჰანგზედ გეჟლერებიოს თქვენი წმინდა უმწიკვლოჩანგურის სიმები".

წარმოითქვა შესანდობელი განსვენებული ილია ჭავჭავაძისა, საზოგადოებაშ ფეხზე წამოდგომით და ჭიქებით ხელში ერთხმად შესძახა „საუბრო განსვენება“. ქალებმა იმღერეს ო. ჭავჭავაძის სიტყვები: „ტყეს ესხმება ფოთოლი“ და „შემდეგ“ ტყესა სცივა ფოთოლი“, რის გამო ბევრს ამ ხმების გაგონებაზე თვალებზე ცრემლები მოადგა. წარმოითქვა აგრეთვე მრავალი სადღეგრძელოები, თან მოჰყვა ქართული მოლხენა, ეროვნული სიმღერები და ცეკვა-თამაში

ქალ-ვაჟთა; მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ორპირი „სუფრული“, ერთის მხრით კაცებისა და მეორეს მხრით ქალებისა, რამაც ბევრი აკინა მგოსანი. ბოლოს ჩააბეს ფერხული, წრე-ში შუაზე ჩააყვენეს აკაკი და სიმღერით უვლიდნენ გარშემო; ნადიმი, ცეკვა-თამაში და ფერხული ბარაკონში გადაღებულ იქმნა სინემატო-გრაფ-ფოტოგრაფით.

მგოსანს უჩვენეს მუხლები გლეხი ან-დრია აღლაძე 103 წლისა, რომელსაც ზედა კბილები ეხლა ამოსვლია მესამედ. მოხუცი მხნედ არის, ფეხით მოგზაურობა შეუძლიან, შვილები და შვილიშვილები 30-დე. ჰყოლია. კოტე ქავთარაძემ გადაიღო მისი სურათი.

სალამოს მგოსანმა ჩაი მიირთვა, ერთხანს იმუსაიფა, იხუმრა და მოისვენა. ასე გავატარეთ ორშაბათი 23 ივლისი.

მეორე დღეს, 24 ივლისს, გადავწყვიტეთ გავმგზავრებულიყავით ეტლებით ს. ნიკოლწმინდაში და დაგვეთვალიერებინა „შაორის ჭალები“, მდინარე „შაორი“, და ტბა „ხარის თვა-

ლა". გზაზე გავივლიდით ამბროლაურში, ხო-
ტევში და ქელიალელეში; ბარაკონიდან (წესი-
დან) ნიკორწმინდამდის გვქონდა გასავლელი
სულ 15—16 ვერსი. ეტლები დავიბარეთ დი-
ლის 9 საათისათვის და მხლებლებმაც მოვისვე-
ნეთ.

სამშაბათს, 24 ივლისს, შვიდ საათზე შე-
ვუდექით სამზადისს ნიკორწმინდისაკენ გასამ-
გზავრებლად. მგოსანმაც თავის დროზე გაიღ-
ვიძა, კარგად გრძნობდა თავს. გრილოდა. და-
ვლიეთ ჩაი, მეეტლებიც მოვიდნენ და 10 საა-
თზე გავემგზავრეთ; მალე გავედით „ხიდის-კარ-
ში“, სადაც მდ. რიონზე ხიდის ორივე თავში
უზარმაზარი კლდეები ერთი-მეორეს წვეროე-
ბით უახლოვდებიან, თითქოს საუბრობენ
წარსულ დროების ამბავზე; ამ კლდეებზე ორი-
ვე მხრივ მიშენებულია როსტომ ერისთვის
ციხეები, რომლის ნანგრევებში შენიშნავთ
დარჩენილ ბოძებს, რაზედაც დაკიდებული ყო-
ფილა ჭიშკარი ამ ვიწრო ხეობის ასაკეტად
მტრების შემოსევის დროს; აი ამის გამო

დარქმევია ამ ადგილს „ხიდის კარი“. აქ გადის გზა, სოფ. ამბროლაურამდე მისდევს რიონის მარცხენა ნაპირს, მერმე კი მარცხნივ უხვევს, გაივლის ნიკორწმინდაში, შაორის ჭალებში, გადავა „ნაქერალას“ ქედზე და ჩადის ტყიბულში.

„ხიდის-კარი“ ციხის ნანგრევებით გადაიღეს სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით.

ჩავედით ამბროლაურში, მგოსანს დახვდა აქაური ინტელიგენცია და გლეხკაცობა. შევჩერდით ათიოდე წუთს, დავარიგეთ წიგნაკები და გავსწიეთ. რადგანაც აღმართი გვქონდა ასავლელი, ნელ-ნელა მივდიოდით; მხლებლები ხშირად, სადაც ცუდ გზას შევნიშნავდით, ეტლიდან ვხტებოდით და ფეხით მივდიოდით.

მიუახლოვდით სოფ. ხოტევს, გზებში ქალები და ბავშვები გვიხვდებოდნენ, რომელთაც ვესროდით წიგნაკებს; გავიარეთ ხოტევის დიდებულ ციხესთან და ახლად შეკეთებულ ექლესიასთან. მშვენიერი სურათი გადაგვეშალა

თვალ-წინ; შევჩერდით მოსახლის ჭიშკართან, ცივი წყარო დავლიეთ. მხატვრებმა გადაიღეს „ხოტევის“ ციხე და ეკლესია; მეოთხედ საათის შემდეგ განვაგრძეთ გზა, შეუდექით ს. ჭელიალელეს აღმართს: თან და თან მაღლა მივდიოდით და თვალ - წარმტაცი სურათები გვეშლებოდა გამდმოხედვისას. 1300 ადლის სიმაღლიდან დავყურებდით „ჭელიალელის“ ტბას, სიმინდის მშვენიერ ყანებს, ვენახებსა და გარშემო გორაკებზე გაშენებულ ლამაზ სახლებს; გამაგრილებელი სიო უბერავდა, თითქმის სიცივეც ვიგრძენით ნიკორწმინდაში ასვლისას; ხოტევი და ნიკორწმინდა მშვენიერი სააგარაკო აღგილებია. ნაშუალლევის სამ საათზე მივადექით ნიკორწმინდის ტაძრის გალავანს, გადმოვედით ეტლებიდან, გადავიარეთ ტაძრის ეზო და ჩავედით დავით კანდელაკის ეზოში, სადაც გვიცდიდა საზოგადოება და გამართული იყო ქართული სუფრა ვეებერთელა ცაცხვის ხის ქვეშ, ქვემო-რაჭის კომიტეტის განკარგულებით. მისალმების და დასვენების შემდეგ

მიგვიწვიეს სუფრაზე; მოვუჯექით სუფრას 100-მდე სული, თამაღობა მიულოცეს მღვდ. ვლ. ფოფხაძეს, რომელმაც დალოცვის შემდეგ ადლე-გრძელა მგოსანი და მიჰმართა **შემდეგი სიტყვით:**

„ჩვენი სამშობლოს დიდებავ და სიამაყევ, მგოსანო აკაკი! ნება მიბოძეთ ორიოდე სიტ-ყვით გამცნოთ ის გრძნობა, რომელიც თქვე-ნმა მობრძანებამ ჩვენში აღძრა: დღიდან თა-ვის გაჩენისა რაჭა არ ღირსებია თქვენის-თანა სტუმარს. დაფასება თქვენი მნიშვნელო-ბისა და ღვაწლისა მე არ ძალმის და აქ არც დრო, არც ადგილი არის; ვისაც კი ქართუ-ლი ანბანი დაუძლევია, ყველამ იცის, როგო-რი სამსახური მიგიძლვის ქართული ერისადმი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მთელმა საქართველომ დიდებულად იდლესასწაული თქვენი 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რი-თაც მან ცხადად დაამტკიცა, რომ თქვენს შრომასა და ღვაწლს ნახევარი საუკუნის გან-მავლობაში სასურველი ნაყოფი მოუტანია;

დაგიმტკიცათ, რომ იგი კიდევაც გამოფხიზლებულია და ერთი გრძნობით და აზრით გამსკვალულია. იუბილეს შემდეგ ჩვენი სამშობლოს კუთხეებმა მიგიწვია და შესაფერისი პატივი გცათ; რაჭას ყველაზე ბოლოს ხვდა წილად ბედნიერება ოქვენი მოწვევისა; მართალია ჩვენი დახვედრა და დღესასწაული გარეგნულად დიდებული და ბრწყინვალე არ არის, მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელია და რაც შეძლება გვაქვს ვცდილობთ გამოვხატოთ ოქვენდამი უზომო სიყვარულში და დაფასებაში. ვუსურვებთ რაჭას ოქვენისთანა საყვარელი სტუმრების არა იშვიათად წვევას, რათა ასეთი გმირების შრომისა და ღვაწლის ნაყოფით მაღე და დროზე ლირსებოდეს თავისი სატრფო ნესტან-დარეჯანის ქაჯოაგან განთავისუფლებას და მასთან ერთად ზნეობით, გონებით და ქონებით წინსვლასა - ოქვენ კი, ძვირფასო მგოსანო, გისურვებთ მრავალ-უამიერ სიცოცხლეს, რათა ოქვენის სიმთა ჟღერით კიდევ და კიდევ დიდხანს დამტკბარიყოს ქართველი ერი“.

თამადას სიტყვას მოჰყვა ტაში და „მრავალ-უამიერ“. წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო, ეზოში მგოსნის შესაქცევად ფერხული ჩააბეს. სადილმა მხიარულად ჩაიარა, საღამოს მგოსანს ჩაი მიართვეს და მოასვენეს; ამ დროს იმისი ოთახის კარებს მიადგნენ თეთრად ჩაცმული და თეთრი ფრთებით მორთული „ანგელოზი“, ქალიშვილები და უმღერეს ტკბილის ხმით „ნანინა“, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია.

მეორე დღეს, ოთხშაბათს, 25 ივლისს; დავათვალიერეთ დიდებულ ნიკორწმინდის ტაძარი მეთერთმეტე საუკუნეში აშენებული. ეს ტაძარი, გელათის ტაძრის გეგმისაა, თუმცა მაზე პატარაა; როგორც წარწერები მოწმობს, აგებულია ბაგრატ მესამისაგან, რომელიც მეფობდა 1027—1072 წწ.. ეკლესია ხელოვნებით დიდებულ ნაშთს წარმოადგენს, ნაშენია თლილი მოჩუქურთმებულ ქვისაგან, განსაკუთრებით გუმბათი მთლად ჩუქურთმულია. დასავლეთის კარების ბჟეზედ შემდეგი წარწერაა დაცული:

„ქრისტე, ძეო ღვთისაო, აღაღე სიმართლით
და დღეგრძელობით ბაგრატ, აფხაზთა რანთა
მეფე, ქართველთა კურატპალატი და გაზარდე
ძე მათი გიორგი“. ტაძრის კედლები შიგნიდან
სულ დახატულია, თუმცა დიდი ხნისა გამო
ბევრგან ჩამოშლილია. ტაძარში ინახება შემ-
დეგი ნივთები; 1) მაცხოველის ხატი შემდეგი
წარწერით: „ძემან კურთხეულისა ერისთავთ
ერისთავის რატისმან კახაბერ შევჭედე ხატი ესე
ჯვარცმისა საოხად და სალხინებლად ცოდვი-
ლისა სულისა ჩემის და სადღეგრძელოდ ჩემისა
ერისთავთ ერისთავისა რატისა“. 2) ხელის ჯვა-
რი ნაწილებით, ვერცხლის ჩუქურთმით შეკე-
დილი და მარგალიტებით მორთული, შემდეგი
წარწერით: „პატიოსანი და ცხოველს მყოფე-
ლი ჯვარი ესე მეკუთვნის მე, ივერიის უდაბ-
ნოს წმინდა ქალაქის იერუსალიმის ბერმონა-
ზონს ლავრენტის. ქუნი 1664 3) ქაცის სი-
მაღლე გერცხვდის დიდი ჯვარი. ვერცხლით
შეკედილი და ოქროთი მოვარაყებული, მი-
ნაქრიანი, სხვა და სხვა წარწერებით; ერთი

წარწერა ამბობს, რომ ეს ჯვარი წმ. ნიკო-
ლოზს შესწირეს დავით წულუკიძემ და მისმა
მეუღლემ ფარსაგი ჯავარმა ლასხიშვილის ასულ-
მა; ჯვარი გაკეთებულა მეთერთმეტე საუკუნე-
ში. 4) ხელთნაწერი სახარება, ვერცხლით შე-
კედილს ბუდეში, რომელზედაც გამოხატულია
ოთხი მახარობელი, ლაზარეს აღდგინება, მა-
რიამი, ანგელოზი და ქრისტეს საფლავი; თან
შემდეგი წარწერა აქვს: „მე დავით წულუკიძემ
შევსწირე სახარება ესე ტაძარსა წმიდასა ნიკო-
ლოზსა, ვინ გინდა გამოახვას, ანუ ეპისკო-
პოზთა, ანუ მღვდელთ მონაზონთა, ანუ დი-
დებულთა, რისხვამცა ღმერთი და ყველანი
წმინდანი ზეცისა და ქვეყნისანი. ჩვენც ნაც-
ვლადამც განიკითხვიან, ამინ. დაიწერა ესე
ოთხთავი ონდიქტიონსა მეფეთ მეფის გიორგის
უამს და ქორონიკონს სეთ“. 5) წმინდა ნიკო-
ლოზის ხატი, სიმაღლით ორი ალაბი და სი-
განით ერთ ნახევარი; გარშემო ვერცხლის არ-
შიით და სხვა და სხვა წმინდანებით; როგორც
გადმოგვცემენ, ამ არშიაში ჩასვენებული წმ.

ნიკოლოზის ძველი ხატი წაუღიათ და მის მა-
 გიერ ჩაუსვამთ ახალი. 6) დფთისმშობლის ხა-
 ტი, სიგრძით ერთი ალაბი, სიგანით ნახევარი,
 მოჭედილი ოქროში დაფერილი ვერცხლით,
 წარწერა აქვს შემდეგი: „ჩვენ ღვთის, გვირ-
 გვინოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი და ძემან
 ჩვენმან ლეონ გავაჭედინეთ ესე წმინდისა ხა-
 ტი წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის,
 სადღეგრძელოდ ძისა ჩვენისა ლეონისათვის
 და სასახელოდ სულისა ჩვენისათვის, ამინ“. 7)
 მოციქულთა და წმინდათა წხოვრება. მო-
 წერიალია:

„მამაო მისთვის მიყვარხარ,
 საიმედო ხარ სულისა,
 ამა სოფელსა შეგელი,
 ამომსხნელი ხარ სულისა:
 ნახვა მინდოდა თქვენი
 ნატვრად სამსახურისა;
 თუ არ ვიყო ერთგული,
 შემცოდეც ვარ რჯულისა.“
 ამ ნივთების გარდა ტაძარში კიდევ

బ్యాంకీ సాయురోడ్లైథో డా లింగస్థేసానిశ్నావి
నివ్వటానికి.

అభియాంకాలికోమా మధ్యాధ్యాలమా మధ్యాసాని జీవక్రం
మిసాసాలమేబ్యాలో సిర్పువా డా అంతశ్చించి జ్ఞానిస. తొ
ందాని గాఢాంల్యే సిన్యేమాట్రింగ్రాఫ్టిట. ప్రెక్షా సాంత్రో
గావ్యేమించించ్చాల్చుట. తాను గాగ్వుబ్బునే రామాండ్రునిమే ప్రె
నుసాను. సానువూగిత, రాఘవానుపు „బాణిస త్వా-
ల్హాస“ తొందాంతాను జుండా గ్వేసాంల్యెన్. డాంత్వా-
ల్హాంగ్రేట మద. శాంతిసి ఒస అభియాంకాలి, సాంత్వా
ప్ర్యాల్మి వ్యాంగ్యేబా జ్ఞానాంత్రోమ్మి డా మ్యెథ్యుత్తే వెరు
స్తో, క్రేణించిస మందాంత్రోమ్మి, గాంధ్యుక్తికు క్రుణిస
సింగిలాం; గాంధ్యుబ్బుల్మి వ్యాంగ్యు అమిస స్వరాంత్రోపి. శ్వృంతిల్సిస మివ్యేదింత తొందాంకు డా డాంత్వాల్హాల్మి
నాంతింతో నిండిల్మి, డాంత్వావ్యున్చేత, డాంత్వాల్హాల్మి.
తొందాంకు „బాణిస త్వాల్హా“, రామయ్యింసాపు త్వామ-
ప్రు తొందాంకు నామిల్లించి, మంగులామ నామిల్లించి కి వ్యేబ్రేర-
త్వాల్హా ప్ర్యాంగుం డా „సింగించిస త్వాల్హా“, రామయ్యి
ల్హాపు నామిల్లించి తొందాంకు, డాంత్వాల్హాస, గాంత్వాల్హా
అందా అందా డా సాంత్రోల్హాపు అం వాంగుం; గాంత్వాల్హా
త్వాల్హాపు స్వామిల్హాల్హా స్వరాంత్రోపి „బాణిస త్వాల్హా“

ზე“, ვიგრილეთ გული ცივი წყლით და ხის
ქვეშ მწვანეზე გაშლილ სუფრას მოვუსხედით.
ამასობაში მგოსანს მოართვეს მებაღურეებმა
იქვე დაჭრილი კალმახები, რომლითაც მეტად
ისიამოვნა. სადილზე გრძნობიერი სიტყვებით
ადლეგრძელეს იყავი მღ. ლ. კიკვიძემ, ექიმმა
შამშე ლეჟავამ (რომელიც რაჭის მაზრაში
ყველგან დაგვყვებოდა მოგზაურებს თავისი
ცხენით) და სხვა... სადლეგრძელოს მოჰყვა ქარ-
თული ლხინი და სიმღერები. სადილის გათავე-
ბისას სავსე ჭიქით ხელში მორიდებით წარსდ-
გა მგოსნის წინაშე რაჭველი ახალგაზდა: აფაცერი
სიმ. ენუქიძე, რომელიც რუსეთში მსახურებს,
და დასასვენებლად ჩამოსული იყო თავის ქვე-
ყანაში, და მიჰმართა იყავის შემდეგი სიტყვით:
„ძვირფასო მგოსანო, როგორც ქართველი,
სხვასთან ერთად ვხარობ და ვამაყობ თქვენით
და თქვენთან ერთად სუფრაზე ჯდომით.
სულის სილრმიდან ამოკვენესილმა ოქროს სიტ-
ყვებმა. ნაკვესმა მოკაშაშე ნაპერწკლებმა, დი-
დი ხანია იქუხეს და სტყორცნეს თავისი მოე-

ლვარე სხივები ჩვენს მიყრუებულ და მივარუდნილ რაჭას; ამ ბედნიერებას, უნდა მიუმასტოთ ის ბედნიერება, რომ რაჭველებმა თვალით იხილეს ის დაუშრეტელი ლამპარი, ის მზე, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ანათებდა და დღესაც ანათებს და ათბობს ბნელი ბურუსით ჰოცულ საჭართველოს. დასახასიათებელად თქვენი ლვაწლისა და გმირობისა მოვიყვან ისევ თქვენს ლექსს:

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,

გულს სიწმინდით ახურებდეს“ და ს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შოთა რუსთაველის შემდეგ ჩვენში წერა-კითხვა და მწერლობა დიდს გასაჭირს განიცდიდა; სწორედ მაშინ, როდესაც სასოწარკვეთილებამ უმალეს წერტილამდე მიაღწია, ბედმა გაულიმადაჩაგრულ საჭართველოს და მოევლინეთ თქვენ უზენაესი ნიჭით შემკული ადამიანი, რომელმაც ჩვენი ეროვნული განძი—ენა, იღად-

გინეთ და დაიცავით მით, რომ სულ სიმართლეს მსახურებდით. თქვენი გული არ შებორკილა, მარჯვენა ხელში გეჭირათ ხვარასნის რკინის ხანჯალი, რომელიც კალმათ იქციეთ და მტრის სისხლიდან შედგენილ მელანში აწეთ. ის ერთი, რომელმაც წარმოშობა აკაკი, არ აღიგვება დედამიწის პირიდან, ვიმედოვნებთ, მომავალი ჩვენია და თქვენ, მგოსანო, დღეგრძელი სიცოცხლე მოგანიჭოს ღმერთმა საქართველოს საკეთილდღეოდ და მისი შვილების სასიქადულოდ და საამაყოდ“.

აფიცერ ენუქიძის სიტყვას მხურვალე ტაშის-ცემა მოჰყვა; მგოსანმაც მიიწვია ახლოს, მოეხვია და გადაკოცნა. საღამოს ნასიამოვნები დავბრუნდით ს. ნიკორწმინდაში მასპინძლების დავ. კანდელაკის და ალ. სამოკვასოვის სახლებში. ალ. სამოკვასოვი გაქართველებული რუსია, ოჯახიც ქართული აქვს; ოდესაშე იმისი ბაბუა და მამა ჩამოსულანნიკორწმინდაში და ბინა აუჩენიათ, დღეს კი ალექსანდრე ცხოვრობს, ადგილ-მამული შეუძენია და ოჯა-

ხიც რაჭულ გემოზე მოუწყვია. მასპინძლებ-
მა რაც შეიძლებოდა დიდი პატივი გვცეს.

ხუთშაბათს, 26 ივლისს, რვა საათზე შე-
ვიკრიბენით მგოსანთან დავ. კანდელაკის ეზო-
ში, ჩაი დავლიეთ და შეუდექით ბარგის
შეკვრას. ამ დღეს უნდა გავბრუნებულიყავით
ისევ ძველის გზით უკან, გაგვევლო სოტექ-
ში, სადაც მგოსანი მხლებლებითურთ მიწვე-
ული იყო სადილზე მიხეილ კიკინაძის ოჯახ-
ში ქვრივ დიასახლისის ტერეზიასთან, სა-
ღამოს უნდა გაგვევლო ამბროლაურში ჩაიზე
და სამხარზე იქაური მემამულის მინა გიორ-
გობიანის სახლში და იმ ღამეს უნდა გაგვე-
წია ს. სორში, სადაც იყო დანიშნული ღა-
მის გათევა ბიჭია გოცირიძის სახლში.

დილიდანვე ამინდი შეიცვალა, დაპბერა
დასავლეთის ცივმა ქარმა, მოიღრუბლა და
კიდევაც წამოწვიმა. მასპინძლის სახლის დე-
რეფანში აკაკი გარშემო თეთრად მოკაზმულ
„ანგელოზებით“ (ქალიშვილებით) გადაიღო
მხატვარმა კოტე ქავთარაძემ, ამასობაში ეტ-

ლებიც მოგვიყვანეს, გამოვემშვიდობეთ მას-
 პინძლებს და გაუდექით გზას; ხოტევამდის, 4--
 5 ვერსის მანძილზე, სულ დაღმართი გვქონ-
 და ჩასასვლელი და რადგანაც გზები მოსველ-
 და ცხენებმა ფეხები ვერ მოიმაგრეს და ეტ-
 ლებში ჯდომა სახიფათო შეიქნა. გადმოვიყ-
 ვანეთ მგოსანი ეტლიდან და შევსვით ჯორ-
 ზე, ჩვენც გავყევით გარშემო ნელ-ნელა; ასე
 ჩავედით მშვიდობიანად ხოტევის დუქნებამდის,
 შემდეგ ჭიჭინაძის ოჯახამდი თითქმის ნახევა-
 რი ვერსის მანძილზე აღმართი უნდა აგვევ-
 ლო. მალე შამოგვეგებენ მასპინძლის შვილი
 ივ. ჭიჭინაძე და სიძე რუბენ გოცირიძე რა-
 მოდენიმე მარჯვე ბიჭებით, რომელთა დახმა-
 რებით ეტლები ავიყვანეთ მასპინძლის ეზო-
 ში; რადგანაც ვიჩქაროდით, მალე მასპინძ-
 ლებმა სუფრა გაგვიშალეს და მოუჯექით
 60-დე სული; დიდებული მასპინძლობა იყო,
 თაშადობა მიულოცეს მსაჯულს ვლ. აბულა-
 ძეს, რომელმაც ადლეგრძელა მგოსანი, მხლე-
 ბლები, სამღვდელოება და სხვა სტუმრები;

მოჰყვა სიმღერა და ქართული მოლხენა, თან ამინდიც გამოკეთდა და მზემ გამოანათა; მგო-
სანი თავს კარგად გრძნობდა; მან ადღეგრ-
ძელა დიასახლისი და მასპინძლები; დიასახლი-
სის მაზლმა მოხუცმა ნიშ. ჭიჭინაძემ ყანწით
ხელში მიჰმართა აკაკის: „ძვირფასო მგოსა-
ნო აკაკი! ყველა ქართველი და მათ რიცხვ-
ში პატარა რაჭის მცხოვრებნიც, განურჩევ-
ლად წოდებისა, გიცნობენ ვინც ბრძანებით,
თქვენ იმისთანა მამულიშვილი ხართ! რომ-
ლისთანასაც საუკუნოები იშვიათად ჰყობს და
რომლის სახელიც საუკუნოების შემდეგ უფ-
რო მეტი სადიდებელი იქნება. ჩვენ, შენი თა-
ნამედროვენი, ბედნიერად ვთვლით ჩვენ თავს
შენით და ამ ბედნიერებას ვუსურვებთ ყველა
ქართველთა ყრმათ, რომელნიც დღეს აკვანში
წვანან, რომ მოსწრებოდენ შენი სახელის
გაცნობას შენის მხნედ ყოფნით მანამდის.
მრწამს ისიც, რომ თვითეული შენი ფეხის გა-
დადგმა იქნება აღნუსხული ისტორიაში, სა-
დაც დღეს თქვენი აქ ყოფნაც მოხსენებული

იქნება. ჩვენის მხრით ამ შემთხვევას ჭიჭინაძის შთამომავლობას წერილობით გადავცემთ ანდერძათ და იმ სავარძელზე, რომელზედაც შენ დღეს ზიხარ ჩვენს ოჯახში, ოქროს ასოებით ალვნიშნავთ დროს თქვენი აქ ყოფნისას და შთამომავლობას ძვირფას ნივთად დაუტოვებთ. დასასრულ გამოუთქმელი სიხარულით ვსვამ თქვენს საღლეგრძელოს“. სამ საათზე გავათავეთ საღილობა და გავემგზავრეთ; სანამ ეტლებში ჩავსხდებოდით, იქვე მეორე ეზოში ჩაგვიძლეთ ნიკოლოზ ჭიჭინაძე, შეგვიყვანა მგოსანი მხლებლებითურთ სახლში და დაგვალოცვინა ოჯახი, „შამპანიურით“; ოთხის ნახევარზე განვაგრძეთ გზა.

საღამოს ჩავედით ამბობლაულში; მინა გიორგობიანის ეზოში დაგხვდა საზოგადოება. დავათვალიერეთ „მაჩაბლის“ სეული სასახლის ეკლესია და კოშკი, შემდეგ მიგვიწვია მასპინძელმა მინა გიორგობიანმა დარბაზში, სადაც გაშლილი იყო სუფრა, ზედ ჩაი და სამხარი; ლვინო მოგვართვეს ორნაირი, მასპინძლის სა-

კუთარ მამულისა. ჩაი და სამხარი გაგრძელდა ერთ საათს. მღვდელმ ვდ. მესხმა ადლეგრძელა მგოსანი მოქლე სიტყვით, უსურვა დიდნანს სიცოცხლე და კეთილდღეობა; სადღეგრძელოში მგოსანს უწოდა „მხერვანი“, რაზედაც აკაკიმ სიცილით უთხრა: „შენი სიტყვები ყველა მართალია, ხოლო ერთი ტყული გამოურიეო, სახელდობ ის რომ მე მიწოდე. მხცოვანი ე. ი. ძლიერ მოხუცი; მართალია მე მხცოვანი კი ვიყავი, მაგრამ ახლა რაჭა რომ დავათვალიერე, სრულიად გამოვიცვალე და გავყმაწვილდი იმის გამო, რომ აქ ვხედავ გამოლეიძებულ ხალხს“. მგოსნის სიტყვებმა გამოიწვია გულიანი სიცილი და „ვაშას“, ძახილი. რადგანაც იმ ლამეს ს. სორში უნდა ჩავსულიყავით ლამის გასათევად და შეგვემოქლებია გზა, იმის გამო ავჩქარდით, თუმცა მასპინძელი მინა გიორგობიანი თავისი საკუთარი ხარჯით დიდად მომზადებული იყო, როგორც ვახშმით, აგრეთვე ქვეშაგებით და ბინით; გულით სთხოვა მგოსანს მოგვეცადა

და ლამე გაგვეთია მის ოჯახში, მაგრამ ვერ
ვსცანით მოსახერხებლად, რადგან აკსორში მი-
გველოდა საზოგადოება იმ ლამეს. დასწყდათ
ვული, როგორც მასპინძელს, აგრეთვე ამბრო-
ლაურელებს, მაგრამ რაღას ვიზამდით, წა-
უსვლელობა აღარ შეიძლებოდა; შვიდ საათ-
ზე გამოვეთხოვეთ მასპინძელს, იქ დამსწრე
საზოგადოებას და გავსწიეთ. დაბინდებისას მი-
უახლოვდით „სკოდორის“ ხილს, რომელიც
მთლად სურო-ყვავილებისაგან გაკეთებული კა-
მარებით იყო მოკაზმული; წინა კამარაზე
იყო შემდეგი წარწერა: „ბარის საზოგადოება
გულწრფელი სიყვარულით ეგებება დიდებულ
მგოსანს აკაკის: ჩშიბ წელი“. აქ მგოსანს
შეხვდა ს. ს. მუხლის, ბარის და სამთისის
საზოგადოება ფარნებით და უინულილებით.
მოართვეს პურ-მარილი და მასწავლებელმა
სერგო გარაზაშვილმა მიჰმართა მგოსანს: „ჩვენ-
გან საღმერთებელო ადამიანო, ბატონო აკა-
კი! მცირე პურ-მარილით პატარა ს. მუხლის
მცხოვრებნი აღტაცებით გეგებებით. ბედნიე-

რად ვრაცხო ჩვენ თავს დღეს, როდესაც პირ-
ველად გხედავთ ამ ჩვენი სამშობლოს მთებ-
თა, ძვირფასო სტუმარო! მადლობას გწი-
რავთ ნაშრომო ადამიანო, რომ ამ მოხუ-
ცებულობის ხანაში ძალა მოიკრიბე და გვი-
ნახულე. თქვენგან თელილს და გაკაფულს
ეკლიან გზას არ ავშორდებით. გარწმუნებთ,
ლრმად აქვს გადგმული ფესვი თქვენი მადლი-
ანი ხელით ნათესს, რომელიც დროზე ნა-
ყოფსაც მოგვცემს. კერას, თქვენი წყალო-
ბით არ გაციებულს, ლრმად ულვივის გულ-
ში ნაკვერჩხალი, რომელსაც შეუძლიან
ძლიერი ცეცხლის გაჩენაც. იცოცხლე მრა-
ვალეამიერ, ჩვენთვის თავდადებულო მამული-
შვილო; უნდა იცოცხლო ჯერ კიდევ, ვერ
შეგელევით, დიდო იმედო,,!

მგოსანმა მადლობა უთხრა და გადაკოც-
ნა ბ. ვარაზაშვილი. მანდილოსნებმა მიართვეს
მგოსანს შემდეგი წარწერა:

„სოფ. მუხლის ქალთაგან. საქართველოს
მნათობო, დიდებულო მგოსანო, აკაკი! თქვენ-

გან ნაბეჭდის ტბილი „ნანათი“ ჩვენ აღვმო-
დით ნამდვილ ქართველსა შვიფებს და მით
უბედავს გურაფთ თქვენს ძვირფასს სახელს“.
აქვე მოსწავლე ბავშვებმა წაუკითხეს ლექსები.
აქედანაც გაგვაცილეს ტაშის ცემით და „ვა-
შას“ ძახილით.

ცხრა საათზე შევედით ს. სორში, წვიმ-
და, ბნელი ლამე იყო, მაგრამ ს. სორი კი
მთლად განათებული იყო ფარნებით. კრაქე-
ბით და მაშალებით. მისავალში მდ. „სან-
ტარულას“ ხიდთან, ყვავილებიანი კამარებით
მორთულ-მოკაზმულთან, მოყარა თავი სორის
საზოგადოებას განურჩევლათ წოდებისა და
სქესისა, ჩამწკრივებულიყვნენ ორსავე მხრით
გზის პირად და მოუთმენლად ელოდებოდენ
ძვირფასს სტუმარს. დაინახეს თუ არა ეტლე-
ბი, შეიქნა ერთი ტაშის ცემა, „გაუმარ-
ჯოს“ და „ვაშას“ ძახილი. მისავალში ხიდზე
კამარაზე ჩამოკიდებული იყო მგოსნის სურა-
თი, წავიკითხეთ შემდეგი წარწერა:

„ჩვენს ძვირსანს აკაგის საფამს უძღვნის
ს. სორი“.

მოართვეს პურ-მარილი და მისასალმებელი სიტყვა უთხრა ღვდელმა ონისიმე მინდელმა. შემდეგ მგოსანი მიიწვიეს ხალიჩებით მოფენილ დარბაზში ბიჭია გოცირიძისას, სადაც გამართული იყო დიდებული ვახშამი.

მგოსანმა ნახევარი საათი დაისვენა ოთახში, იმუსაიფა, მოისმინა პატარა ბავშვების ლექსები და შემდეგ ისურვა ვახშამზე საზოგადოებასთან გამოსვლა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღეს წვიმა დაგვესწრო და 25 ვერსი გამოვიარეთ, აკაკი დალლილობას არ გრძნობდა და მხიარულ ხასიათზე იყო. ვახშამზე ას სულზე მეტნი ვიყავით. თამაღობა მიულოცეს მღვდელს ონისიმე მინდელს, რომელმაც გრძნობიერი სიტყვით აღღეგრძელა მგოსანი, ქართველი ერი, მგოსნის მხლებლები, პრესის წარმომადგენელები, მანდილოსნები, მოზარდი თაობა და სხვა... წარმოიოქვა მრავალი სიტყვა, გაიმართა მოლხენა, ეროვნული სიმღერები, სუფრული, ქალიშვილების მიერ გიტარაზე დამღერება აკაკის ლექსებისა და სხვა...

ვახშამზე პატარა ქართველმა, 15—16 წლის ყმაწვილმა, ჩოხა-ახალუხით მოკაზმულმა, ქრისტეფორე ჯაფარიძემ ადლიგრძელა აკაკი შემდეგი სიტყვით:

„დიდებულო მგოსანო აკაკი! მე პატარა ქართველი გადლეგრძელებთ პატარა ჭიქით და გთხოვთ ყოველივე ნაკლი მაპატიოთ. დიდი ხანი არ არის, რაც ელვასავით მოედო ჩვენს მაზრას, რომ დიდებული პოეტი აკაკი გვიპირებს სტუმრობასო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი აღტაცებული იყო ამ ამბით და მოუთმენლად ელოდნენ იმ ადამიანის ნახვას, რომელიც ნახევარი საუკუნე ემსახურება თავის ერს და რომელსაც ერთხელაც კი არ გაუგდია მადლიანი კალამი ხელიდან. ლოდინსაც მოედო ბოლო და დღეს გხედავთ თქვენ, რომელიც შეადგენთ ჩვენი სიხარულის და აღტაცების საგანს. დღეის დღე საისტორიო დღეა ჩვენთვის, ვინაიდან დღეს პირველად გხედავთ ჩვენუ იმისთანა ადამიანს, რომლის ბადალი დღეს არ მოგვეპოება; თუ საქართველოს რო-

მელიმე კუთხეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
თქვენს დღესასწაულს, როგორც მოტივს ხალ-
ხის შეერთებისას და მიფერფლილ ნაციონა-
ლურ გრძნობის გაღვივებისას, მით უმეტეს ეს
დღე დიდ მნიშვნელოვანი არის რაჭველების-
თვის, ვინაიდან რაჭა კულტურულად ისეთ და-
ბალ საფეხურზე სდგას, რომ მისი ასე გაერ-
თიანება და ერთი მიზნით აღჭურვა, რას შეე-
ძლო, თუ არა თქვენისთანა ადამიანის მოსვ-
ლას. პატარა ბავშებმაც კი იციან თუ ვინ
არის აკაკი, რომლებიც არა ერთხელ დამტ-
კბარან თქვენ მიერ დაწერილ „ნანათი“ მაგრამ
აქ გახლავან ისეთი მოხუცებულებიც, რომლებ-
საც დღემდის თვალით არ უნახავთ თავისი
ეროვნული სიამაყე და დღეს მათ სიხარულს
და აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ვაშა იმ
ადამიანს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი
ემსახურება თვის ბედკრულ სამშობლოს! ვაშა
იმ მოხუცს, რომელიც არ შეუშინდა რაჭის
უხერხულ გზებს და ესტუმრა იმ კუთხეს, რო-
მელიც ყოველთვის მჩად არის უზომო სიხა-

რულით და აღტაცებით მიიღოს საქართველოს საუკეთესო შეილი! ვაშა იმ ერს, რომელშიც მრავალ წლოვანმა სიდუხჭირებ ვერ მოკლა წმინდა გრძნობები და პირველ შემთხვევისათანავე მზად არის გულწრფელი პატივი სცეს თვის დაუღალავ მუშაკს! მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე“.

მგოსანმა მიიჩმო პატარა ქართველი და გადაკოცნა. ვახშამი გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე. ნავახშმებს ეზოში გაიმართა ფერხული, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა მღვდლებმა, ქალებმა, მოხუცებულებმა, დაახალგაზდებმა. მგოსანმა ერთხანს უყურა ამ მხიარულობას და შემდეგ მოისვენა. ჩვენც გვიჩვენეს ბინა და დავიძინეთ.

პარასკევს, 27 ივლისს, დილის რვა საათზე წამოვდექით; მშვენიერი მზიანი დღე დაგვიდგა; მასპინძლის ეზოში ჩაის და ხაჭაპურებს შევექცეოდით. ათ საათამდე ეზო ხალხით აივსო; მგოსნის გასართობად ჩააბეს ფერხული ქალებმა ცალკე, კაცებმა ცალკე; უნდა შევნიშნო,

რომ რამდენი ზევით და ზევით წავიშიეთ, იმ-
დენი ფერხული უკეთესი და მოხდენილი
იყო; იმღერეს აგრედვე სვანური სიმღერები
და გამართეს ეროვნული ცეკვა-თამაში. ჩაის
დალევის შემდეგ დავათვალიერეთ სორში ძვე-
ლი ჯგარწმის ეპლესია მეტხრე საუკუნეში
აშენებული; ამ ეკლესიასთან ყოფილა დაარსე-
ბული ქალების სკოლა, სადაც თურმე სწავ-
ლობდა თამარ დედოფლის შვილის-შვილი;
გვიჩვენეს იმ დროს ნაქარგი ძვირფასი გარდა-
მოხსნა, ოლარი და ოდიკი, ჯვარი მოჭედილი
ვერცხლით სიმაღლით ოთხი არშინი, ხელთ-
ნაწერი წიგნები, ორი პატარა ვერცხლის სუ-
რა (ტაკუკი), მუზარადი, ძველებური ბუკი,
სიგრძით ორი არშინი, რომლითაც ხალხს შეკ-
რებდნენ ომიანობის დროს; კიდევაც დაუკრეს
გარედ და გაგვაგონეს ხმა.

ეკლესიის გალავანში ეხლა შენობას აგე-
ბენ ორ-კლასიან სამრევლო სკოლისთვის.

თერთმეტ საათზე ეტლებით გავემგზავრეთ
სორიდან ონში.

გავცილდით თუ არა სოფელს, გზის პი-
რად დავინიხეთ 300-მდე ცხენოსანი ჩამწკრი-
ვებულნი; მათ რიცხვში იყვნენ ყოველი წო-
დების წარმომადგენელნი, განურჩევლად სქესი-
სა, სტუნდეტობა ებრაელები და სომხები,
ყველა ეროვნულ ტანისამოსებში. შევაჩერეთ
ეტლები თუ არა დასძახეს „ვაშა“, „გაუმარ-
ჯოს აკაკის“, შეიქნა თოფ-დამბაჩების გრია-
ლი და ერთი მხიარულობა, მგოსანს მიართვეს
პურ-მარილი, ამასთანავე ონში მცხოვრებმა,
ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის ინს-
პექტორმა, მაღაჭია ჯაფარიძემ მიმართა მგო-
სანს:

„დიდათ პატივცემულო, ბატონო აკაკი!
ზემო რაჭა გიძლვნის გულითად სალამს და
გილოცავს მშვიდობით მობძანებას. დაგვიდგა
სამხიარულო დღე და ჩვენმა მთეპში მივარ-
დნილმა მხარემაც იხილა დიდებული მგოსანი.
მართალია ჩვენი კუთხე გადმოკარგულია მთებ-
ში და დაშორებულა საქართველოს სხვა კუთ-
ხეებს, ზოგჯერაც მოწყვეტილი უგზოობით,

მაგრამ აქაც დიდი ხანია გიცნობენ, ძვირფა-
სო აკაკი, შენი სიყვარული ღრმად აქვს ყვე-
ლას გულში ჩანერგული, შენი სურათი შეად-
გენს აუცილებელ და ძვირფასს სამკაულს აქაუ-
რი ოჯახისას, დიდი ხანია ამ ქვეყნის პატაწა
შვილები იზეპირებენ შენს ლექსებს, მოზრდი-
ლნიც და მოხუცნიც სტკბებიან შენი მშვენიე-
რის ნაწარმოებით; ელვასავით მოედვა მთელ
რაჭას ხმა, აკაკი გვესტუმრებაო; დიდი და პა-
ტარა ფეხზე დადგა, სმენად გადაიქცა, სიხა-
რულს საზღვარი არ ჰქონდა, მოუთმენელად
მოელოდა ყველა დღევანდელ ბედნიერ დღეს.
დაგვიდგა სანატრელი დღეც: გიხილეთ პირის
პირ, ჩვენო დიდო მასწავლებელო, და მოგვე-
ცა შემთხვევა გესაუბროთ კიდევაც. ვხედივთ
ჭალარას შენს წმინდა სახეზე, მაგრამ არ გვი-
ტეხს გულს ეგ ჭალარა და იმედი გვაქვს, დი-
დებულო მამული შვილო, რომ ჯერ კიდევ
დიდხანს არ შესწყდება უღერა შენი ჩონგუ-
რის სიმებისა ჩვენი სამშობლოს საკეთილ-
დღეოდ“.

საზოგადოებამ „ვაშა“ დასძახა, მგოსანმა მაღლობა უძღვნა; შეხვედრა გადაღებულ იქმნა და გავსწიეთ; ჩვენი ეტლები აღარ სჩანდა, რადგან გარშემო ცხენოსნები შემოგვერტყა; მივდიოდით დიდის ამბით; გეგონებოდათ, რომ ომიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ მთავარ სარდალს მოუძღვებიან სამშობლოში აღტაცებითაო. ჩვენს წინ ოთხი მხედარი მიაჭენებდა ცხენებს, რათა მალე შესულიყვნენ ონში და ეცნობებინათ შეკრებილ საზოგადოებისთვის მგოსნის მიახლოვება. მალე ჩვენი ეტლებიც მიუახლოვდნენ ონს; ხიდს გაღმა დიდ-მინდორზე დავინახეთ აუარებელი ხალხი, რომელიც შემოსჩერებოდა ჩვენს ეტლებს. აი მივადექით ხიდს; სინემატოგრაფ-ფოტოგრაფი დაწინაურდნენ და ხიდის თავში მაღლობზე მომართეს აპარატები და გადაიღეს დიდის ამბით მომავალი კორტეჟი. გავედით ხიდზე და მივაჭედით სადღესასწაულოდ მორთულ ჭიშკრის კამარას, სადაც შეაჩერეს მგოსნის ეტლი. კამარაზე წავიკითხეთ წარწერა ნაძვის და სურის ფოთ-

ლების ასოებით: „საკეთილდღეოდ თქვენი მობრძანება ჩვენში, სამშობლოს დამამშვენებელო მგოსანო“ . იქვე ეკიდა მგოსნის სურათიც. კამარის ბოძებთან იდგა თეთრად ჩაცმული, თაიგულებით, სამი ქალიშვილი, რომლებიც გამოხატავდნენ სარწმუნოებასა, სასოებასა და სიყვარულს; ქალიშვილების წინ ჩამწკრივებული იყვნენ პატარა ვაჟები თეთრი ქულაჯებით, შემდეგ კი საზოგადოება ნახევარი ვერსის სიგრძეზე, აღმინისტრაცია და ინტელიგენცია. პირველად მგოსანთან მივიდა ონის დეპუტატი დავ. კერესელიძე, პურ-მარილით და მიჭმართა:

„სალამს გიძლვნი მე როგორც წარმომადგენელი დ. ონის, დიდებულო მგოსანო, დამამშვენებელო ერისა და ჩვენი ქვეყნისა. აღტაცებით, სიხარულით და პატივისცემით მოგეგებებით პურ-მარილით თქვენ, ღირსეულო მამულისშვილო. თქვენი მოსვლა ყველასათვის აღმტაცებელი და აღმაფრთოვანებელია, ვინაიდან ვიგრძენით სულიერად აღმატება, ყველას

გვიძერს გული და გვიშფოთავს სული იმ დი-
 ადი სიხარულისაგან, რომელიც თქვენმა მო-
 სულამ გამოიწვია. სწორედ დღეს გაგვითენდა
 ონელებს რს დღე, რომელიც მეტად სამნიშვ-
 ნელო და სასიამოვნოა ჩვენთვის; დღეს დაჰკ-
 რა იმ საათმა, რომელმაც გვამცნო დიადი სხი-
 ვის შემოშუქება ჩვენს მიბნელებულ მხარეში.
 ჩვენში ონმა, სადაც სხვა დაბებთან შედარე-
 ბით ის მოკლებულია გონებრივ სიფხიზლეს,
 დღეს გამოიღვიძა, შეინძრა, შეტოკდა და სუ-
 ლიერად აღსდგა თვითეული ჩვენთაგანი დიდე-
 ბული მგოსნის დანახვით. ეს დღე ყველას
 აღვებეჭდება სამარადისოდ ხსოვნაში განურ-
 ჩევლად სარწმუნოებისა და ერთხმად შემოგდა-
 ხებთ: „დიდება თქვენს სახელს, ვაშა თქვენს
 მობრძანებას, ჩვენო დიდებავ და შვენებავ,
 მგოსანო აკაკი“.

ამის შეძლევ მიეგება მგოსანს მოკლე მი-
 სასალმებელი სიტყვით დაჭის მაზრის უფროსი
 ნ. ჩერნოვი. ჭიშკრის კამარის გასავალთან წა-
 რუდგა მგოსანს სტუდ. აღ. ჭაფარიძე თეთრ

ჩოხა-ახალუხეში და უთხრა აზრიანი და მგრძნობიარე ლექსი.

მგოსანმა გადაჭკოცნა იგი და ყველას მაღლობა უთხრა; შემდეგ მგოსანს წაუძღვენ ეკლესიაში; გალავანში ჩასვლისას შემოეგება მას თავ. დიმ. ეიფიანის მეუღლე ქნ. პელაგია შემდეგი სიტყვით (ქალთა წარმომადგენელი): „ქართველი ერის დიდებავ, თანამედროვე რუსთაველო, ბატონო აკაკი! დღევანდელი დღე ჩვენი კუთხის მცხოვრებთათვის იმდენად არა ჩვეულებრივია, რომ კეშმარიტად გაკაუებული უნდა იყოს აღამიანის გული, რომ იმის სიღრმიდან არ აღმოხეთქოს გრძნობათა ლელვამ... ამისათვის ნება მომეტით მოგმართოთ ორიოდე სიტყვით: თქვენს მაღლით ცხებულს კალამს, რომელიც ყოველთვის ხატავდა თქვენი სათაყვანო სამშობლოს ბედის ჩარხის ტრიალს, არ შეეძლო არ შეჰებოდა ქართველი ქალის დღევანდელ ვითარებას. მართლაც სიცხადით გულდაჩაგრულს არა ერთ გზით წამოვიყენებიათ სევდითა და კაეშნით მორთულ ასოებით დახა-

ტული თანამედროვე ქართველი ქალის ტიპი-
ური სურათი; სურათი, რომელიც გულის დამ-
ღადრავია, ყოველი თვისი ერის კეშმარიტი შვი-
ლისათვის და განსაკუთრებით ჩვენ ქალთათვის,
რომელთა სამარცხვინო ნიმუშსაც იგი წარმო-
ადგენს. მაგრამ თუ ერთის მხრით თქვენ მი-
ერ აღბეჭდილ სურათს გამოუწვევია ჩვენში
მწარე გრძნობები, მეორე მხრით იმავე სუ-
რათს ჩაუსახია მტკიცე სიყვარული და მისწრა-
ფება ჩვენ შორის მისი ოდნავ წაბაძვისა.

ნუ გაიტებ გულს მხცოვანო მგოსანო! განა თვით თქვენ არ გვანუგეშებთ, რომ ჩვენ
ლეჩაქ მოხდილ სატრფოს მხოლოდ სძინავს,
არ მომკვდარიო! ? მტრების გულის გასახეთ-
ქად მართლაც არ მომკვდარვართ ჯერ... ამ
ჩვენს პაწია კუთხეშიც მოიპოვებიან ისეთნი,
რომელთაც ჯერ კიდევ არ შესძულებიათ ვარ-
დი და ია და სატრფიალო საგნად არ გაუხდი-
ათ „კალინა“ და „მალინა“. მაგრამ ეს კი
არის, რომ თუ ოდესმე ვსაჭიროებდიო, ეხლა
ამ გადაგვარების გაძლიერების ხანაში ორ წილ

მეტად საჭირონი არიან ტარიელები, რომელ-
ნიც დღე და ღამ ნესტან დარეჯნის გამოხსნას
ემსახურებოდნენ... გთხოვთ, ჩვენო ეროვნუ-
ლო ლამპარო, ნუ მოგვაკლებთ ჩვეულებრივ
მზრუნველობას, ცუდში გვამხილე და კეთილ-
ში წაგვაქეზე.

„ნუ დაგეკარგვის იმედი,
არ დაგასუსტოს ჭალარამ,
გმირები სძებნოს, შეჰკრიბოს
შენმა დაფმა და ნალარამ“.

კნეინა ყიფიანის სიტყვის შემდეგ მგოსა-
ნი შეიყვანეს ეკლესიაში. იყო უკვე ნაშვად-
ლევის სამი საათის ნახევარი.

ონის ეკლესიაში მგოსანს ჯვრით მოეგება
დეკანოზი მათე გორდეზიანი და უთხრა შემ-
დეგი სიტყვა:

„სასიქადულო მამულიშვილო და დიდე-
ბულო მგოსანო, ბ. აკაკი!

ამჟამად მცხოვრებნი ჩვენის, დაშორებუ-
ლის და მოწყვეტილის კულტურულის ცენტ-
რებისაგან, კუთხისა, რომლებიც შეადგენენ

თქვენი სატრუთიალო სამშობლო ერის პატარა
ნაწილს, განვიცდით დიადს და ფრიად მნიშვ-
ნელოვანს მომენტს, რომლის მსგავსს ჩვენს წა-
სულ ცხოვრებაში აღგილი არა ჰქონია და
ვფიქრობ, არც მომავალში ექნება. დღეს ყვე-
ლანი განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა,
სქესისა და ასაკისა, ერთსულოვნებით და ერთ-
ახრნოვნებით შეერთებულნი, საუცხოვო და
მომხიბვლელი სიხარულის გრძნობით ვართ
აღტაცებული; დაგვივიწყებია ჩვენი პირადული
და საზოგადო ჭირ-ვარამი და სრულს ბედნიე-
რებაში ვგრძნობთ თავს; ასეთი მდგომარეობა
გამოწვეულია თქვენის პირისპირ ხილვით, ჩვე-
ნო საყვარელო მგოსანო. არ მეგულება ისეთი
ქართველი, რომელმაც არ იცოდეს თუ ვინ
არის აკაკი; ერთი მარტო სახელის ხსენებაც
საკმაოა, რომ ყველას თვალ წინ დაუდგეს და
დაესურათხატოს თქვენი დიდბუნებოვნება და
ის ბუმბერაზივით დიდი ღვაწლი და ამაგი,
რომელიც მიგიძლვის თქვენ ჩვენი სამშობლოს
წინაშე, გარნა მიუხედავათ ამისა ყოველ ქართ-

ველის გულში იყო ძლიერი და დაუძლეველი სურვილი თქვენი პირიპირს ხილვისა. და თქვენ, როგორც ხალხის გულის სიღრმეში ჩამხედავი, აშკარად იგრძენი ეს ხალხის სულის მოთხოვნილება და კიდევაც დააკმაყოფილეთ იგი — თქვენ მოვლეთ უითქმის ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეები და ყველგან შეიტანეთ სიცოცხლე და სიხარული და ეხლა სდგახარ ჩვენს წინაშე და ვსტკბებით, რომ ვხედავთ თქვენს გადაშლილს, ნათლით მოსილს და ჭკუა გონებით გაბრწყინვებულს შუბლს, რომელიც მუდამ სამშობლოს ბეღნიერების ზრუნვაში იყო და არის. თქვენს ცეცხლივით ანთებულს თვალებს, რომელიც მუდამ გუშაგათ უდგა ჩვენს სამშობლოს, ძილი არ მოჰკიდებია და არცერთი მომენტი მის ცხოვრებაში შეუმჩნეველი და აღუნიშნავი არ დარჩენია. დღეს ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს; ჩემს სუსტენას არ ძალუძს გამოსთქვას ის უკვდავი გრძნობანი და აზრები, რომელსაც თქვენ გვაგონებდით; ვიტყვი მხოლოდ, რომ თქვენ საქართველოს ფი-

რუს ცაზედ ნახევარი საუკუნის განმავლობაში
შუქურ ვარსკვლავად ხართ აღმცენებული და
ნათელს ფენთ და აცისკროვნებთ ჩვენს ეროვ-
ნულს ცხოვრებას, რომლის შეგნებას და შე-
მეცნებას თქვენ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეთ;
თქვენ იღამაღლეთ და განამტკიცეთ ჩვენი ენა
და ზნეობა; თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ დი-
დებულის სახელი ქართველსაც შეუძლია მოი-
პოვოს, რის ვამო მტკიცეთ გვრწამს რომ ის
ერი, რომელიც შემქნელია ასეთი ზენა კაცი-
სა, არასოდეს არ მოკვდება და თავის არსე-
ბობა ოქროს ასოებით შეუძლია ჩაიწეროს მსო-
ფლიო ისტორიაში. გაიხარეთ და გამხნევ-
დით, საყვარელო მგოსანო, რომ თესლმა,
თქვენი კურთხეულის მარჯვენით ნათესმა, ნა-
ყოფი მოუტანა შენს საყვარელს სამშობლოს,
რომელიც შენთვის ხატია და მის წინ მზადა
ხარ დაიწვა, ვითა სანთელი; სამაგიეროდ სა-
ქართველოს ერმა თვით თქვენ ჩაგისახათ გულ-
ში ხატად და ამ ხატის წინ მუდამ უამს აღან-
თებენ იმ დიდებულს იდეალებს ძმობისას და

სიყვარულისას, რომელსაც თქვენ ჩაგვძახოდით. აწ ვიღებ ხელში წმინდა ჯვარს და გლოცავ მით და ვევედრებით მასზედ ტანჯულს სიმართლისა და ჭეშმარიტების მღალადებელს ქვეყნის მაცხოვარს, რათა სიმრთელით განაგრძოს თქვენი ძვირფასი სიცოცხლე ჩვენ და სასიხარულოდ, სასიქადულოდ და სასარგებლოდ მრავალ წელს.“

ეკლესიიდან მგოსანი მიიყვანეს ბალში, სადაც აუარებელი საზოგადოება იყო შეკრებილი. აქ მიმართა მას ნიკო გიორგობიანშა შემდეგი სიტყვით:

„1907 წელი ქართველი ერის ნალველით იქმნა ჩაწერილი ჩვენს მრავალ-ტანჯულ სამშობლოს ისტორიაში. „გვინათებდა ორი ვარსკვლავი, დაგვრჩა მხოლოდ ერთი“ — აი რა გაისმოდა საქართველოს ყველა კუთხეში უკვდავი ილიას სიკვდილის დღეს. და ეს ერთი ბრძანდებით თქვენ, სასიქადულო მამულიშვილო, საქართველოს სიამაყევ, მაღალ ნიჭიერო მგოსანო, ჩვენო ძვირფასო აკაკი! ილიას სიკვ-

დილის შემდეგ დამარტოხელებული თქვენ შეიქენით ერთადერთი იმედი და დიდება საქართველოსი. თქვენ ერთმა მიიპყრეთ მთელი ერის ყურადღება, რომლის თქვენდამი სიყვარული ერთი ათად გაიზარდა.

ყოველთვის და ყველასათვის საყვარელო აკაკი! არასდროს რაჭველებს თქვენ ისე არა ჰყვარებიხართ, როგორც დღეს. არასდროს რაჭველებს თვით თავისი თავი იმდენად არ ჰყვარებიათ და არ დაუფასებიათ, რამდენადაც დღეს. ბევრს შეიძლება დღემდე კიდევაც ეთაკილებოდა რაჭველობა, დღეს კი არც ერთი რაჭველობას არავის გაუცვლის. იმ დღეს, როცა რაჭას აკაკი სტუმრად სწვევია, რაჭველობა არა თუ სათაკილო, პირიქით სასახელოა; რაჭველი დღეს ამაყობს და თავის თავს ბედნიერად სთვლის.

მიმოიხედე, დიდებულო სტუმარო! აი ესოდენი ხალხი თქვენ მოულოდნელად მოგელოდა. მის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არა აქვს, ოდეს თქვენი ხილვის ლირსი

გამხდარა. მერე რომ იცოდეთ, ზოგიერთი რა სიშორიდანაა აქ მოსული!?

შინ დარჩენილან მხოლოდ მოხუცნი და აკვნის ბავშვები, დღეს ისინიც თქვენს ხსენებასა და ქებაში არიან.

გლეხის ღარიბ ქოხში მშობელი დედა აკვანს მისჯდომია, მას თითქო სრულიად დავიწყებია ყოველდღიური ოჯახური საქმიანობა და რა-ლაცა ციურ იმედებით სახე გაბრწყინვებული,

თავის პატარა საყვარელს შვილს თქვენს ტკბილ ნანას უმღერის და თქვენის სახელით ეალე-რსება. დიახ, დაბეჭავებულს, უგზოუკვლობით ყოველ კულტურულ ცენტრს მოწყვეტილს, უმწეო და უპატრონო რაჭას დიდიხანია არ ღირსებია დღეისთანა მხიარული დღე.

ან კი საიდან, როდესაც ჩვენს მრავალ-ტანჯულ ქვეყანას სასიხარულო დღე სანატრე-ლად გადაქცევია. მთელი საუკუნის განმავლო-ბაში თითქო გამქრალან, თითქო სრულიად მოსპობილან საქართველოში ეროვნული სამ-ხიარულო თავურილობანი და მათი ადგილი შავ-ბნელ სამგლოვიარო დღეებს დაუჭე-რიათ.

1896 წ. სუსხიან ზამთარში შეიკრიბნენ აურაცხელნი ქართველნი ქ. ქუთაისში, რათა სამუდამოთ გამოსთხოვებოდნენ ყოვლად სამ-ლვდელო გაბრიელს, ვისიც მაღალზნეობრივი პიროვნება ასე უხვად აშუქებს და აბრწყინვებს ჩვენს ღვთისმშობლის წილხდომილ ქვე-ყანას.

1907 წელს წიწამურის გზაზე მტარვალის ხელიდან გასროლილმა ტყვიამ ხომ სულერ-თიანად აატირა და საცოდავად ააბლავლა მთე-ლი საქართველო. ქართველ ერს მზე დაუბ-ნელდა. სამშობლოს მოღალატემ ილიას ტყვი-ოთ გული გაუგმირა და დაობლებულ ქართვე-ლებს კიდევაც მიეცა საბედისწერო შემთხვევა შეკრებილიყვნენ ერთად, რომ დედა ქალაქ თბილისის ქუჩები და წმ. მამადავითის გორა მწარე ცრემლები მოერწყოთ.

ან გაიხედეთ დიდუბისაკენ. გლოვის ზა-რი! რა ამბავია?! მოზღვავებული გულჩათუთ-ქული ქართველი ერი შავს მიწას აბარებს საუ-კეთესო მამულიშვილს, დიდებულ პედაგოგს,

იაკობ გოგებაშვილს. და ეს აზრის ხმა ჯერაც კიდევ არ შეწყვეტილა; ჯერ კიდევ ჩვენს თვალზე მდუღარე ცრემლი არ გამშრალა. და აი, ამ ეროვნულ მოთქმა—გოდების დღეს თქვენი აქ მობრძანება ჭეშმარიტათ იგივეა, რაც მესიას ქვეყნად გამოცხადება. დიდი მადლობის ლირსნი არიან ყველა ისინი, ვისაც თქვენი აქ მობრძანებისათვის ხელი უწყვია. გმადლობთ, დიდებულო სტუმარო—მამული-შვილო, რომ გაგვამხნევე და გაგვახარე. ეხლა კი თვითონ თქვენ გეკითხებით, მიზეზო ჩვენის სიხარულისა: აბა გვიბრძანე, თვით განხორციელებულო სიხარულო ჭირ-ნახულ ივერიისა, განა თქვენ კი თქვენ სიცოცხლეში ბევრი გლირსებიათ მხიარული დღეები?— არც ერთი დღე არც ერთი საათი!— წმინდა მოწამის შარავანდედით მოსილო, აკაკი! ვინ დაგწამოს თქვენ სიცილ-ხარხარი, ოდეს სატრფო თქვენის გულისა ტყვეობაშია!.. განა ჰყოლია დამონებულ საქართველოს მთელი საუკუნის განმავლობაში თქვენისთანა ჭირისუფალი? ან

ვის შეეძლო თქვენებრ სისწორით გაეთვალწინებია ის უკულმართი გზა, რომელზედაც მონობამ ჩვენი სამშობლო შეაყენა”

ვის უტირებია, ვის უჟღერებია მკვნესარე ჩანგი სამშობლო დიდებისათვის ისე, როგორც თქვენ? აქ თქვენ ტოლი არ გყავთ, სწორუპოვარო მამულიშვილო! და მერე ვინ იცის რამდეჯერ ჭირში მყოფ მამულისათვის. თქვენ დამე ძილი გაგტეხიათ და რამდენი ცხარე ცრემლი თქვენ ისე დაგიღვრიათ, რომ ჩვენ არც კი გაგვიგია!...

მაგრამ დროა ბოლო მოელოს ცრემლთა დენასა. განა თქვენ თითონ არ გვახარეთ — არ მომკვდარა, შხოლოდ სძინავს, ისევ მალე გაიღვიძებსო... მრავალგზის ბარბაროს მტრებისაგან აოხრებული ჩვენი სამშობლო თვით მთელი საუკუნის აუტანელმა მონობამაც კი სიკვდილის კარამდე ვერ მიიყვანა. ან როგორ შეიძლება სიკვდილი და მოსპობა იმ მაღალ-სულოვან ერისა, რომელმაც წარმოშობა იმისთანა მსოფლიო მნათობნი, როგორიც არიან

მაგალითად; დავით აღმაშენებელი, თამარ დე-
დოფალი, შოთა რუსთაველი, ჩვენი გაბრიე-
ლი, ილია ჭავჭავაძე და თქვენ, ძვირფასო აკა-
კი! ქება-დიდება თქვენ სახელოვანნო მამული-
შვილნო, თქვენ მიერ სამარადისოთ უკვდავ
ყოფილია მსოფლიო ლიტერატურაში ქართვე-
ლი ერი, მისი ენა, პოეზია, აზროვნება და
მწერლობა. გადაგვარების უკულმართ გზას
ბოლო ეღება. საქართველოს თვით მისთანა
მიყრუებულ კუთხეშიაც კი, როგორიც რაჭაა,
მოზარდ თაობას დედინაცვლის შრატისათვის
ზურგი შეუქცევია და ხარბათ ეწაფება მშო-
ბელი დედის ძუძუებს. სანატრელმა გაზაფხუ-
ლის დილის ცისკარმა კაი ხანია გამოანათა....“
შემდეგ ჩააბეს ფერხული და შემოსძახეს ერო-
ვნული სიმღერები, რითაც მგოსანი შეიქციეს
ნაშუადლევის ოთხ საათამდე; ოთხ საათზე კი
მიიწვიეს ნოტარიუსის დავ. გოუირიძის სახლში,
სადაც გაშლილი იყო სუფრა სტუმრებისათვის.
თამადობა მიულოცეს თავ. კოწია წულუკიძეს,
რომელმაც მოკლე სიტყვით ადლეგრძელა აკა-

კი, შემდეგ მხლებლები, პრესის წარმომადგენლები და იქ დამსწრე საზოგადოება. სხვა და სხვა სიმღერებით გაამხიარულეს სუფრა მაღაქია ჯაფარიძის შეილებმა ოთხმა მთამ, მათ შორის ორი სტუდენტი, რომლებიც ისე წააგვანან ერთმანეთს, რომ გამორჩევა შეუძლებელია.

რადგანაც ამავე დღეს, 27 ივლისს, იმართებოდა ონუი სალიტერატურო სალამო, რომელსაც უნდა დასწრებოდა მგოსანი მხლებლებითურთ, სადილი ექვსს საათზე გათავდა და მგოსანმა ცოტახანს მოისვენა. ათ საათზე მიგვიწვიეს სალიტერატურო სალამოზე; სალამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან; პირველ განყოფილებაში წაიკითხეს და გააცვნეს დამსწრე საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია და იმისი პოეზიის მნიშვნელობა. მერე ორატორებმა უთხრეს სიტყვები, როგორც პროზად ისე ლექსალაც. მეორე განყოფილებაში იმღერეს „მრავალუამიერ“ და მოსწავლე-ბავშვებმა წაიკითხეს აკაკის სხვა და სხვა ლექსები. მესამე

განცოფილებაში კორიშელმა, ჩაგუნავამ, და გელოვანმა მშვენივრად შეასრულეს სიმღერები „ორმოცი წლის ბებია“, „ომში წასვლა მას უხარის“, „გახსოვს ტურფავ ჩვენ დიდ ბალში“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხვა.

აქ მარიამ წერეთლის ასულმა მიმართა მკონსანს შემდეგი სიტყვით:

იშვიათო მოხუცო! ფრიად სასიამოვნო, მაგრამ მეტად ძნელი ხვედრი მარგუნა ბედმა: მოგესალმო და ქებათა-ქება გიძლვნა ჩემი უმწეო ენით, შენ, ივერიის შვენებას. ბედნიერი ვარ მით, რომ დიდი მგოსანი, ერის გუშაგი, რომლის სევდიანი ჰანგები თავს დასტირიან წამებულ ივერიის ბედ-ილბალს, დღეს პირველად ეწვია ბედკრული საქართველოს ერთ შვენიერ კუთხეს, ჩემ საყვარელ სამშობლო რაჭას.

მოვსულვარ შენ საქებ სადიდებლად და თანაც მთის შიურიკის, —ცელქი სიოს, და მთა-გორების დანაბარები სალამი თავისუფალ მუზას ამაყ მთებიდან თან მომიძლენია, დიდო

მოსანო! მოელვარე მთის პაწია ჩანჩქერნიც
საამურად ეკონებიან, ნეტარ დღით დამთვრალს,
და აზვირთებულ -- ფაზისს, და ტალღათა სრბო-
ლაში, ამ სტიქიონურ ძმურ ხვევნა-კოცნით,
გამოსთქვამენ და მაბარებენ სალამს შენდამი,
დიდებულო შვილო ტანჯული ერისავ!

ბუნება ხარობს, გიგილობს და ჩვენც უფ-
რო გვმართებს მხიარულება, გვმართებს და კი-
დევაც შემოვკრბით, და შეერთებით, ხმა შეწ-
წობილად ვუგალობთ წმინდა საგალობელს ჩვენ
ლვთაებას, წმიდათა-წმიდას, ხელოვნების ქუ-
რუმს.

დღეს ჩვენც, რაჭველები, ვდღესასწაუ-
ლობთ იმ გმირთ-გმირის დღეს, რომელსაც
ხმლის ნაცვლათ, ცრემლში ნალეს, ნალველში
ამონაწები კალამი ხელთ ეპყრა და ორმოცდა
ათი წლის განმავლობაში დაუღილავათ დარა-
ჯობდა ქართველ ერს, სიმართლის კერას, ბო-
როტებას ებრძოდა, და საგანგებოთ უგერებდა
ბედკრულ ივერიას ბუზებივით მოზუზუნე
მტერს. თუმცა ის მოსაზრება, რომ, შენ სატრ-

ფოს ძველებური მოსისხლე მტრები აღარ აწუ-
ხებდენ ცოტათი გულს გიმშვიდებდა, მაგრამ
ის მდგომარეობა, რომ შენი სატრფო, ვითომ-
და, მფარველ ფრთის ქვეშ მყოფი, ფეხშიშვე-
ლია და თავზე ლეჩაქ ახდილი, და ცრუ-გაუ-
ტანელ-მამულიშვილებისაგან ერთი ორად შე-
გინებულია, გულს გიგმირავდა, ნაღვლიანად
აუღერებდი შენს ჩანგს, დასტიროდი სატრფოს
ვარამს, ვით მწყემსი ობლის საფლავს, და ჩვენც
გვატირებდი. მაგრამ ამ ქვითინში სასოწარკვე-
თილის გოდება როდი ისმოდა. ღრმად გწამ-
და, რომ ივერიის ბედ-ილბალი არ მოკვდარა
გაღვივდება დარჩენილი ნაპერწკალი, და ლვთი-
ურ ცეცხლად აღიგზნება.

დღეს კი მწამს, რომ მართლაც არ მომ-
კვდარა და არც მოკვდება ის სატრფო, რო-
მელსაც-შენებრ მოტრფიალე გვერდს ეყოლე-
ბა, არ მოკვდება ის ერი, რომელსაც შენებრ
მებრძოლი ეყოლება. დიახ, ბატონებო, აკაკი
მებრძოლია. გმირთ-გმირი, ვინაიდან ჩვენ-
დროში ხმალი იმდენს ვერას იზამს, რასაც პა-

ტარა კალმის წვერი და მით უფრო ისეთი კალმის წვერი და სიმთა ულერა, რომელიც დაჩაგრულს თვალს ცრემლებს უშრობს და-მჩაგვრელთ კი გულში ისარივით ესობა.

აბა ბატონებო! ეხლა გადავხედოთ სიმარ-თლისათვის თავდადებულ მეომართა ძვლებით დაფარულ ბრძოლის ველს, აյ სანუგეშოს თითქოს ვერას ვხედავთ; მაგრამ ნუ შეკრთე-ბით! აგერ ძვლებისაგან აგებულ კიბის მწვერ-ვალზე შარავანდედით მოცული მონუკი სდგას. თუმცა მძიმე ხვედრი ღრმად ალბეჭდია მის სპე-ტაკ შუბლზე მაგრამ იგი შეუპოვრად სდგას. თვითეული საფეხური კვნესით, გოდებით განვ-ლე, შენ მგოსანო, მრავალი თანამოძმენი ჩა-მოგშორდენ, ზოგი ულმობელ სიკუდილით უდროოდ მოტაცებულნი, ზოგი ბოროტების მსხვერპლად ქცეულნი, მაგრამ შენ შეუპოვ-რად განაგრძობდი წინსვლას, საიდუმლო ლამ-პრით ინათებდი ნარ-ეკლიან გზას, და მიგჷავ-და, სევდიანი ჩანგის ულერით მიტოვებული მხარე. და დღეს კი სდგეხარ იმ მწვერვალზე,

რომელსაც მხოლოდ შენებრ რჩეულნი თუ მიაგნებენ და მორთავენ სავედრებელ ტაძარს ბზისა ტოტებით. მაშ აუღერე, მოხუცო, ეგ ჩანგი შენი! მხოლოდ შენ შეგვრჩენიხარ, შენ ხარ ჩვენი დედა, მამა, გამხარებელ-დამატირებელი, და ერის საქებ-სადიდებლად ნუ დაგვა-ვიწყებ იმ ტკბილ ენასა, რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა.

ლამის თორმეტ საათზე დამთავრდა სალა-მო, რომელმაც საზოგადოდ ჩინებულად ჩაია-რა, ხალხიც აუარებელი დაესწრო.

შაბათს, 28 ივლისს, რვა საათზე წამოვ-დეჭით და ჩაის შემდეგ დავიწყეთ თათბირი ს. სხიერში (სხიერობა 29 ივლისს) წასვლის შე-სახებ, სადაც მიწვეული იყო მგოსანი ს. ჯა-ფარიძის ოჯახში. შემდეგ კი, 30 ივლისს, უწერა-გლოლა-ჭიორისაკენაც ვფიქრობდით გამ-გზავრებას; გლოგა-ჭიორელები, როგოც გად-მოგვცეს, დიდ მზადებაში ყოფილან და გვი-პირებდნენ ჯიხვ-ირმებით და კალმახებით გა-მასპინძლებას. ჩვენც ძლიერ გვეინტერესებო-

და რიონის სათავეში მდებარე განაპირა ზემო-
რაჭის სოფლების, იქაური მცხოვრებლების და-
თვალიერება, მათი ზნე-ჩვეულების გაცნობა და
ეროვნული სიმღერების მოსმენა. როგორც გად-
მოგვცეს ონელებმა, ცუდი გზებისა გამო მგო-
სანს ამ სოფლებში შესვლა მეტად გაუჭირდე-
ბოდა, ამის გამო ხმის უმეტესობით გადავწყვი:
ტეთ უკანვე გამობრუნება და ლაილაშს შესვ-
ლა, რაც დეპეშით ვაცნობეთ დაპირებისამებრ
ლაილაშში თავ. ლევ. დადეშკელიანს. სადილო-
ბამდე მგოსანმა ისურვა ფოტოგრაფიული სუ-
რათის გადაღება ერთად ონის კომიტეტთან
(მოგზაურობის მომწყობია). ნაშენადლევის მე-
ოთხე საათზე მიგვიწვიეს ბალში მორთულ ფაჩ-
ნატურში. ქართულად გაშლილ სუფრას სამას-
ზე მეტი კაცი და ქალი მოუსხდა. დანარჩენ-
თათვის გაიშალა სუფრა იქვე მწვანეზე. თამა-
დობა მიულოცეს რაჭის მაზრის წინამძღოლს
ექიმს დავ. ჯაფარიძეს. სანამ თამაღა
სადლეგრძელოს იტყოდა, მგოსანთან გაჩნდა
ერთი მოხუცი ზემორაჭველი მესტვირე და შე-

ამკო ქებით; თამაღამ დაასაჩუქრა მესტვირე და აიღო ყანწი ხელში; პირველად ადლეგრძელა იკავი, უსურვა მას კეთილდღეობა და კიდევ დიდხანს სიცოცხლე ქართველ ერის სანუგეშოდ; თამაღას სიტყვას მოჰყვა „მრავალ-ეა-მიერ“ და „ვაშას“ ძახილი. ყოველი სადღე-გრძელოს შემდეგ უკრავდა ზურნა. ადლეგრძელეს მგოსანი ყოველი მხრიდან: ონის ებრაელთა დეპუტაციამ მოართვა მგოსანს ხონჩით ტორტი, რომელზედაც იყო გამოხატული ჩან-გი, სამელნე და კალამი, ამასთანავე მათმა წარმომადგენელმა ახალგაზღა ებრაელმა ფილ-ხაზ შიმშილაშვილმა მიმართა აკაკის შემდეგი სიტყვით; სასიქადულო მგოსანო, საქართველოს მამულიშვილო, ბატონო აქაკი! მე გიახელით თქვენთან, რათა ქართველი ებრაელების მონ-დობილობით მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა; დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებ-რაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის უღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენ ქართველი ებრაე-

ლები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენს ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელებისა და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვირჩევით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგველო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ-და სჯული ნებას არ გვაძლევს, რადგან დღეს შაბათია, ამისათვის ბოდიშს ვითხოვთ თქვენს წინაშე და გთხოვთ მოგვიტევოთ. ამასთანავე ნიშნად პატივისცემისა ებრაელებისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძლვენი. მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებსა შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არ იქნება გარდა სარწმუნოებისა.“

მგოსანმაც შესაფერისი სიტყვა უთხრა ებრაელებს, გადაკოცნა ახალგაზღა წარმომადგენელი: ხალხმა დასძახა „ვაშა“ და „აკაკის გაუმარჯოს“ მეზურნეებმაც დაპურეს ტუში. ამის შემდეგ თამადამ დალია სადლეგრძელო კომიტეტების, რომელთაც მოაწყვეს მოგზაურობა, პრესის წარმომადგენლების და სხვათა...

მაზრის უფროსმა ნ. ჩერნოვმა ადლეგრძელა მგოსანი მეტად გრძნობიერი სიტყვით, რაზედაც აკაკიმ უპასუხა მას მოხდენილი სიტყვითვე. მაზრის უფროსის სიტყვამ და აკაკის პასუხმა გამოიწვია დიდი აღტაცება და დაუსრულებელი „ვაშა“ და ტაში. მომღერლებმა კორიშელმა, ჩაგუნავამ და გელოვანმა საუცხოვდ იმღერეს სხვა და სხვა ხმები. თავ. ივანე წულუკიძემ ადლეგრძელა მგოსანი და მიმართა შემდეგი სიტყვით.

„სასიქადულო მამულიშვილო! წარმოიდგინეთ ბნელით ჯურლმული, რომლითაც უნასნი სარგებლობენ და დაუსრულებლივ სისინო-

ბენ; სადაც ტანჯვა, წუხილი და გულშემზა-
 რავი კვნესაა; არსაიდან ხსნა, არსაიდან სი-
 ნათლე, ყველგან საშინელი წყვდიადია! მოუ-
 ლოდნელად წერაქვი კაფსა სცემს, ქვა ნაპერწ-
 კლებს ჰყრის; და მათი ალით წყვდიადი ჰქრე-
 ბა; ნათელს თან მოსდევს საერთო ხსნა და
 ნეტარება! აი ამ გვარათ, ჩვენი სამშობლო,
 სულსა ღაფავდა წყვდიადის ქვეშე, ბევრი ქვემ-
 ძრომი და სხვა უნასნი ზეიმს მართავდენ მის
 სივრცეზე. ამ დროს წერაქვად, ოქვენ მოევ-
 ლინეთ, კაფს მაგრათ დაპკარით და ნაპერწკ-
 ლებმა ანაზდეულად ბნელი წყვდიადი მიფანტ-
 მოფანტა... აწუკი ყველას იმედი გვქონდეს,
 რომ ვერ გაუძლებს ჯაჭვი ამირანს და ტა-
 რიელ-ავთანდილ-ფრიდონი გამოიხსნინ ნესტან-
 დარეჯანს.

აი ამიტომ:

„ნეტარ ხარ შენა! შენ არ გჭირია,
 ჩვენგან დიდება ალტაცებული;
 არც არა ძეგლი მოკლე დროითი
 და დროებითვე განათებული.

შენ გასულდგმულებს სულ სხვა რამ
მაღლი,

შენ უკვდავათ გქმნის ზენაარსთ ძალი,
ქანდაკს, გიმზადებს აწმყო უმჩნევლად
და გაცისკროვნებს თვით მომავალი.

ამბროსი გამყრელიძემ მიმართა მგოსანს და
ადლეგრძელა შემდეგი სიტყვით:

„ბატონო აკაკი!

დღეს ჩვენ რაჭელები დიდ სიხარულს,
და აღტაცებას ვგრძნობთ შენის აქ მოსვლით;
მით უფრო განუსაზღვრელი საგრძნობელია
ჩვენთვის შენი აქ მოსვლა, რომ ამ მოხუცე-
ბულობის დროს არ დაგეზარა, არ მოერიდე
არც სიშორეს, არც უვარგისს გზას, გვეცი პა-
ტივი, მიიღე ჩვენი მასპინძლობა და მობრძან-
დით ჩვენში. შენის ნახვით ხალხი სულიერად
მხნევდება, გონივრულად იღვიძებს და ერთი
ორად უღორძინდება. მას სიყვარული იმ მამუ-
ლისა და სამშობლოსი, რომლისთვისაც შენ
გაქვს შეწირული საუკეთესო ხანა შენი ცხოვ-
რებისა, შეწირული მთელი შენი სიცოცხლე,

სიყმაწვილე და სიჭაბუკე. აი სწორედ, ამიტო-
მაც, დღეს ჩვენ რაჭველები, ვგრძნობთ ჩვენ
თავს ამაყად, ამალლებულად, რომ ჩვენთან
ერთად გხედავთ ერთ სუფრაზე, რადგან შენი
მტკიცე კარგი სახელი და ღრმა მხურვალე სი-
ყვარული ბავშობიდანვე დედის-ძუძუსთან ერ-
თად გვაქვს ჩანერგილი, როდესაც ჩვენ გასა-
ჩუმებლად დაგვმლეროდენ შენს ტკბილ ნა-
ნინას“. ეს დღეები, რომელიც გაატარე აქ რაჭა-
ში; ჩაითვლება ერთ საუკეთესო ჯილდოთ,
რომელიც ჩვენ მიგვიღია როდისმე ცხოვრება-
ში, და მასთან იქნება სასიამოვნო მოსაგონად
მთელ ჩვენ სიცოცხლეში და არ ამოიფხვრე-
ბა ჩვენის გულიდან უკანასკნელ წუთამდე.

ეს ერთი ნაწილი კუთხისა, მშვენიერი
შენი სამშობლოსი, სადაც დღეს შენ იმყოფე-
ბი და მხურვალე გულით გეგებებიან და გარს
გეხვევიან, არის დასახლებული თავ-განწირუ-
ლი მშრომელი ხალხით. შრომა კი, როგორც
ვიცით, აპატიოსნებს აღამიანს; პატიოსნება
გამოიხატება სიყვარულსა და სათნოებაში. ეს

✓ სიყვარული და სათნოება ჩვენ გვაქვს შეგნე-
ბული შენი ბასრი კალამის ნაწარმოებით, რო-
მელიც მთელი ორმოცდაათი წელიწადი უწევ-
და მედგარ სამსახურს ჩვენს სამშობლოს,
რასაც ამოწმებს ის გარემოება, რომელსაც
თვითონ თქვენ ხედავთ თქვენის თვალით; რა-
ჭველი, მიუხედავათ ადგილის სივიწროისა,
რომელსაც დღეს განიცდის, მიუხედავათ მკა-
ცრი ბუნებისა, ვერ შეთვისებია იმ აზრს, რომ
მიატოვოს სამშობლო და წავიდეს სხვაგან უკე-
თეს ადგილას საცხოვრებლად. სხვაგან სიცო-
ცხლეს აქ სიკვდილს ამჯობინებს, სხვაგან სიმ-
დიდიდრეს და სიმხიარულეს აქ სილარიბეს და
ტანჯვას. ის სულით და ხორცით არის მიჯაჭვუ-
ლი ამ სალს კლდეებს ამირანის ჯაჭვით შენი
კალმის ნაწარმოების მიზეზით. შენ ხარ ჩვენი
წინამორბედი, აი სწორედ ეს არის მიზეზი დღე-
ვანდელი ჩვენი აღტაცებისა და სიხარულისა.
ლოცვით ვერ დაგლოცავ, რადგან თვით ლვთი-
საგან ხარ დალოცვილი და ნაკურთხი; გი-
სურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენდა საიმე-
დოთ და სასიქადულოთ.“

წარმოითქვა აგრეთვე მრავალი საყურადღებო
სადღეგრძელო, გაიმართა ქართული მოლ-
ხენა, ეროვნული სიმღერები, ფერხული და
ცეკვა-თამაში, ლეკური ზურნაზე; ონის ნადი-
მი და ყოველივე ესენი გადაიღეს მხატვრებმა.
ნადიმმა მხიარულად ჩაიარა, ყველა იქ მყოფნი
აუწერელ აღტაცებას და სიამოვნებას გრძნობ-
და, ბუნებაც ხარობდა, ამინდი მშვენიერი
იღვა, გრილი საღამო იყო, მთა „შოდა“,
ლურჯი ნისლით დაფარული, ამაყად დაგვყუ-
რებდა, გულის ამატოკებელი ზურნის ხმებს
და ონელების ფერხულზე სიმღერას მდ. რიო-
ნიც თავისი დუდუნით ხმას აძლევდა, ნელი
სიოც არ გვაკლებდა პატივისცემას და მხირუ-
ლებას. საღილის გაოვებისას მგოსანმა მი-
მართა ონის საზოგადოებას გამოსათხოვარ სიტ-
ყვით:

„ბატონებო! თქვენი მხიარულება მეც
გადამედვა. თქვენზე უფრო მეტად მე ვარ აღ-
ტაცებული, იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანია,
რომელსაც მე დღეს აქ ვხედავ ჩემგან არის

გამოწვეული, არა— სულ სხვა მიზეზით: მე ვხედავ, რომ თქვენ უკვე გამოღვიძებული ხართ, არა ხართ კმაყოფილი აწმყოთი და მიისწრაფებით მომავლისაკენ; თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ გყავდეთ წინამძლოლი, რომ მოგევლინოთ მესია და, ნამეტანი სურვილით გატაცებულნი, აჩქარებულხართ და მე გვინივართ ის წინამძლოლი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ, მე უბრალო წინამორბედი ვარ; ამას მოგახსენებთ წრთელის გულით. ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და ამირანი აუშვას, სხვა არის, მე არა ვარ; ის მოგევლინებათ თქვენ ახალ დგმისაგან. როდესაც იკანე ნათლავდა ხალხს, ის ეგონათ ებრაელებს მესია და მას უთხრეს, შენ ხარ მესიაო? „არა, უპასუხა მან,— მე მესია არა ვარ, მესია ის არის, რომელიც ეხლა მოდის და ნელნელა ჩვენსკენ ეშვებაო; მე ნათელს გცემთ თქვენ წყლით და ის კი სული წმიდითაო“. მე ლირსი არა ვარ იმ შედარებისა, მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ ალფროვანების დროს. დიახ,

ბატონები, ასრულდა ითანე ნათლის მცემლის სიტყვები, მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი; სწორედ ასევე მოევლინება საქართველოს მისი საკადრისი გმირი, რომელსაც მე ღირსი არა ვარ ხამლი გავხადო ფეხთა მისთა დათუ მე მცირე მახარობელს, უბრალო მომაკვდავს, ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ?! თქვენ მაშინ მეტი გახარებული იქნებით და უფრო მომზადებულნი შეხვდებით გმირთა-გმირს, მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი სიყვარული და პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვთქვა: „აწ განმიტევე მე მონა შენი“.

ამასთან მგოსანმა მიირთვა სადლეგრძელო საზოგადოებისა და ‘უძლვნა მადლობა ასეთი მიღებისათვის და დღესასწაულობისათვის. საზოგადოებაში გაისმა ტაშისცემა, „ვაშას“ ძანილი და გახდა თოფ-დამბაჩების გრიალი. **დეკანოზმა მათე გორდეზიანმა უპასუხა მგოსანს:** „ძვირფასო მგოსანო! თქვენი მოსვლის

ამბავი ელევასავით მოედო მთელ რაჭის მცხოვ-
რებლებს; იგი ცეცხლის ნაპერწკალივით ჩა-
ვარდა ჩვენს გულში და აღენთო გამოუთქმე-
ლი სიხარულის გრძნობები და თქვენის მოსვ-
ლით და პირისპირ ხილვით კი ესე გრძნობები
გაგვიორკეცდა; ხოლო გამოტეხილად და
გულ-ახდილად უნდა გითხრათ, ღირსეულო
მგოსანო, რომ ბოლოს ნათქვამმა სიტყვებმა
„აწ განუტევე მონა შენიო“ ცოტა ნაღველი
გადაასხა ჩვენს მხიარულებას; სიმონ მოხუცს
ლვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები არ მომკვდარი-
ყო სანამ თავისი თვალით არ იხილავდა მესიას,
მხესნელს სოფლისას და ასეც მოხდა, თქვენ
კი გვპირდებით მის მოსვლას თქვენს შემდეგ.
არა, დიდო მგოსანო! შენ თვით ზეციდან ხარ
მოვლენილი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელ-
საც მთელი თქვენის არსებით ეკუთვნით და
არა მარტო თქვენს თავს, ამიტომ არც უფლება
გაქვსთ სთქვათ „აწ განუტევე“ არა, ამის ნე-
ბას ვერ მოგცემთ, უნდა იცოცხლო მანამდის,
სანამ თქვენ არ მიირქმევთ თქვენს მკლავზე იმ

მესიას“. მგოსნის გამოსათხოვარმა სიტყვამ და დეკ. გორდეზიანის პასუხმა ბევრ იქ დამსწრეს სიხარულის ცრემლები გაღმოადინა. მგოსანი იჯდა საზოგადოებასთან ლამის ცხრა საათამდე, შემდეგ გააცილეს ბინამდის ზურნით, მაშეალების სროლით და მხიარულობით. ბალში მოლენა და ცეკვა თამაში გაგრძელდა ლამის ორ საათამდის მთლიად ონი გაჩირალდნებულ-განათებული იყო, ყველა ფეხზე იდგა. ასე დიდებულად ჩაიარა ონის ნაღიმმა,

მეორე დღეს, კვირას 29 ივლისს, უნდა გამოვსულიყავით ონიდან, ლამე უნდა გაგვეთია ისევ ბარაკონში, თავ. შამ. ერცსთავის სახლში, საიდახაც 30 ივლისს გავემგზავრებოდით ჭრებალოს და შემდეგ წავიდოდით ლაილაშს; საზოგადოება მიგველოდა ლაილაშში 31 ივლისისათვის.

კვირას, 29 ივლისს, დილის ათ საათზე შეიკრიბნენ, დავ. გოცირიძის სახლში ჭალები და კაცები ეროვნულ ტანისამოსებით მორთულნი, კომიტეტი და სხვა მგოსნის პატივისმცე-

მელნი. სინემატოგრაფ - ფოტოგრაფით გადაი-
დეს მგოსანი რამოდენიმეჯერ, როგორც ქა-
ლებთან გასეირნებული, ისე კაცებთან და კო-
მიტეტთან. სახლის დარბაზში მგოსანმა კედელ-
ზე წააწერა შემდეგი სიტყვები;

„სტუმართ მოყვარეობა
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია.“

29 ივლისი. აკაკი.

ნაშუადლევის ორ საათზე ონის კომიტე-
ტის განკარგულებით მიგვიწვიეს საღილზე; მგო-
სანს უთხრეს გამოსამშვიდებელი სიტყვები; მმ.
ჯაფარიძეებმა უმლერეს გამოსათხოვარი სიმ-
ლერა; მგოსანს გული აუჩვილდა და მოკლე სა-
პასუხო სიტყვა ცრემლებით დაათავა; სუფრა-
ზე მჯდომარ ყველას ცრემლები მოგვერია და
ათი წუთის განმავლობაში გაჩუმებულნი ერთ-
მანეთს შევჩერებოდით. ოთხ საათზე ეტლები
მოგვიყვანეს და მოვემზადეთ წასასვლელად;
მგოსანმა დაპყოცნა ყველა დამსწრენი, ჩვენც

გამოვემშვიდობეთ ყველას და გულ-დაწყვეტილ
ნი დაშორებით გამოვემგზავრეთ მეხუთე საათზე.

საზოგადოებამ გაგვაცილა ერთი ვერსის
მანძილზე; ონის გასათავებელში, ხილთან შეკრებილიყო აუარებელი ხალხი განურჩევლად
სქესისა მგოსნის გამოსამშეიდობებლად. მდგრ-
სანმა შეაჩერებინა ეტლი, დაემშვიდობა ყვე-
ლას, ხალხმა შესძახა „მშეიდობით“, „გაუშარ-
ჯოს აკაკის“ და განვაგრძეთ გზა. სამი ოთხი
ვერსის მანძილზე ჩვენს ეტლებს მოსდევდნენ
უკან ცხენებით მაზრის უფროსი ნ. ჩერნოვი,
იმისი ცოლი და შვილები. გამოთხოვებისას მგო-
სანი გადმოვიდა ეტლიდან, მაღლობა უთხრა
გამცილებლებს და გადაკოცნა ისინი. ჩვენც
დავემშვიდობეთ მათ და გამოვსწიეთ. იმ ღა-
მეს ჩამოვედით ბარაკონს თავ. შ. ერისთვი-
სას, საღაც უნდა გაგვეთია ღამე. ჩაის ღალე-
ვის შემდეგ მგოსანმა, გიგო დიასამიძემ და მა-
ზრის წინამძღვრობმა დავ. ჯაფარიძემ მონათლეს
შამაღავლეს შვილის-შვილი, პატარა ბიჭი. გა-
იმართა დიდებული ვახშამი და მოლხენა; თა-

მაღობა მიულოცეს აკაკის მხლებელთაგანს, კოტე აბდუშელიშვილს, ომელმაც აღლეგრძელა ყველანი რიგზე; ვახშამმა მხიარულად ჩაიარა, სუფრაზე შევრჩით ლამის სამ საათამდი; მგოსანიც იჯდა საზოგადოებასთან და მხიარულობდა; ოთხ საათზე დავიძინეთ.

მეორე დღეს, 30 ივლისს, ორშაბათს, ჩაის დალევის შემდეგ, გამოვემგზავრეთ ჭრებალოსაკენ; სადილზე მგოსანს მხლებლებითურთ მიელოდა ს. ხვანჭკარაში, გზაზედ თავის მარანში, თავ. დიმ. ყიფიანი. პირველ საათზე უკვე ვიყავით მასპინძლის მარანში. დასვენების შემდეგ გაგვიშალეს ქართული სუფრა; გამხიარულებულმა და უხვმა მასპინძელმა დიმიტრიმ მოგვიხადა ორ-სამ ნაირი ლვინო, როგორც შარშანდელი ისე ოთხი-ხუთი წლისა; თამაღობა მიანდეს თავ. ქაიხოსრო გელოვანს; გაიმართა სადლეგრძელოები და გამოსამშვიდობებელი სიტყვები; მალე გაჩნდენ სხვა და სხვა სოფლებიდან მომღერლებიც და მოფერხულენიც. აბელ კიკოშვილი გამოეთხოვა მგოსანს მოხდენილი ლექსით. აქ მგოსანს მიართვეს საჩუქრად ერთი წყვილი ხის ძველებური ხონჩები.

შემდეგ გ. ლორთქიფანიძემ უთხრა მგო-
სანს: „ძვირფასო მგოსანო! რამდენადაც თქვე-
ნი მობრძანება ჩვენში სასიხარულო იყო, იმ-
დენად დღევანდელი დღე ჩვენთვის, როდესაც
ეხლა გემშვიდობებით, არა სასიხარულოა.
ჩვენგან გამონაცად სიხარულს თქვენის მოშო-
რებით, თან და თან აკლდება ძალა, ისე რო-
გორც დღევანდელ დღეს სინათლის სიცხოვ-
ლე ქვეყნის მანათობელი მზის ჩასვლით; მხო-
ლოდ ის იმედი გვასულდგმულებს, რომ რო-
გორც ხვალ ეს მზე განახლებული სიცხოვე-
ლით კვლავ ამოაშუქებს, აგრეთვე თქვენი ცხო-
ველი გენია, რომელიც მუდამ ჩვენთან არის,
კვლავ აგვიტოვებს გულს განახლებულის ძა-
ლით და არას დროს არ მოგვშორდება. გა-
გვიძეს, გაგვიძეს წინ კვლავ, დიდებულო მგო-
სანო, რომ არ დავლაჩრდეთ, არ დავკარგოთ
ქართული ელფერი, წმინდა ქართული ჩვეუ-
ლებანი, და განვამტკიცოთ ურთიერთ შო-
რის ძმობა, ერთობა და სიყვარული. სამაგიე-
როთ ჩვენს სიცოცხლეს არ დავზოგავთ თქვენ-

თვის და მომავალი შვილნი საქართველოსი
იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც თქვენ
დაიდგით, გვერდით დასდგამენ ხელთაგან
ქმნილ ძეგლს, რომელზედაც გამოხატავენ სახე-
ლებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს წარსუ-
ლი დროის სახელოვანი შვილებისას და თავ-
ზედ ოქროს ასოებით თქვენს სახელს მოაწე-
რენ. მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მგოსანო,
იცოცხლეთ დიდხანს ჩვენდა საიმედოთ“!

როდიონ სურდულაძემ აღლეგრძელა მგო-
სანი შემდეგი სიტყვით:

„დიდებულო მგოსანო, სასიქადულო მა-
მულიშვილო!

რადგანაც ბედმა მარგუნა სუფრაზე თქვენ-
თან ჯდომა, მე მსურს ჩემს სიტყვებში გამო-
ვხატო ის გრძნობა თქვენდამი, რომლითაც
გამსჭვალულია მთელი ჩემი არსება. თუმცა ბუ-
ნებას მე არ დაუჯილდოვებივარ დემოსთენის
ან ციცერონის მჭერმეტყველური ნიჭით, თუმ-
ცა არ შემიძლია მათსავით სიტყვათა თაიგულ-
ში ჩავაქსოვო ჩემი გრძნობა და აზრები, მაგ-
რა არ გვიძლია მათსავით სიტყვათა თაიგულ-

რამ სამაგიეროდ გახსოვდეთ, რომ ყოველი ჩემი სიტყვა გულის სიღრმიდან არის ამოხეთქილი, ყოველი ჩემი აზრი ნაყოფია გულწრფელობისა. იმ მოკლე სიტყვებშიდ, რომლებშიაც მსურს გამოვხატო თქვენი მნიშვნელობა საქართველოსათვის, მე სრულებით არ შემიძლია ლირსეულად დაგაფასოთ. როგორც უნიჭიერესმა პოეტმა, თქვენ დიდათ გაუსწარით წინ თანამედროვე ცხოვრებას და აზროვნებას; ამისთვის თქვენი ლირსეულად დაფასება მხოლოდ მომავლის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია შესაფერი გუნდრუკი უკმიოს თქვენ პოეზიას. ჩვენ თანამედროვე ხალხს კი ბედმა გვარგუნა მხოლოდ ვიგრძნოთ თქვენი მნიშვნელობა, მაგრამ დაფასებისათვის კი ლონე არ შეგვწევს; ჩვენ შეგვიძლია დავსტკბეთ პირველი სხივების ელვარებით, უეგვიძლია უმზიროთ ამომავალ მზეს, მაგრამ მისი შუადლის სიბრწყინვალისთვის ძლიერ სუსტია ჩვენი თვალები.

მწარე და მოშხამულ დროს, სევდით მოცულ ერში აუღერდა თქვენი ჩანგი და მას

აჰეთ მთელი საქართველო და როგორც ცხოვრებით ტანჯულ-დაჩაგრულ ბეოტიის გლეხებს ღდესლაც ევლინებოდენ მუზები და მათ ცხოვრებაში შეჰყავდათ ბეღნიერების სხივი, ისე მთელი ტანჯული საქართველო უხვად დაეწაფა თქვენი პოეზიის ნაკადულს და მასში პპოვა იმედი და სიხარული. მგოსანს, რომელმაც სამშობლო ხატად აღიარა და მთელი ქვეყანა სახატედ, რომელიც ტარიელსავით თავგანწირულად ეძებდა თავის სატრფოს — საქართველოს ბედს, — ეთაყვანებოდა და ეთაყვანება მთელი საქართველო. თქვენ აუღერებთ ჩანგს და მთელი სამშობლოს გული საუცხოვო მელოდიას უნისონით გეუბნებათ; ყოველი თქვენი ხელის ჩაკვრა იღელვებს ქართველის გულს, სანეტარო იმედს ჰბადებს მასში. ქართველი ქალი, აკვანთან დამჯდარი, ყურში ჩაჰმდერის თქვენ ლექსებს პაწაწინა ყვავილს და მის თვალთ, შორს, შორს მომავლისაკენ მიპყრობილთ, წინ ეხატება საუცხოვო ვაჟკაციის სახე, რომელმაც საქართველოს ბედი, მეორე პოეტის აზრით,

ბაზალეთის ტბის ძირში ჩამარხული, უნდა ჰქონოს.

ყოველივე ამისთვის ქართველი ერი, კერძოდ კი რაჭა, დღეს თქვენ გაჯილდოებს ღრმა და გულწრფელი სიყვარულით, ბუნება კი — უკვდავებით. გიხაროდეთ მგოსანო! საუკუნეები გაჰყვებიან საუკუნეებს, თქვენ კი, როგორც ფენიქსი, ყოველ თაობაში ახლად და ახლად აღმოცენდებით. თქვენ მედგრათ უცხადებთ ბრძოლას დროს და უამს და მათაც ძალაუნებლიერ უნდა თვით დახარონ თქვენ წინ, უნდა თვისი შემმუსვრელი წელი გვერდზე გადადონ.

შემდეგ ადლეგრძელა მგოსანი ამირან ლომთაძემ და უთხრა სიტყვა:

„ჩვენო ერის სიამაყევ!

მე მმართებს თქვენი უგულითადესი სა-
დლეგრძელო, მიტომ რომ თქვენმა მადლიანმა
კალამმა გამომიყვანა მე გლეხიც ცხოვრების ას-
პარეზზე, მე მხოლოდ ვიცოდი მონა და ბა-
ტონი. მე გლეხი ვიყავი, შავ ზეწარში გახვე-
ული, და არ ვიცოდი თუ ჩემში აღამიანობა

იყო, რის გამო მე სასოწარკვეთილი დაღონებას ვიყავი მიცემული. ამ დაღონების დროს მე შემეკითხა ჩემი ბატონ-პატრონი: „რას დაღონებულხარო?“ და რადგანაც მე არ შემეძლო ჩემი საიდუმლო აღსარების გამოთქმა, სწორედ ამ დროს მომეშველა თქვენი მაღლიანი კალამი და მჭევრმეტყველი ენა, რომელმაც გასცა ჩემი პასუხი შემდეგის სიტყვებით:“

„რომ იცი, რაღას მკითხავ
ასე რისთვის ვლონდები!?
მასთვის, ჩემო ბატონო
რომ სულ შენ მაგონდები.
პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები,
მაგრამ ჩემო წამწყმედო
იქ შენ გერა ცხონდები.“

ეს სიტყვები გავლენიანი გრძნობითა და საქმით შეიტანეთ თქვენს წმიდათა — წმიდა სიაშიდ და სწორედ ამ დროს შემოაშუქა ბრწყინვალე დაუქრობელმა სხივებმა ჩემი სახლის ლარ-კავში, დაისადგურა ჭვარტლიან სხვენზე,

გამინათა კერია—ყვერბია და სახანე, ახლა კი
იღება ჯიჯგვი ყვრიმალიანი ხის კარები და
ლამობს ის ბრწყინვალე სხივები ჩემი ეზო გა-
რემოს განათებას.

დღეს კი შევკავშირებულვართ მთელი
ერი მიუხედავათ წარსულის ღროისა, რომელი
ერიც მიდის წინ განურჩევლად წოდებისა და
სარწმუნოებისა. სწორედ ამიტომ მოგახსენებთ,
რომ მე მმართებს ოქვენი უგულითადესი სა-
დღეგრძელო.

მხცოვანო ჩვენო მგოსანო
სულო და გულო ქართვლისა,
ბეჩავი ერის მაშველად
სულ წინ გამძლოლო კალმითა.

სადღეგრძელოს გიახლები
და გამოვცლი ამ კათხასა
თქვენსა ჭირსა შიგ მოვამწყვდევ
რომ გვეყოლო მრავალ ხანსა.“

დაბოლოს თფილისის რაჭველობის წარ-
მომადგენელმა იობა ისაკაძემ ადლეგრძელა აკაკი
და უთხრა შემდეგი სიტყვა ლექსიდ:

„მეცხრამეტე საუკუნის
მოვლენილო რუსთაველო,
სიტყვით და საქმით ძლიერო,
ქებულო ივერიელო!

თქვენმა ლექსებმა გაუხსნა
ბეჩავ ერს აზრი, გონება;
თქვენი სახელი უკვდავი
მრავალ წელს მოიგონება.

თქვენა გაქებს და გადიდებს
მთელად ივერთა მცხოვრები,
მართლაც ლირსი ხარ ქებისა,
არვინ გყავს შესაღარები.

ვსვამ მეც თქვენსა სადლევრძელოს,
თქვენი მხლებელი რაჭველი,
დაუვიწყარი იქნება
მგოსანო, თქვენი სახელი!..“
სადილი გაგრძელდა საღამომდის;

მგოსანი ზოგიერთი მხლებლით იმ ღამეს დარ-
ჩა მოსასვენებლად მასპინძელთან, ზოგნი კი
ჩავედით ჭრებალოს, საღაც რუბენ ყიფიანის
და კაკო ლოლელიანის განკარგულებით დაგვა-

ხვედრეს მშვენიერი ბინა და მოგვასვენეს სი-
 გრილეში. მეორე დღეს 31 ივლისს, დილით
 ადრე წამოვდექით და შევუდექით სამზადისს
 ლაილაშისაკენ გასამგზავრებლად.

✓ სამშაბათს, 31 ივლისს, ლაილაშლები მი-
 გველოდნენ 12 საათზე. 8 საათზე მგოსანს
 ეტლი გავუგზავნეთ თავ. დიმ. ყიფიანის მა-
 რანში და ჩამობრძანდა ჭრებალოს; ჭრება-
 ლოელებს მოემზადებინათ მშვენიერი საუზმე,
 ხის ძირში გაეშალათ გრძელი სუფრა და მო-
 ბრძანდა თუ არა მგოსანი, მოვუჯექით სუფრას
 30-მდე. საუზმე ერთ საათს გაგრძელდა. სა-
 დლეგრძელოს წარმოთქმის დროს თავ. ქაიხო-
 სრო გელოფანმა მიართვა საჩუქრად მგოსანს
 ძველებური ვერცხლის აზარფეშა, წონით ოთხ
 გირვანქა ნახევარი და ამასთანავე გადასცა
 „თემის“ რედაქტორს გრ. დიასაშიძეს აზარფა-
 შაზე წასაწერი შემდეგი ლექსი:

„ნიჭით მდიდარო მიიღე,
 ნიჭით ლარიბის ძლვენია,
 შენ გააღვიძე საერთოდ
 შენი ივერის ძენია.“

იცოცხლე კიდევ მრავალ წელს
იყავ ჯანღონით მრთელია,
რუსთველის ღირსო მემკვიდრევ
დიდხანს გვინათე ბნელია!

31 ივლისი

ს. ტოლა.

— — —

ცხრა საათზე გავემგზავრეთ ჭრებალოდან
ალპანას; გზაზე გადავიღეთ „საირმის“ გაუქ-
მებული მონასტერი და კლდეები. ალპანაში
ლაჯანურის ხიდიან დაგვხვდნენ დიდის ამბით
ლაილაშლები და საზოგადოდ ლეჩხუმლები.
მიუახლოვდით თუ არა აჭარის ხიდს, გახდა
თოფ-დამბაჩების სროლა და ააფეთქეს მდ. ლა-
ჯანურაში ნაღმები; ხიდის გასავალში მორთულ
კამარასთან შეაჩერეს ეტლი; კამარაზე წავი-
კითხეთ: „სალამი მგოსანს, სალამი კაკოს, სა-
ლამი ძვირფასს, ჩვენს საამაყოს.“ აჭვე ან. კე-
ჭალმაძემ უთხრა მგოსანს შემდეგი სიტყვა:
„ჩვენო ნამდვილო მამულიშვილო, ქართველო
მგოსანო, აკაკი! მადლობას გიძლვნით აჭარის



(იგივე ალპანის) საზოგადოება, რომ ასეთის
მოხუცებულობის დროს არ დაგვივიწყე, შე-
მოიარე ჩვენს მიტოვებულს და მივიწყებულს
კუთხეში და არ დაგვტოვე არც ჩვენ უნახავი,
რითაც რასაკვირველია, როგორც ყოველთვის,
ეხლაც დაამტკიცე თქვენი ერისაღმი ღრმა სი-
ყვარული. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,
ჩვენო დიდებავ, რომ სულითა და გულით
გვინდოდა მიგვეღე და დაგვეფასებინე ისე, რო-
გორც ღირსეული ჩვენი ერთი საუკეთესო ქა-
რთველი მამულიშვილი, თქვენი ნახევარი საუ-
კუნის განმავლობაში ჩვენდა გამოსაღვიძებლად
და აღსადგენად განუწყვეტელ და გულმოდ-
გინე შიომისათვის, მაგრამ ვაი რომ ვერ შევ-
ძელი; სილარიბისა გამო; ამიტომ ნიშნად
ჩვენი თქვენდამი გულწრფელი სიყვარულისა,
ჩვენო საყვარელო აკაკი, გიძღვნით სახსოვრად
აი ამ უბრალო ჭიქას, რომელსაც იმედია მი-
იღებთ და იქნებით სრული დარწმუნებული,
რომ ესეც არის თქვენი შრომა და ღვაწლი
აღწევს მიზანს, იღვიძებს 40—80 წლის წინად

ლაპინებული ქართველი ერი და აწ კი თავი-
სუფლად შეგვიძლიან შემოვძახოთ: არ მომ-
კვდარვართ, აღარც გვძინავს, ესეც არის
გავიღვიძეთ; ვინც ხარობდა ჩვენსა ხიკვ-
დილს, ეხლა იმას დაფამიწებთ“. მგოსანმა
ჩამოართვა ჭიქა ვერცხლის ჩასაღვამით და მა-
დლობა უძლვნა. ამის შემდეგ მიმართა შალვა
ახვლედიანმა მოსწავლე ახალგაზრდობის სახე-
ლით: „დიდებულო მგოსანო, გვირვვინო სა-
ქართველოსა? ვუერთდები მთელ ერს და მო-
გესალმებით. ჩვენ სალამს ბანს იძლევს ტყე-
ველი, მთა-კლდე და მდინარე, თითქოს ისი-
ნიც თავს იხრიან შენს წინაშე; გრძნობენ ისი-
ნი, რომ შენ ხარ მათი დამცველი, მათი ერთ-
გული და დაუღალავი დარაჯი. დღეს ვზა და
ვზა გვხვდებიან ისინიც, ვისაც არ უსწავლიათ
ანბანი, მაგრამ მაინც იხრიან თქვენს წინაშე
თავს და აფასებენ თქვენს ღვაწლს. ყველამ
იცის, ვინ არის აკაკი; არა ერთხელ აურაკ-
რაკებია თავიანთი ხმა თქვენის ლექსებით დიდს,
პატარას, მოხუცს ზა ახალგაზრდას. მე როდე-

საც შემთხვევა მქონდა გამომეცხადებინა თქვენი მოსვლა მათთვის ისინი დამეკითხნენ, რომელი აკაკი, ჩვენი მგოსანიო?“ ეს მაჩვენებელია იმისი, რომ ყველა გიცნობს, ისიც კი, ვისაც მიწისთვის თვალი არ მოუშორებია და სულ თოხისთვის მიულევია თავისი ძალა და სიცოცხლე; ჩვენც, ერთი მუჭა ახალგაზდობა, რომელთაც დუხტირ აღზრდაში აწოდებდით ვონებრივ საზრდოს, კიდევ უფრო გიცნობთ და ვაფასებთ ი. ჯვენს ნახევარ საუკუნის ღვაწლს; ჩვენს გულში დაჰკვესა ეროვნულმა გრძნობებმა, აბედი ჩვენი ნორჩი გულია და ტალკვესი კი თქვენი ნაწარმოები. ვსოდოვთ უზენაესს თქვენს დიდხანს სიცოცხლეს.“

გლეხების მხრივ მიმართა მგოსანს გლეხმა სამსონ ფრუიძემ შემდეგი ლექსით:

„შენის ნახვითა, მგოსანო,
ყველა ვართ მხიარულია
და მით გამხნევდა გულია.
გავფხიზლდით, აღარა გვძინავს;
შევიგნეთ, ვცდილობთ კარგზედა;“

დამყარდეს მომავალია.

ვალი დიდი გვძევს, მგოსანო,

რაც რომ სიკეთე ჰქენია,

და ჩვენგან მისი გადახდა

საეჭვოა და ძნელია.

მაგრამ შეგფიცავო, მგოსანო,

არ შევიწიოთ ვალია,

შენს მტერს გულსა ვკრათ ისარი

ვახმაროთ ქართველს ფარია,

ზედ თავზედ დავსცეთ მახვილი

მით დაუბნელოთ თვალია,

გზა-კვალ დაბნევით გარბოდენ

აღარ ეცადოთ ხანია...
!

ესე ქმნან შენმა შვილებმა

მით შეგისრულონ ვალია.

გაბრწყინდეს ჩვენი სამშობლო

აყვავდეს ჩვენი ერია,

ვისთვისაცა ხარ მედგარი

მნათობი მშვენიერია“.

მგოსანს მიმართა აგრეთვე ლექსით ერმი-

ლე გაპიანმა. მგოსანმა გადაკოცნა ყველა

ორატორები და მაღლობა უთხრა; შემდეგ
ცოტა ხანს დაისვენა მდ. ლაჯანურაზე გადამ-
დგარ დუქნის დერეფანში; ამასობაში თანახმად
მგოსნის სურვილისა ააფეთქეს ორჯერ-სამჯერ
ნაღმები მდინარეში; აფეთქების სურათი გადა-
ლებულ იქმნა კოტე ქავთარაძის მიერ. ერთი
საათის დასვენების შემდეგ ამალით გავსწიეთ
ლაილაშისაკენ და შევყევით მდ. ლაჯანურას
ხეობას. დიდებული სურათი გადაგვეშალა
თვალ-წინ: ორივე მხრივ თვალ-უწვდენელი სალი-
კლდეები, რომელთა ძირში ხან-მარცხნივ ხან მარ-
ჯვნივ მიიკლაკნება ვიწრო გზატკეცილი, ზევი-
რან კლდის ძირებში ჩამოქუხს ან კარა და თეთრ
ქაფ-მოდებული „ლაჯანურა“, რომელიც ხან
წყალვარდნილად გადმოსჩქეფს, ხან ნაზად მი-
მდინარეობს და მორევს წარმოადგენს. მთის
გიუმაჟ მდინარეს ბნელი ხევიც ხმას აძლევს
და მოგზაურს რაღაც სევდებს ჰევრის, დაღა-
მებისას და ლრუბლიან დღეებში კი შიშაც
აგრძნობინებს; კლდეები ერთმანეთს ელობება,
იქით-აქეთ გაიხედავ, თავზე დაგყურებს, მაღლა

აიხედავთ, წვეროები ერთმანეთს უახლოვდებიან და ცის დანახვასაც ხშირად გიშლიან. თან და თან მაღლა ივლივოდით და სხვა და სხვა ნაირი სურათების ცეკვით ვსტკებოდით; მოხერხებულ ადგილის ლაჯანურას ხეობაში ჩვენი მოგზაურობა გადაღებულ იქმნა სინემატოგრაფით, აგრეთვე მხატვარმა ქავთარაძემაც გადაიღო ხეობის რამოდენიმე შესანიშნავი ადგილი. რაღაც დიდი აღმართები შეგვხვდა, მხლებლები გადმოვედით ეტლებიდან და ფეხით გავყევით მგოსნის ეტლს; რაც შეიძლებობოდა ფრთხილად ვიყავით და ვცდილობდით ეტლში მჯდომ ძვირფასს მგოსნს რაიმე ხიფათი არ მოსვლოდა საშიშო გზებისა გამო, ხალხიც თან და თან გვეგებებოდა გზებში და დახმარებას უწევდა მეეტლეებს. რაღაც მხიარულად მივდიოდით, დაღლილობას აღარ ვარძნობდით; ამინდიც კარგი გვქონდა, ოდნავ ღრუბლიანი ცა და გამაგრილებელი სიოცხელს გვიწყობდა; უნდა გაგვევლო ლაილა-შამდე ხეობაში შვიდი-რვა ვერსი, თუმცა ბა-

რად ოცდა ხუთი ვერსის გავლა სჯობდა. ნა-;
შუადღევის შეორე საათის ნახევარზე მაღლა;
მთაზე დავინახეთ ლაილაში, რომელიც ხან გა-
მოჩნდებოდა და ხან ისევ მიიმალებოდა; თით-
ქმის კიდევ ერთ საათს მოუნდებოდით იქ ას-
ვლას. შეკრებილ საზოგადოებასაც მოვკარით
თვალი და ზურნის ხმაც შამოგვესმა; ხალხი
მაღლიდან დაგვცეკეროდა და მოუთმენლად
მოელოდა ძვირფასი სტუმრის შეხვედრას.

ნაშუადღევის სამის ნახევარზე მივეღით
ლაილაშს; დუქნები და მაღაზიები დაკეტილი
იყო, სახლები მორთული იყო ყვავილებით და
ფარნებით; ლაილაშის ბაზრის ქუჩა, ერთი
ვერსის სიგრძეზე ორივე მხრით გაჭედილი
იყო ჩამწკრივებული ხალხით; აქ ნახავდით დიდ-
სა და პატარას, მოხუცს და ახალგაზდას,
ქალს და კაცს, განურჩევლად წოდებისა და
ეროვნებისა; ყველა სადღესასწაულო ტანისა-
მოსებით იყო მორთული და აუწერელ აღტა-
ცებას წაიკითხავდით მათ სახეზე. გახდა თოფ-
დამბაჩების გრიალი, „ვაშას“ და „აკაკის გაუ-

მარჯოს“ ყვირილი, ტაშის ცემა, ვარდუვავილების გზაზედ მოფენა და სიმღერა. მგოსნის ეტლს წინ მიუძლოდნენ მოსწავლე ქალები და ვაჟები ყვავილების ფენითა და სიმღერით; გარშემო—ზღვა ხალხი და მათ უკან ცნენოსნები; მგოსნის ეტლს გარშემო ერტყა საპატიო დარაჯები განსხვავებულ ფორმაში ჩატყულნი. მისავალში მორთულ კამარაზე წავიკითხეთ შემდეგი წარწერა: „მშვიდობა შენს მობრძანებას“. აქ მოართვეს მგოსანს მანდილოსნებმა აბრეშუმისაგან შეკერილი გული, შემკობილი პურის თავთავის გვირგვინით, ზედიყო შემდეგი წარწერა: „დედათა აღმზრდელ აკაკის მის მიერ აღზრდილ დედებისაგან. ლალაში ჩაიბ. წ. ლა ივლისი“.

ორ-კლასიან ნორმალური სასწავლებლის მახლობლად გაშლილ მოედანზე მორთული იყო ფაჩნატური, სადაც მიიყვანეს მგოსანი და ჩასვეს ცოცხალი ყვავილებით შემკულ სავარელაში. პირველად მიმართა მგოსანს თავ. და-დეშკელიანშა შემდეგი სიტყვით:

„დიდო მგოსანო, ძვირფასო მოხუცო, სა-
ყვარელო აკაკი! მაშინ, როდესაც დიდი ნი-
ჭის, უკვდავი პოეზიის და საერო ჭირ-ვარამის
მოგანგაშის სალაროსთვის ცრუ სოფლის კაც-
თა მტერს თავისი თვალსაჩინო ტვიფრი დაუს-
ვამს და მაშინ, როდესაც შენის ქვეყნის ერთ
მივარდნილ კუთხეს-ლეჩხუმს ჩაგვრის და
მწარე სიბნელის ჯანღ-ბურუსი გადაჰკვრია, —
აი ამ დროს მოინახულე ლეჩხუმი. ამ სადღე-
სასწაულო და ლეჩხუმის ცხოვრებაში ფრიად
მნიშვნელოვანს მოვლენას რომ შენსაებრ გუ-
ლის ფეთქის სიღრმეში შთამხედავმა მხატვარმა
გონების მახვილი თვალი გადაავლოს და ხალ-
ხის დღევანდელს აღტაცებას, სიხარულსა და
თანაც მწარე განვლილს შენი ჩანგის უღერა,
შენი ნამდვილი სურათი დაუპირდაპიროს, შიგ
სრულს მთლიანობას დაინახავს: შენი ერი და
შენ! შენ და შენი ერი! აი უტყუარი სურათი,
რომელიც შენმა უკვდავმა ჩანგის კვნესამ თი-
თოეულ ქართველის გულში მწარედ აღბეჭდა.
შენ ხარ დიდი მგოსანი, ხარ ბუკი, დაფი და

ნაღარა გამამხნევებელი, გამღვიძებელი, და
თავისი „მეს“ შემანარჩუნებელი საუკუნო მსვლე-
ლობით დაქანცულ ერისა, რომლის საეროვნო
დროშასაც დიდი ხანია ფლეთდნენ და სწირ-
კნიდენ, ვითარცა გემრიელ ლუკმას, სხვა და
სხვა დროის მძლავრი სახელმწიფოთა შავნი
ყვავ-ყორანნი... მაგრამ გული და შინაარსი ამ
საეროვნო დროშისა შენს ერს მრავალტანჯუ-
ლი გულმკერდით, აპა მგოსანო, დღემდე მოუ-
ტანია! და დღეს ამ შინაარსიან ნაფლეთებზე,
თანამედროვე ცხოვრების აუკილებლობის ზე-
გავლენით ვითარდება შენი ერი და ამ ერში
ვითარდებიან სხვა და სხვა ჯგუფები და მოაზ-
რენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვიხარო-
დეს, დიდო მგოსანო, რომ შენი წინასწარმე-
ტყველება „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“
განხორციელებას ეწია და თამამად შეგიძლიან
სთქვა; „გაიღვიძა!“ შენით ამაყი ლეჩხუმი
განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუ-
ნოებისა და მიმართულებისა მუხლმოყრილი
თაყვანსა გცემს და გეუბნება:

„გაუმარჯოს აკაკის“!

თავ. დადეშველიანის შემდეგ მიშათრა მგოსანს მღვდელმა დაჭ. დემქაშეღმა შემდეგი სიტყვით: „დიდებულო მგოსანო, აკაკი! გამოც-დილია, როდესაც მარჯვე ბეჯითი მიწის მუ-შაკი თავის საყვარელს ყანაში შრომობს, იგი სრულიადაც არ შეუშინდება არც გულის შე-მაწუხებელ პაპანაქებას, არც წვიმა ქუხილ-ელვას და გულდადებით განაგრძობს დილიდან საღამომდე ოფლით შრომასა. შემდეგ დაას-რულებს რა მიწაში თესლის მიბარებასა, დრო დროთი მოინახულებს ნაჭირნახულებს და, ოდეს ნახავს ნაშრომს აღორძინებულს, უხარის და ავიწყდება ის უსიამოვნება, რომელიც განიცა-და მუშაობის დროს. მსგავსადვე მისა, თქვენ, დიდებულო მგოსანო, უმეტეს ნახევარ საუკუ-ნისა მოღვაწეობთ თქვენ საყვარელ სამშობლო საქართველოში. თქვენი მოღვაწეობის ასპა-რეზე სარჩულად აქვს მტკიცე რწმენა ქრისტე მაცხოვრის მცნებისა და ამ მცნებაზე დაფუძ-ნებით განსწმინდე, გაამსუბუქე, აღაფრთოვანე

ქართველი ერი, დააყენე წინსვლის გზაზე და
თქვენ, ვითარცა ნათელი სვეტი, წინ უძღვით
და თუმცა ამ მსვლელობის დროს მრავალი
გულის დამთუთქავი უსიამოვნება მომართულა
თქვენდამი, გარნა თქვენ, როგორც ბეჯითი
მუშაკი, ერთ წამსაც არ გადაგიხვევია თქვენის
წმინდა დანიშნულებისათვის. საქმის ბეჯითობა
თავისას გაიტანს; თქვენი ოფლი არ დაღვრრ-
ლა უნაყოფო ალაგს, თქვენი მადლიანი ხე-
ლით ამოძრავებული კალამი არ შესტეხია ცივ
კლდეს, იმათ უპოვნია პოხიერი ნიადაგი ქარ-
თველი ერის გულში და თქვენი შრომა ერთი
ათასად ნაყოფიერი ქმნილა. ეხლა გარდმოხე-
დე თქვენის მობრძანებით აღფრთოვანებულს
ჩვენს მხარეს. დარწმუნდით და გიხაროდეთ,
რომ თქვენი შრომა აღორძინებულა და ქარ-
თველი ერი კიდევ მოელის თქვენგან გამო-
ფხიზლებას და გმირების ძებნას... არა, აყვავ-
დეს იმედი“, და დიდო მგოსანო, „გულს ნუ
გაგიტეხს ჭალარა“; საქართველოსათვის გმი-
რების საძებრად „ისევ და ისევ მრავალ წელს

დაუკარ-დაჰკივლე თქვენი დაფი და ნაღარა”.

შემდეგ მგოსანს მიესალმა მ. კაჭკაჭაშვილი ლექსით:

„აღფრთოვანდა, აგუგუნდა თქვენის
ნახვით ლაილაში,

კიდით-კიდემდის გაისმის მხიარული ხალ-
ხის ტაში;

აღიდებენ თქვენსა ნაშრომს და გაფრე-
ნენ მაღლა ცაში,

კალამი რომ დაგიფასონ ყველა არის ამის
ცდაში.

ივერიის დიდება ხარ, სათაყვანო ყოველ
გვარში,

საუნჯე ხარ მამულისა, ბარად იყო გინ-
და მთაში”.

ბოლოს ებრაელების წარმომადგენელმა
ბიჭია მეგრელი შვილმა მიმართა მგოსანს შემ-
დეგი სიტყვით: „დიდო მგოსანო ბატონო
აკაცი! ჩვენ ქართველი ებრაელებიც გილოცავთ
შშვილობიან მოგზაურობას და მობრძანებას
თქვენს საყვარელ სამშობლო მხარეში. მხცო-

ვანო მგოლანო, ყოველ დაჩაგრულთათვის დი-
დი იმედების მიმწოდებელო, შეგდაღადებთ
დამიწამტვერებული ებრაელები, რათა ჩვენც
შეგვავედრო იმ ზენარსს, რომელმაც თქვენ
ზეციურის ნიჭით და სანეტარო ჰანგით აღგა-
ვსო, რომ თქვენს მამულში ჩვენც დაგვპადე-
ბოდეს თქვენისთანა ნიჭიერი აღამიანი და მას
განემარტებინოს ჩვენთვის თქვენი შარავანდე-
დით გაბრწყინვალებული კალმის ნაშრომი და
მოეძლვნას დავითის ქნარით თქვენი შესაფერი
ლირსი ქებათა-ქება, გაღვიძებულიყოს საღათას
ძილისაგან მიძინებული და დავიწყებული სიო-
ნი და აღბეჭდილიყოს ჩვენისავე ეროვნული
ანბანით ჩვენს ისტორიაში თქვენი უკვდავი სა-
ხელი; „იცოცხლე კიდევ დიდ ხანს, ივერიის
სულის ჩამდგმელო!“ მისალმების შემდეგ მგო-
სანი წაიყვანეს სასწავლებლის ოთახში და ცო-
ტა ხანს მოასვენეს.

ხუთის ნახევარზე ბალში მოწყობილ
ფაჩნატურში, გაიშალა ქართული სუფრა
ოცი საუენის სიგრძეზე და გაჩაღდა დი-

დებული ნადიმი; მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა სულმა განურჩევლად სქესისა, ეროვნების და წოდებისა; წესრიგი თავ. ლევ. დადეშველიანისა და სხვათა თაოსნობით სამაგალითოდ იყო დაცული; სუფრის თავში აკაკი დააბრძანეს, მის მახლობლად გარშემო მხლებელნი და პრესის წარმომადგენელნი, შემდეგ სტუმრები მოსულნი სხვა და სხვა სოფლებიდან, და ბოლოს ლაილაშლები, რამდენიც დაეტია, დანარჩენებს კი გაუშალეს სუფრა იქვე მწვანეზე. სუფრის მეორე თავში, მგოსნის პირდაპირ, იჯდა თამადათ არჩეული თავადი ერმალო გელოვანი. სადილის დამთავრებამდე უკრავდა ზურნა. გაისართა სადლეგრძელოები; ადლეგრძელეს მგოსანი, მისი მხლებელნი, მანდილოსნები, გლეხები და სხვანი... გრძნობიერი სიტყით მიმართა მგოსანს რუბ. ყიფიანშა (ლეჩხუმელი) და მერე ლაილაშის ებრაელების წარმომადგენელმა. გაიმართა ლხინი, დასძახეს ეროვნული სიმღერები, დაუკრეს ზურნა, გაჩაღდა ლეკური, დასცალეს თოფ-დამბაჩები.

მგოსანი მეტად აღტაცებული იყო, მხლებელნიც
არხეინად ვგრძნობდით თავს, მასპინძლობა დიდე-
ბული იყო, მერიქიფობას გვიწევდნენ ლამაზ-
ლამაზი ქალიშვილები თეთრად ჩაცმულნი და
თეთრი ლენტების ნიშნებით მკერდზე; ამინდი
ხელს გვიწყობდა, დასავლეთის ქარი გვაგრი-
ლებდა და თითქმის სიცივესაც ვგრძნობდით.
თამადა ერმ. გელოვანი ყანწით ხელში და მო-
მლერალ მოსწავლე ახალგაზდობით მივიდა მგო-
სანთან მხიარულად მიართვა ლაილაშის
საზოგადოებისაგან საჩუქრად ვერცხლის მშვენი-
ერი ჯოხი და შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „ბ.
აკაკი! თქვენც კარგად მოგეხსენბათ, ძველ დრო-
ში შვიდი თუ რვა საუკუნის წინად გვყავდნენ
დიდებულნი მგოსანი, მწერლები და მათში
მხოლოდ ერთი რუსთაველი იყო ცნობილი და
არის; მას იცნობდნენ როგორც მწიგნობარნი, ისე
არა მცოდნენი მწიგნობრობისა, ყველანი
ერთნაირად ლალადებენ მასზე; იშვიათად მოხ-
დება, რომ ქართველმა მხიარულების ანუ მწუ-
ხარების დროს არ იხმაროს მისი სიტყვები.

მწუხარების დროს გასამხიარულებლად, და გა-
სამაგრებლად, ხოლო მხიარულების დროს თა-
ვისი მდგომარეობის უფრო ძლიერ დასახატა-
ვათ. ამ უკანასკნელ საუკუნეში, ე. ი. ჩვენს
დროშიაც გვყვანან საამაყო და თავმოსაწონი
მწერალნი და მგოსნები, მაგრამ ამათში თანა-
სწორ დიდებულ რუსთაველისა თქვენ ბრძანდე-
ბით; ყველა მწიგნობარნი და უცოდინარნი წე-
რა-კითხვისა თქვენზე ლალადებენ და თქვენს
სიტყვებს ხმარობენ მწუხარების და მხიარულე-
ბის დროს. მე თვითონ არა ერთხელ მითქვამს
ჩემს ცხოვრებაში თქვენი სიტყვები: „რა იციან,
რომ ეს გული მკვდარია, და სიცილი ბევრ-
ჯერ ცრემლზე მწარეა“, და სხვა... ამასთანავე
უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ მცირე საჩუქრის
მორთმევას ვერ გავდედავდით, მაგრამ ვლებუ-
ლობთ-რა სახეში თქვენს წლოვანობას, ვბედივთ
მოგართვათ ეს ჯოხი, რადგან „კეთილი გუ-
ლით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“.
მგოსანმა მიიღო საჩუქარი მადლობა უთხრა
საზოგადოებას და გადაკოცნა ერმ. გელოვანი.

მოსწავლე ახალგაზდობამ იმღერა გამოსა-
მუშიდობებელი, სიმღერა, „ქართველო ხელი
ხმალს იკარ, გახსოვს ოურფა და სხვა... აკაკიმ
სიმღერის შემდეგ ყანწი ხელში აიღო და სთქვა:
„ბატონებო, მე მყავდა ამხანაგები, რომლებიც
მოღვაწეობდნენ ჩემსავით, რომელთაც უყვარ-
დათ ხალხი და ემსახურებოდენ მას, მაგრამ
მათ არ არგუნა ბედმა ასეთი მხიარულება ხალ-
ხთან როგორც მე; ერთი იყო ილია ჭავჭავაძე,
მეორე იაკობ გოგებაშვილი და ეხლა კიდევ
მივიღეთ სამწუხარო ამბავი, რომ გარდაცვლი-
ლა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი;
ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ხსოვნას
და დავლიოთ შესანდობარი.“

საზოგადოებამაც ფეხზე წამოდგმით დალია
შესანდობარი.

ორბელის საზოგადოების გლეხმა პავლე
გიორგობიანმა მიჰმართა მგოსანს შემდეგი სი-
ტყვით; „შარშან ჩემი საუკეთესო შვილი წაი-
ყვანეს ჯარის კაცად და, რუსეთის პავის მოწ-
ყალებით, მკვდარ-ცოცხალი მომივიდა სახლში;

ორი კვირაა, რაც ის მივაბარე მიწას და ამის გამო, როგორც მხედავთ, საყვარელო მგოსანი, ძაძებში ვარ; მაგრამ გავიგე რა თქვენი მობრძანება, დამავიწყდა ყოველივე ჩემი უბე-დურება და გეახელი, რათა მეც მენახა თქვენი დიდებული სახე. ღმერთს ვსოხოვ თქვენს დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს!“

ლაილაშის გლეხების წარმომადგენელმა მ. ქარსელაძემ მიჰმართა მგოსანს სიტყვით და უსურვა კეთილდღეობა

დაბოლოს ჭრებალოს მეაფთიაქემ კაკო ლოლელიანმა აილო ხელში ყანწი და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ბატონებო! ავილოთ პატარა კერძო ოჯახი და მამა იმ ოჯახისა, რომელიც ორმოც-და თორმეტი წლის განმამავლობაში პატიოს-ნათ ზრუნავდეს ამ ოჯახისაღმი და ვკითხოთ, რამდენი ჭირი, ვარამი და შეწუხება გადაუტა-ნია მას, რომიგი წოდებულ ყოფილიყოს პატიო-სან მზრუნველად თავისი ოჯახისა; შემდეგ ვი-გულისხმოთ კაცი, რომელმაც მთელი თვისი სა-

მშობლო მიიჩინა თავის კერძო ოჯახათ და ვალზებულათ ჩასთვალა თავის თავი იზრუნოს მისთვის ისე, როგორც პატიოსანმა მამამ თავისი ოჯახისა და შვილებისადმი; ამ შედარებით ადვილი გასაგებია რამდენათ მეტი შრომა უნდა დასდოს მან.

დიდებულო მგოსანო ბ. აკაკი!

სწორედ თქვენ მიიჩინეთ სამშობლო თქვენ კერძო ოჯახათ, ორმოცდა თორმეტი წლის განმამავლობაში თავს ევლებოდი მას და მის ერს, ვერ გძლია და ვერ შეგაშინა ამ ხნის განმამავლობაში ათას გვარმა უსამართლობამ, ვერ შეგაშინა მარტოობამაც და ესეც იმ დროს, როდესაც შენი საყვარელი სამშობლო საქართველო ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალების გამო უკიდურეს მდგომარეობამდი იქნა მისული, იგი მომაკვდავისამებრ იყო გადახრილი თავის სამყოფელისაგან უფსკრულისაკენ და დასუსტებისაგან ენაც უნდა ჩავარდნოდა, როგორც მძიმე ავათმყოფსა მაშინაც თითქმის მარტო იყავი და მძლავრად მიებჯინე მას, წამ-

დაუწუმ უწმენდავდი ენასა და პირს რათა არ
დადუმებულიყო მთლად; მტრები, რომელნიც
ბლომათ გარს ეხვივნენ და განგაშებდენ, „აღარ
მორჩება უკვე მოკვდაო“, განიცდიდენ დიდ
სიხარულს; გამოსარჩებაც თვალსაჩინოდ სა-
შიში იყო ძლიერი მტრების წინაშე; მაგ-
რამ თქვენ მაინც, მიუხედავად ამისა, ხმამაღლა
გასძახოდი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებსო“.

იმ დროებში, როდესაც გესაჭიროებოდა
დამხმარე და თანამგრძნობლები, შეხედე, რომ
თანამოძმენიც გვერდს გივლიდნენ, ისინი ეძი-
ებდნენ თავიანთ თავისთვის თბილ ბინას და
სამშობლოს დალუპვა ხელს უწყობდნენ; სწვდი
მათაც და მიაძახეთ წყევით: „კრულ იყოს
მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა,
თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარ-
ზედა.“

ამ გვარ შრომასა და მოუსვენრობაში გა-
ატარე ორმოცდა ათი წელიწადი: დღეს გი-
ხაროდეს, დიდებულო მამულიშვილო, რად-

გან უკვდავ ჰყავ ყოველივე ეს, და სახელიც შენი! ვაშა ჩვენს პატარა ტანჯულ სამშობლოს, რომელმაც გშო შვილი უკვდავი და ვაშა შენ, რომელმიც ღირსეულად აასრულე შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე!“

ლაილაშის ნადიმი დასრულდა სალამოს რვა საათზე.

ათ საათზე მგოსანს მხლებლებითურთ გაუმართეს სალიტერატურო სალამო, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა. დამსწრეთ მგოსანმა წაუკითხა ლექცია არქეოლოგიურ ნაშთებზე. გერასიმე კუპრაშვილმა და ბევრმა სხვამ მგოსანს მიჰმართეს მოხდენილი სიტყვებით.

მგოსანს უთხრეს აგრედვე ბევრი ლექსეუბი და ვრძნობიერი სიტყვები; სალამო დამთავრდა ნაშუალამევის პირველ საათზე.

ოთხშაბათს, პირველ აგვისტოს, დილის შვიდ საათზე ფეხზე ვიყავით, მგოსანმაც ადრე გაიღვიძა და შევემზადეთ ლაილაშიდან გამომგზავრებას ქუთაისისაკენ. რვა საათზე ჩაი დავლიეთ, მგოსნის გამცილებლიებიც შეიკრიბნენ,

ჩვენი მეტლებიც მოვიდნენ, დავემშვიდობეთ ლაილაშლებს და გამოესწიეთ; სანამ მდ. ლა-ჯანურას ნაპირზე მოვიდოდით დიდი დალმარ-თების გამო მხლებლები ფეხით მოვდიოდით, მგოსანი კი მარტო ეტლში იჯდა, გარშემო გამომცილებლები ერტყა და ცხენები ხელმო-კიდებული მოჰყავდათ. ლაილაშლები ჩამოგვ-ყვენ ალაპანამდე. იქაც დაგვხვდა რამოდენიმე კაცი და ქალი, მგოსანმა ცოტა ხანს დაისვე-ნა, გადაიღო სურათი ლაილაშის და ალპანის კომიტეტთან, ერთი ეტლი გამოვიცვალეთ გა-მოვსწიეთ ქუთაისისაკენ.

ლაილაშიდან გამოგვატანეს შემწვარი კა-ლმახები შამფურებზე მგოსნის ხონჩებში ჩაწ-ყობილი; გადავწყვიტეთ სად. ნამახვანში გვე-სადილნა; ნაშლვადლევის ორ საათზე ნამახვანში ვიყავით, კიდევაც მაგვშივდა. შევაჩერეთ ეტ-ლები, შევედით ერთი დუქნის დერეფანში, გა-ვაშლევინეთ მედუქნეს სუფრა, მოვატანინეთ შვადები, პური, ლვინო და კალმახებიც; მოვი-კითხეთ, დაუწყეთ ძებნა; რადგან მარხვა

დღე იყო დუქნებში არაფერი იშოვებოდა და
ამ კალმახებით გვინდოდა ჩაგვეგემრიელები-
ნა პირი, მაგრამ დახე ჩვენს უილბლობას: ხო-
ნჩები შემწვარი კალმახებით ჭრებალოელ მეეტ-
ლეს გაჰყოლოდა, იმ მეეტლეს რომელიც გა-
მოვიცალეო ალპანაში; აკაკის ეგონა ტოლა-
ში ნაჩუქარი ხონჩები თუ გაჰყვა მეეტლესო
და თუ ხონჩებში კალმახებიც თან გაჰყვა, ეს
როდი ეგონა, ამიტომ გვკითხა; “კალმახებიც
ხონჩებს გააყოლეთ?!“ თქვენ მტერს, როგორც
ის გუნებაზე დადგა; გაგვიჯავრდა ყველას, მა-
გრამ რალას გავაწყობდით, ჩვენც გაგვიშრა პი-
რში ნერწყვი. მივაკითხეთ ისევ დუქნებში და
ვიშოვეთ ამოლესილი ხმელი ლობიო, ისიც
თხელი და უმარილო, მოვსდექით და ორი სამი
საინი მოვსწმინდეთ თითოეულმა; მეხუთე საათზე
გამოვსწიეთ და სალამოს რვა საათზე ჩამოვედით
ქუთაისს მტვერით დათეთრებულნი. იმ დამეს მგო-
სანმა სასტუმროში მოისვენა, ნავახშმევს ლეჩეუმი-
დან დაკარგული ხონჩები კალმახებით მოსვლოდა,
მაგრამ გვიან იყო. ორ აგვისტოს მგოსნის მხლე-

ბელნი შევიკრიბენით, წავიყვანეთ მგოსანი ფე-
რმის ბალში, გადავიღეთ სურათები, გამოვეთ-
თხოვეთ და გავისტუმრეთ.

ამ გვარად მოგზაურობა დამთავრდა თო-
რმეტი დღის განმავლობაში; საზოგადოდ ამ მო-
გზაურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყვე-
ლგან და დიდებულათაც ჩაიარა; აამოძრავა და
გაამხიარულა ხალხი, აღადგინა მათში ეროვნუ-
ლი გრძნობები, დაახლოვა და შეაკავშირა ყვე-
ლანი განურჩევლად წოდებისა და მიმართულე-
ბისა. დიდი და პატარა ყველა ფეხზე იდგა, ყველა
ხარობდა, ყველა დღესასწულობდა და საერთო
ეროვნულ ფერხულში იყო ჩაბმული. გაივლის
დიდი ხანი და რაჭა-ლეჩხუმი ამისთანა ბრწყინ-
ვალე დღესასწაულს ვერ ეღირსება, ამიტომ ჩვენი
მგოსნის მოგზაურობა სამუდამოთ დარჩება მათ
ხსოვნაში. მგოსანმა თავისი დიდებული მოგზაუ-
რობით გაამხიარულა არა მარტო დღეს
რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებნი, არამედ აქედან უც-
ხო ქვეყნებში გადახვეწილნიც, რომელთაგანაც
მგოსანს რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს მო-

სდიოდა დეპეშები თფილისის, ბაქოს და სხვა
ქალაქებში მყოფ რაჭველებისგან. მოგზაურო-
ბამ მშვიდობიანად ჩაიარა, არსად საწყენი რამ
არ შეგვხვედრია, გარდა შემწვარი კალმახების
ისტორიისა. ხარჯი მოგზაურობისა იკის-
რა რაჭველობამ და ლაილაშლებ-
მა; ისინი უგზავნიდენ ფულს ამ მოგზაუ-
რობისათვის შემდგარ კომიტეტებს. მაღლობის
ღირსნი არიან თფილისის, ქუთაისის, წესის,
ონის და ლაილაშის კომიტეტები მოგზაურო-
ბის კარგად მოწყობისათვის, აგრედვე კარგი
ბინისათვის და მოსვენებისათვის წესში თავ.
შამაღავლე ერისთავი, ონში დავ. გოცირიძე,
ნიკორწმინდაში დავ. კანდელაკი და ალ. სა-
მოკვასოვი, სორში ბიჭია გოცირიძე, ტოლა-
ში თავ. დიმ. ყიფიანი, ჭრებალოში რუბ.
ყიფიანი და კაკო ლოლელიანი, ლაილაშში
თავ. დადეშკელიანი ამხანაგებითურთ, და სა-
კუთარის ხარჯით გამასპინძლებისათვის ამბრო-
ლაურში მინა გიორგობიანი და ხოტევში ჭ-
რივი ტერეზია ჭიჭინაძისა და ივ. ჭიჭინაძე.

თანოსნობა აკაკის მიპატიუებისა რაჭა-
ლეჩხუმში მიიღო თავის თავზე თფილისის რა-
ჭელობამ, რომელმაც შეადგინა თფილისშივე
მოგზაურობის მომწყობი მთავარი კომიტეტი;
ამ კომიტეტის რიცხვში შედიოდნენ იობა ისა-
კაძე, სერგო მუსერიძე, ნეოფიტე აგლაძე, ნოე
გოშაძე და სხვანი... ამ კომიტეტს ქონდა გა-
მართული მიწერ-მოწერა ქუთაისის კომიტეტ-
თან რომელიც თავ-თავის დროზედ ცნობებს
აძლევდა წესის, ონის და ლაილაშის კომიტე-
ტებს. ყველგან კომიტეტებს მოგზაურობის
პლანი, აგრეთვე მგოსნის შეხვედრის და მიღე-
ბის წესრიგი მშვენივრად ჰქონდათ შემუშავე-
ბული; ამიტომ კიდევ განმეორებით მაღლობის
ღირსნი არიან კომიტეტის წევრნი.

~~X~~ მოგზაურობის დროს ელექტრო-თეატრის
„რაღიუმის“ მოხელემ გადაიღო შემდეგი სუ-
რაოები:

- 1) ქართველი მგოსანი აკაკი.
2—3. აკაკი და მისი თანამეგზაურნი.

4. ქუთაისიდან წასვლა 21 თიბათვეს,
დილის 7 საათზე.
5. საუზმე ჭომაში სპ. წერეთლის ეზოში.
6. მოგზაურნი სოფ. გუმათთან.
7. დერჩის საზოგადოების. წარმომადგე-
ნელნი.
8. სოფ. მექვენიდან გამგზავრება.
9. საირმის მთა, ბუნების საკვირველება.
10. ჭყვიშის საზოგადოების წარმომადგე-
ნელნი.
11. სოფ. ჭრებალოს მისვლა.
12. აკაკი ტრიბუნაზე ადის (სოფ. ჭრება-
ლოში 22 ავლისს) ლექციის წასაკითხავად.
13. შეხვედრა რაჭის საზღვარზე; ლონგი-
ძის ნოზ კიკვიძის სიტყვა.
14. ფერხული ბარაკონში, გამართული
როსტომ ერისთვის შემკვიდრეების ეზოში 23
ივლისს.
15. ნადიმი ბარაკონში.
16. ხიდისკარი, როსტომ ერისთვის ციხის
ნანგრევები.

17. ციხის ნანგრევები სოფ. ხოტევში და ეკლესია.

18. ნიკორწმინდის ტაძარი, მე-11 საუკუნისა.

19—20. მდ. შაორი, რომელიც ს. ნიკორწმინდასთან უფსკრულში იყარება და ჰელიშის მონასტერთან კლდის ძირის გამოხეთქს.

21. ტიდი წყარო ჰელიშის მონასტერთან.

22. ხარისთვალიდან დაბრუნება შაორის მინდორზე:

23. დაბა ონს მისვლა 27 თიბათვეს.

24. ნაღიმი ონში 28 თიბათვეს. ებრაელების წარმომადგენელნი.

25. აკაკის გასეირნება დ. ონში.

26. ქართველ ქალ-ვაჟთა ტიპები.

27. ლაჯანურის ხეობაში 31 თიბათვეს.

28. დ. ლაილაშს მისვლა 31 ივლისს.

სექტემბრის 20-დან ქუთაისში „რაღიუმის“ ელექტრო-თეატრმა დაიწყო აკაკის რაჭალეჩხუმში მოგზაურობის სურათების ჩვენება; თეატრის პატრონებმა წინადლით დეპეშით აც-

ნობეს საჩერეში მგოსანს, და აგრეთვე სამო-
გზაურო კომიტეტის წევრებს.

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, სალამოს
მატარებლით ჩამობრძანდა აკაკი ქუთაისში კო-
ტე აბდუშელიშვილის თანხლებით; სადგურზე
შეხვდნენ მგოსანს თეატრის პატრონები პავლე
მეფისოვი და ტიხონ ასათიანი და აგრეთვე
ქუთაისის კომიტეტის წევრი სამსონ დათეშიძე.
თეატრს ადრიანად მოაწყდა აუარებელი ხალ-
ხი, ბილეთების აღება შეუძლებელი გახდა,
ერთი მეორეს ასწრებდნენ. თეატრის შესავალი,
აგრეთვე სავარძელი „ლოუაში“. სადაც უნდა
დაბრძანებულიყო მგოსანი, მორთული იყო
ცოცხალი ყვავილებით. „სეანსები“ დაიწყეს
სალამოს ექვსი საათიდან; რვის ნახევარზე გა-
ჩერდა თეატრთან მგოსნის ეტლი; მგოსნის და-
ნახვისთანავე ქუჩაზე თეატრის წინ შეკრებილ-
მა ხალხმა და თეატრის შესავალში დასძახეს
„ვაშა“, მუსიკამ მაღლიდან—დაუკრა შესახვე-
დრი „მარში“ და „სულიკო“; მგოსანი დაბრ-
ძანდა ლოუაში, სეანსი შეაჩერეს, დარბაზი გაუ-

ჭედილი იყო ხალხით, იქნებოდა დაახლოვებით 500-ზე მეტი სული; საზოგადოება მგოსნის დარბაზში შესვლისას ფეხზე წამოდგა, შემობრუნდა მგოსნისაკენ და შესძახა „ვაშა“, „აკაკის გუამარჯოს“, თან მოჰყვა დაუსრულებელი ტაშის ცემა. გაგრძელდა „სეანსები, რომლის ღროს უკრავდა „რაღიუმის“ საკუთარი სიმებიანი ორკესტრი „პოპულრის“ ქართული მოტივებიდან ავტორის აფანასიევის ლოტბარობით. ანტრაქტების ღროს უკრავდა მუსიკა (სერგო ქუთათელაძის ორკესტრი „კოლხიდა“). ორი ორკესტრი საინტერესო ხმებს გვასმენდა. 12 საათამდის მოესწრო ოთხი „სეანსი“, რომელსაც ღაესწრო საშუალო რიცხვით ორი ათასი სული. სურათებში, სადაც გამოჩნდებოდა მგოსანი საზოგადოებაში გახდებოდა ტაშის ცემა. მგოსანი, დარჩა თეატრში თერთმეტ საათამდის, შემდეგ წაბრძანდა მოსასვენებლად. სურათების ჩვენება გაგრძელდა ერთ კვირას; ყოველ დღე თოხი საათიდან დაწყებული 12 საათამდე აუარებელი ხა-

ლხი გროვდებოდა თეატრთან. საზოგადოდ სურათებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებიდან, აგრედვე პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ხარბინიდან, და სტამბოლიდან მიიღეს წერილები თეატრის მეპატრონეებმა და სთხოვეს მათ მოეწყოთ იქაც სურათების ჩვენება, რაც შესრულებულ იქმნა.

ვათავებ დიდებული მოგზაურობის აწერას და მივმართავ საყვარელ მგოსანს შემდეგი სიტყვებით:

აგისრულდა თითქმის ის, რასაც ნატრობდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში და, როგორც სიმონ მოხუცებულს, შენც მოგეფინა დღეს ნუგეში; შენმა სიმღერამ გამოაღვიძა მიძინებული ქართევლი ერი, გამოიფხიზლა და აცნო მტერი და მოყვარე; შენი თვალით დაინახე რომ დაპურებულა შენი ყანა, რომლის ნაყოფიც კიდევაც იგემე; ამიტომ, ძვირფასო მგოსანო, ნულარ დალონდები, გამხნევ-



კდი მით, რომ დღეს მაღლობას გიძლვნის
შენი ქვეყანა. იცოცხელე დიდხანს და ნუ მო-
გვაკლებ ტკბილ ლექსებს!“

ლადო ბაგანელი.

11 ბუჭყ. 12 11
6/2 396.

Georg. C. G. G. 20/11/12



ପାତ୍ରବିନ୍ଦୁ ମହାନ୍ତାନୀ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାର୍ଥ



საუნდე კომიში. აკაკი შელებლებით



5·1/35